სოხუმი-მოსკოვის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა A3

უფასო იურიდიული კონსულტაცია A8

მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 2004 წელი. №286 (835) ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## პარლამენტში "ზვიადისტებისა" და... გემების საქმეები "ირჩევა"



იურიდიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა რეაბილიტაციას, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია უმრავლესობას.

A2

### ეკონომიკა

## პარლამენტი და მთავრობა ავტომობილების დაბეგვრის თემაზე ვერ თანხმდება



ზურაბ ნოღაიდელი ავტომანქანების იმპორტის დღგ-თი დაბეგვრას კატეგორიულად მოითხოვს.

A4

### საზოგადოება

## "ძველ სახეთა" დაკარგვის ხანა



საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის პრესკონფერენციამ ხმაურით ჩაიარა.

A6

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

### ამინდი

| | 2/12 | 3/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | 9 |
| ქუთაისი | 11 | 14 |
| ბათუმი | 12 | 17 |
| სოხუმი | 9 | 11 |
| ფოთი | 11 | 16 |
| თელავი | 5 | 6 |
| ზუგდიდი | 11 | 14 |
| გორი | 4 | 7 |
| ახმეტა | 4 | 7 |
| ჭიათურა | 7 | 10 |
| გაგრა | 8 | 8 |
| სამტრედია | 11 | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.4177 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4911 |
| რუბლი | 0.0650 |

# შეთანხმება მიღწეულია - მოლაპარაკებები გაგრძელდება

### პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის სამართლებრივი გზების ძიება



*იუშენკოს მომხრეებმა ტაქტიკურ გამარჯვებას მიაღწიეს.*

*უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუცია" გაჭიანურდა. აგერ უკვე მეათე დღეა, საპროტესტო აქციები გრძელდება. ყველა მოლოდინშია. თითქოს ყოველი ახალი დღე გადამწყვეტი უნდა აღმოჩნდეს, მაგრამ კრიზისის განმუხტვა არა და არ ხდება. მიუხედავად, უდავოდ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა, გუშინდელი დღეც დემოკრატიის დასაცავად მებრძოლთათვის გამარჯვების დღე ვერ აღმოჩნდა. თუმცა, პირველი, სამხედრო ენაზე რომ ვთქვათ, ტაქტიკური გამარჯვებები უკვე სახეზეა.*

ნიკა თარაშვილი

როგორც ჩანს, უკრაინაში არჩევნების კიდევ ერთი რაუნდის (თუ გნებავთ, მესამე ტურის, თუმცა, ასეთს უკრაინის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს) ჩატარებას ალტერნატივა აღარ რჩება. მხარეები შეთანხმდნენ, ამის შესახებ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ იმსჯელონ. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა

გაგრძელება A5 გვერდზე

# აშშ-ს ელჩს საკითხები დაუგროვდა



*რიჩარდ მაილსი არ უარყოფს, რომ პრეზიდენტთან ქუთაისში მომხდარ ინციდენტზეც ისაუბრა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი მიიღო. ამერიკელი დიპლომატი ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდა შეერთებულ შტატებში. მისი დაბრუნების შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, როგორც მაილსმა მასმედიას განუმარტა, დღის წესრიგში დაგროვდა მთელი რიგი საკითხებისა.*

ვერიკო თევზაძე

**„ჩვენ შევეხეთ სხვადასხვა საკითხს: უკრაინას, აფხაზეთს, ოსეთს, ასევე ეუთო-ს მონიტორინგის მისიის მანდატის გაგრძელებას. განვიხილეთ ბიზნესსფეროში შექმნილი სიტუაცია,“** - განაცხადა მაილსმა გუშინდელ ბრიფინგზე.

გაგრძელება A3 გვერდზე




# უკრაინა - გადამწყვეტი ფაქტორი ყველა ჩვენგანისათვის

სალომე ზურაბიშვილი

უკრაინაში მიმდინარე არჩევნები გადამწყვეტია: დღეს იშლება ისტორიის მთავარი ფურცელი, რომლის გააზრებაც დროულად უნდა შევძლოთ. პირველ რიგში, ეს მნიშვნელოვანია უკრაინისთვის, რადგან საუბარია დემოკრატიასა და ევროპაზე, რაც სასწორზეა დადებული. უნდა გავიგოთ, შესწევს თუ არა უკრაინას ძალა, თავისებურად განახორციელოს 2003 წლის ნოემბერს საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუცია“ და ააშენოს დემოკრატიულ სამართალზე დამყარებული სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებული იქნება ევროპულ ფასეულობებზე.

ეს მოვლენები მაგონებს იმ პროცესების განმეორებას, რამაც საშუალება მომცა, დამეკავებინა იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, რომელიც ნათლად გამოხატავს თავის მისწრაფებას ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ. არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ვხედავ, რომ თამაშდება ჩვენთვის კარგად ნაცნობი სცენარი, რომელიც გადაწყვეტს დემოკრატიული უკრაინის ბედს ევროპის სივრცეში. ეს უახლოეს პერიოდში მოხდება, რადგან უკრაინის მომავალი უკვე ნათელია: იგი უკვე ჩაწერილია მის ისტორიაში, მის გეოგრაფიულ და ეროვნულ სწრაფვაში. იბადება ერთადერთი კითხვა - ეს ახლა მოხდება თუ მოგვიანებით, მშვიდობიანი გზით თუ არა?

გაგრძელება A3 გვერდზე

# პატრიარქსა და სტუდენტებს შორის შეხვედრა შედგა

ნინო ცინცაძე

როგორც ცნობილია, 8 ნოემბერს ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა სასულიერო აკადემიის 23 სტუდენტის წერილი, რომელშიც ისინი ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე საუბრობდნენ. ამ წერილმა საზოგადოებასა და მასმედიაში ღია დისკუსიის დაწყებას მისცა ბიძგი, თუმცა ბევრი ამ ფაქტით უკმაყოფილოა, რადგან ფიქრობს, რომ საეკლესიო საკითხები მხოლოდ ეკლესიის შიგნით უნდა გაირჩეს. სტუდენტებმა წერილის გამოქვეყნებისათვის აკადემიის რექტორატისაგან მკაცრი გაფრთხილება მიიღეს, რასაც შემდეგ ის მოჰყვა, რომ რამდენიმე ხელისმომწერ სტუდენტს თავიანთი თანაკურსელებივე ფიზიკურად გაუსწორდნენ. საპატრიარქოს ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია საჯაროდ არ გამოუხატავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში სტუდენტები, პატრიარქის მდივნის დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის საშუალებით, კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა მამა მიქაელი მათ პასუხობდა, რომ სამების ეკლესიის გახსნისა და დელეგაციების მიღება-გასტუმრების გამო მის უწმინდესობას არ სცალია. გუშინწინ, 30 ნოემბერს კი მიქაელ ბოტკოველი სტუდენტებს თავად დაუკავშირდა და უთხრა, რომ პატრიარქი მათ შეხვდებოდა. შეხვედრას მხოლოდ 12 სტუდენტი ესწრებოდა, რადგან დროის უკმარისობის გამო სხვებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, შეხვედრაში მონაწილეობდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი, სასულიერო აკადემიის რექტორი მეუფე თეოდორე ჭუაძე, პრორექტორი დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, პატრიარქის მდივანი დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, აკადემიის დეკანი მღვდელ-მონაზონი დოსითეოზ ბოკუჩავა და დიაკვანი ლევან მათეშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# პატრიარქსა და სტუდენტებს შორის შეხვედრა შედგა

პირველი გვერდიდან

როგორც შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე სასულიერო აკადემიის სტუდენტი ბექა მინდიაშვილი ამბობს, პირველი საკითხი, რომელიც მათ პატრიარქთან დასვეს, სასულიერო აკადემიაში საღვთისმეტყველო საგნების სწავლების დაბალი დონე და საათების სიმცირე იყო. ხშირად ცდება საგნები, ბიბლიოთეკაში წიგნების სიმცირეა, სემინარიისა და აკადემიის წიაღში არ არსებობს, არც იქმნება და არც ითარგმნება თანამედროვე თეოლოგიური ლიტერატურა. სტუდენტებმა ისიც განაცხადეს, რომ ის პრობლემები, რაც სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში არსებობს, უშუალოდაა დაკავშირებულია ეკლესიაში არსებულ პრობლემებთან. ეს კი, პირველ რიგში, სასულიერო პირების დაბალი ინტელექტუალური და, ხშირ შემთხვევაში, დაბალი ზნეობრივი დონეა. ხშირად, სასულიერო აკადემიას სტუდენტები ისე ამთავრებენ, რომ, უბრალოდ, ბიბლიაც კი არა აქვთ თავიდან ბოლომდე წაკითხული, შემდეგ კი ისინი პირდაპირ სასულიერო პირები ხდებიან. იმას, რომ ამ მხრივ პრობლემები არსებობს და ეს საკითხები მოსაგვარებელია, კათოლიკოს-პატრიარქიც დაეთანხმა. მან სტუდენტებს ამ სირთულეების გადასაჭრელად თანამშრომლობა შესთავაზა და აღუთქვა, რომ ამ თემებზე სასაუბროდ სტუდენტებისათვის მისი კარი მუდამ ღია იქნება.

შემდეგი საკითხი სასულიერო პრესის კატასტროფულ მდგომარეობას შეეხებოდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა საპატრიარქოს მხრიდან ნაწილობრივ ისედაც აღიარებული იყო, რადგან ამ ბოლო პერიოდში ყველა ამ ტიპის ჟურნალ-გაზეთს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა მოეხსნა.

სტუდენტებმა პატრიარქს ისიც შეახსენეს, რომ სამი წლის წინ მათი ინიციატივითა და პატრიარქის მხარდაჭერით შეიქმნა ანალიტიკური ჯგუფი, რომელსაც სასულიერო სემინარია-აკადემიასა და ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე უნდა ემუშავა. მაგრამ, ახალგაზრდების აზრით, ამ ჯგუფის მუშაობას ხელს პატრიარქის რეფერენტი ქალბატონი შორენა თეთრუაშვილი უშლიდა. იგი აფერხებდა ჯგუფის მუშაობის საპატრიარქოსთან კოორდინირებას და გარდა ამისა, ჯგუფის წევრთა საქმიანობის სურვილების რეორიენტაციასაც ახდენდა; თუ მაგალითად, სტუდენტებს საპატრიარქოსა და ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე სურდათ მუშაობა, ქალბატონი შორენა მათ სთავაზობდა, საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა შეესწავლათ და ა.შ. სტუდენტებმა პატრიარქს ისიც მოახსენეს, რომ ყველა მღვდელი და ეპისკოპოსიც კი, რომელთანაც მათ უსაუბრიათ, ამ ქალბატონის საქმიანობით შეწუხებულია. თუმცა, პატრიარქმა ეს მოსაზრება არ გაიზიარა და განაცხადა, რომ ქალბატონი შორენა თეთრუაშვილი უკვე მრავალი წელია, ერთგულად ემსახურება პირადად მას და საქართველოს ეკლესიას. პატრიარქის მხრიდან აქცენტი კეთდებოდა იმაზეც, რომ ეკლესიის პრობლემებზე სასაუბროდ სტუდენტების მიერ არჩეული ფორმა მიუღებელია. პატრიარქმა განაცხადა ისიც, რომ სტუდენტებს წერილი „24 საათში" არ უნდა გამოექვეყნებინათ, რადგან ბევრი ადამიანის მიერ, იგი ეკლესიისადმი არაკეთილგანწყობილი ძალების მედიასაშუალებად აღიქმება. პატრიარქის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ამ დისკუსიაში ჩართულია ორგანიზაცია „კმარა" და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ამასთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ „კმარას" როლი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითია, თუმცა განაცხადეს ისიც, რომ ამ შემთხვევაში მათ და „კმარას" საქმიანობას არავითარი კავშირი არ გააჩნია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ეკლესიის საკითხებზე საზოგადოებრივი დისკუსია იმართება, სტუდენტები ამაში ცუდს ვერაფერს ხედავენ, რადგან კრიტიკული კონტექსტი ეკლესიას მხოლოდ წაადგება. „ჩვენი მხრიდან კი ეს კრიტიკა არ არის, ეს თვითკრიტიკაა, თვითკრიტიკა კი საეკლესიო ენაზე სინანულს ნიშნავს," - ამბობენ ისინი.

წერილში დასმული დანარჩენი საკითხები, იქნებოდა ეს გასულ წლებში საპატრიარქოს ბიზნესი თუ სხვა, სტუდენტების სურვილის მიუხედავად, ამ შეხვედრაზე არ განხილულა. პატრიარქმა სტუდენტებს ურჩია, რომ როდესაც ისინი რომელიმე სასულიერო პირის მიმართ ბრალდებას აყენებენ, უფრო კონკრეტულები იყვნენ. ამიტომ სტუდენტები აპირებენ, მომავალ კვირას პატრიარქს წერილობით მიმართონ, სადაც ყველა პრობლემა უფრო ვრცლად და კონკრეტულად იქნება აღნუსხული. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამ წერილის მისაღებად მზადაა.

***რედაქციისაგან:***
*ადამიანების გარკვეული ჯგუფის აზრი ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ თუ „24 საათს" უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც ეკლესიისადმი არაკეთილგანწყობილი ძალების მედიასაშუალებად აღიქვამს, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა.*

# ნინო ბურჯანაძე ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელს სილვიუ პანცას და მისიის წევრებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის და ინპლემენტაციის საკითხებზე ისაუბრეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, საქართველოს აქტიური სწრაფვა ევროპულ ოჯახში დიდად არის დამოკიდებული საკანონმდებლო სივრცის საერთაშორისო სტანდარტებით შექმნაზე.

მისი ინიციატივით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტები სამართალდამცველი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან ერთად სისხლის სამართლის კოდექსს დახვეწენ.

სილვიუ პანცამ მისიის სახელით პარლამენტის თავმჯდომარეს კანონმდებლობის დახვეწაში და უპირველესად სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმირებაში დახმარება აღუთქვა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარლამენტის წარმომადგენლების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად გამოიძებნება. **ინტერ-პრესი**

# მობილურზე საუბარი ჯერ კიდევ შეიძლება

საპატრულო პოლიციის უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება-დადგენისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრო პარლამენტს კანონში ცვლილებათა პაკეტს წარუდგენს. მანამდე კი მძღოლებს ჯერ კიდევ აქვთ უფლება, ავტომანქანის მართვისას მობილური ტელეფონით თავისუფლად ისარგებლონ და არც უსაფრთხოების ღვედები გამოიყენონ. საქმე ისაა, რომ გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნა და „ავტომობილით სარგებლობისას მძღოლების მიერ მობილური ტელეფონების გამოყენების აკრძალვისა და უსაფრთხოების ღვედების გამოყენების შესახებ" კანონპროექტის მიღება გაზაფხულამდე გადადო.

ამგვარი გადაწყვეტილება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მას შემდეგ მიიღო, რაც შს სამინისტროს წარმომადგენელმა პარლამენტს აღნიშნული კანონპროექტის განხილვის ერთი კვირით გადადება სთხოვა.

შს სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, ჯერჯერობით, საპატრულო პოლიციის უფლებები და მოვალეობები ჩამოყალიბების სტადიაშია, ამიტომაც საპატრულო პოლიციას ამგვარი დარღვევების აღმოჩენა და მათი გაკონტროლება გაუჭირდება.

*24 საათი*

# პარლამენტში "ზვიადისტებისა" და... გემების საქმეები "ირჩევა"



იური ლობოდინის ფოტო

*იურიდიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა რეაბილიტაციას, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია უმრავლესობას.*

*დღევანდელ პარლამენტში წარმოდგენილი „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წევრები ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ შევარდნაძის რეჟიმის დემონტაჟი წალენჯიხიდან დაიწყო და „ზვიადისტების" აქტიური მონაწილეობით განხორციელდა. ამის „საკომპენსაციოდ", ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა გამსახურდიას მომხრეთა პოლიტიკურ და სამართლებრივ რეაბილიტაციას ითხოვენ.*

გიორგი ასანიშვილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინ მხარი დაუჭირა დადგინილების პროექტს „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ", აგრეთვე რეპრესირებულთა შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

თუ კომიტეტის გადაწყვეტილებას პარლამენტის პლენარული სხდომაც „დაადასტურებს", მოხდება ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება, ისინი სტატუსით კომუნისტურ ეპოქაში რეპრესირებულებს გაუთანაბრდებიან და შესაბამისი სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ.

საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორებს ნონსენსად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ის ადამიანები, ვინც, თავის დროზე, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დასაცავად იბრძოდნენ, დღემდე ძალაში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით, ითვლებიან სამშობლოს მოღალატეებად, სახელმწიფო დამნაშავეებად, ბანდიტებად, ტერორისტებად და ა.შ. კიდევ უფრო უცნაურია ის გარემოება, რომ ამ კატეგორიის ხალხი ამჟამინდელ ხელისუფლებაშიც კი არის წარმოდგენილი. კერძოდ, თავად ზვიად ძიძიგური, აგრეთვე გურამ აბსანძე, პეტრე გელბახიანი და სხვები.

რადგან ამ პირთა წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო განაჩენები ძალაშია შესული, მათი გადასინჯვა მხოლოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე დაყრდნობით შეიძლება. ზვიად ძიძიგურის აზრით, ასეთ გარემოებად ჩაითვლება პარლამენტის გადაწყვეტილება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ლეგიტიმურად ცნობის შესახებ, რაც შექმნის ამ ხელისუფლების მომხრეთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო წესით გადასინჯვის საფუძველს.

თუმცა, მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, აუცილებლად წარმოიქმნება ახალი პრობლემა - ხელისუფლების მემკვიდრეობაში გაჩნდება სამართლებრივი წყვეტა.

აღნიშნული საკითხის გადაჭრა კი ზვიად ძიძიგურს ზუსტად ისევე აქვს წარმოდგენილი, როგორც ეს ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში მოხდა: შეიკრიბება ყოფილი უზენაესი საბჭო და ცნობს დღევანდელი ხელისუფლების ლეგიტიმურობას.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ზვიად ძიძიგურის საკანონმდებლო ინიციატივას გუშინ მხარი დაუჭირა, საეჭვოა, პლენარულ სხდომაზეც იგივე მოხდეს: ოპოზიციის გუშინდელი წარმატება მხოლოდ შემთხვევითობას შეიძლება მივაწეროთ, როდესაც დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა, კომიტეტში შემავალი უმრავლესობის წარმომადგენლები, უბრალოდ, სხდომაზე არ იმყოფებოდნენ და დოკუმენტი, ძირითადად, „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წევრი დეპუტატების ძალისხმევით იქნა მიღებული.

■ ■ ■

საქართველოს საზღვაო საზღვრის დარღვევა ბოლო დრომდე ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მესაზღვრეები ხშირად ახერხებდნენ ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოსული ხომალდების დაკავებას, ამით კანონდარღვევათა რიცხვი არ მცირდებოდა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით გულუა ამის მიზეზად რამდენიმე გარემოებას ასახელებს. პირველი: მოსამართლეებსა და კანონდამრღვევებს შორის ადგილი ჰქონდა კორუფციულ გარიგებას; მეორე: საზღვრის დამრღვევი სასამართლოზე ითხოვდა, რომ სოხუმიდან მოეყვანათ მოწმე, რომელიც აფხაზეთის პორტში მისი ხომალდის ყოფნის ფაქტს დაადასტურებდა. ვინაიდან ასეთი რამ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, საზღვაო საზღვრის დამრღვევი იოლად აღწევდა თავს მართლმსაჯულებას; მესამე: დამნაშავე მხარე მიმართავდა საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენ ხომ მეგობრულ ქვეყნებს წარმოვადგენთო და... ასეთი „არგუმენტი", როგორც წესი, ჭრიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საზღვრის დამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმების სახით, 2003 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტში სულ რაღაც 300 ლარი შევიდა.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც გადაწყდა, რომ საზღვაო საზღვრის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობა 200 ათას ლარამდე გაზრდილიყო და ამ თანხის გადახდა ადგილზე, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მომხდარიყო. დავით გულუას მტკიცებით, ამან ის შედეგი გამოიღო, რომ დროის მცირე მონაკვეთში სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 2 მილიონი დოლარი შევიდა. და რაც მთავარია: „ფინანსური მარწუხების" წყალობით, საგრძნობლად შემცირდა იმ გემების რიცხვი, რომლებიც აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში უკანონოდ შედიან.

თუმცა, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში კვლავ უკუპროცესი დაიწყოს. ამ დღეებში პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, საზღვაო საზღვრის დარღვევა ადმინისტრაციულის ნაცვლად, კვლავ სისხლის სამართლის კოდექსში „გაიწერება", რაც ნიშნავს, რომ საზღვაო კანონდარღვევების გადაწყვეტა ისევ მოსამართლეთა პრეროგატივა გახდება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დავით გულუა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ - უშედეგოდ. სასაზღვრო უწყების წარმომადგენელი პარლამენტარებმა იმით ანუგეშეს, რომ დღევანდელი მოსამართლეები კორუმპირებულები არ არიან და ქვეყნის ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ.

# "უცხოელი სტუდენტები სტუდქალაქის ხელმძღვანელების მსხვერპლნი არიან"

„თურქეთიდან, პაკისტანიდან, ინდოეთიდან, ერაყიდან, სირიიდან, შრი-ლანკადან, მაროკოდან და მავრიკიიდან საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული უცხოელი სტუდენტები, უკვე რამდენიმე წელია, ბაგების სტუდქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან ფინანსური ძალადობის მსხვერპლნი არიან," - აცხადებენ ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრისა და საერთაშორისო კავშირის „მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის" წარმომადგენლები. მათი განმარტებით, საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუდენტთა უმრავლესობა, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, იძულებული არიან, ქირის გადასახადის სახით, წელიწადში 300 დოლარი გადაიხადონ. ხოლო მათ, ვისაც არასაკმარისად ან საერთოდ არ გააჩნია ქირის თანხა, ართმევენ კუთვნილ ქონებას - ტელევიზორს, მობილურ ტელეფონებს და სხვა ნივთებს. თუ სტუდენტს ოთახის შეცვლა სურს, მან ქრთამის სახით 100-დან 400 დოლარამდე უნდა გადაიხადოს. არაოფიციალურად დაწესებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობა სტუდენტებს ქვეყნიდან დეპორტირებით, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების გაუცემლობით და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრება.

როგორც თსუ-ს პედაგოგი მარინა არჯევანიშვილი აცხადებს, მას შემდეგ, რაც ის სტუდენტებს გვერდში დაუდგა და მომხდარი უსამართლობის გამო საჩივრები შეიტანა უშიშროებაში, გენერალურ პროკურატურასა და ვაკე-საბურთალოს პოლიციაში, საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობა მას გამოსახლებით დაემუქრა. არჯევანიშვილი ირწმუნება, რომ მას შესაშინებლად საპატრულო პოლიციაც მიუგზავნეს. „თუმცა, უშიშროების სამსახური დამეხმარა და დღესაც ბაგების სტუდქალაქში ვცხოვრობ," - აცხადებს მარინა არჯევანიშვილი.

სტუდენტები ფულის გამოძალვაში სულთან ჰალიმს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ მას თანხა ადმინისტრატორ ანზორ გორგიაშვილთან და საერთო საცხოვრებლის მმართველთან რევაზ სხირტლაძესთან მიაქვს. მათივე თქმით, სულთან ჰალიმი საერთო საცხოვრებელში ელექტრიკოსად არის გაფორმებული და საერთო საცხოვრებელში უკანონოდ ცხოვრობს. ის წარმოშობით ავღანელია და უკვე 21 წელია, საქართველოშია.

*მედია-ნიუსი*

## დემილიტარიზაცია ცხინვალის რეგიონში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე დემილიტარიზაციის პროცესით კმაყოფილია, თუმცა მიაჩნია, რომ ოსური მხარის მიერ უფრო კონსტრუქციული პოზიციის გამოვლენის შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეიძლება.

ხაინდრავას განცხადებით, კონფლიქტის ზონაში ერთ ქართულ სანგარზე დაახლოებით ათი ოსური სანგარი მოდის, რაც პარალელური სამუშაოების წარმოებას ართულებს. "რეგიონი ძალიან არის მილიტარიზებული, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ დღეებში ჯავაში იგეგმება ოსი სეპარატისტების სამხედრო შენაერთების წვრთნები," - აღნიშნა მან.

ხაინდრავას მონაცემებით, ამჟამად რეგიონში შედარებითი სიმშვიდეა და სროლა იშვიათად ისმის. **ინტერ-პრესი**

## მიხეილ სააკაშვილი "წლის არაევროკავშირელი მოქალაქე" გახდა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაიმარჯვა ნომინაციაში "წლის არა ევროკავშირის მოქალაქე".

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, გაზეთმა "ევროპის ხმამ" კონკურსში "წლის ევროპელები" გამარჯვებულები დაასახელა. ნომინაციაში "წლის არა ევროკავშირის მოქალაქე" საქართველოს პრეზიდენტმა გაიმარჯვა, რომელმაც, კონკურსის ჟიურის შეფასებით, 2004 წელს ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპის განვითარებაზე.

"წლის ევროპელები" ყოველწლიური კონკურსია, რომლის მიზანს წლის ყველაზე პოპულარული და გავლენიანი ევროპელების გამოვლენა წარმოადგენს. 50 ნომინანტიდან გამარჯვებულები ფართო საზოგადოების მიერ ინტერნეტის საშუალებით მიცემული ხმების დაჯამების შედეგად გამოვლინდა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემიის სახით მიღებული თანხა თბილისის დამწვრობის ცენტრის ბავშვთა განყოფილებას გადაეცემა. **ინტერ-პრესი**

## გალის რაიონში სამშვიდობო ბატალიონის როტაცია დასრულდა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ გალის რაიონის უსაფრთხოების ჩრდილოეთ ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ბატალიონის გეგმური როტაცია დასრულდა.

სოფელ ჭუბურხინჯთან დისლოცირებული 558-ე მოტომსროლელი ბატალიონი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ხუთასამდე სამხედრო მოსამსახურემ შეცვალა, რომლებიც გალის რაიონში ქალაქ მაიკოპიდან ჩავიდნენ. ისინი სოფლებში: საბერიოში, ნაბაკევში, ოტობაიაში, აგრეთვე ჭუბურხინჯთან და გალის რაიონის შესასვლელთან მოქმედ დსთ-ს სამშვიდობო ძალების 16 საგუშაგოზე გადანაწილდნენ.

558-ე მოტომსროლელი ბირგადა ამჟამად ოჩამჩირეში იმყოფება და იგი ქალაქ მაიკოპში 2 დეკემბერს რკინიგზით გაემგზავრება.

ამასთან, ცნობილია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ჩასვლაზე უარი განაცხადა დსთ-ს სამშვიდობო ძალების ახალმა სარდალმა, გენერალ-მაიორმა ვოლოშინმა, რომელიც ამ პოსტზე დსთ-ს ქვეყნების ასტანის სამიტზე დაამტკიცეს. სამშვიდობო ძალებს კვლავ ალექსანდრ ევტეევი უხელმძღვანელებს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების ყულევის პოლიგონზე დაგეგმილი საჰაერო თავდაცვის ძალების საფრენოსნო-ტაქტიკური წვრთნები უამინდობის გამო გადაიდო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 10 დეკემბერს თბილისში ვენეციის კონვენციის წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვა. კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით, დელეგაციის ვიზიტის მიზანს ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებასთან კონსულტაციების გამართვა წარმოადგენს. ხაინდრავამ იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ კონსულტაციებში ოსური მხარეც მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, მისივე თქმით, ჯერჯერობით, ქართულ მხარეს ოსი სეპარატისტებისთვის ამგვარი წინადადებით არ მიუმართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთებმა ჯავის რაიონში პირველი დეკემბრიდან სამხედრო წვრთნები დაიწყეს. როგორც სეპარატისტული ხელისუფლების ე. წ. ინფორმაციის კომიტეტში განმარტავენ, ეს გეგმური წვრთნებია, მისი ჩატარების შესახებ კი კონფლქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის ინფორმირება საჭირო არ იყო, რადგან ჯავის რაიონი კონფლიქტის ზონაში არ შედის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიცია" საქართველოს პარლამენტისგან საჯარო მოხელეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითხოვს. ამგვარი მოთხოვნით "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი დავით საგანელიძე პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ გამოვიდა, რაც ფრაქციამ კომიტეტს საკანონმდებლო ინიციატივის სახით "საჯარო მოხელეთა შესახებ" კანონში და შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებები შესთავაზა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო

FM 107.4

„ჩვენ შიდსის ეპიდემიისაგან ქვეყნის გადარჩენის შანსი გვაქვს“

„რადიო ტალღა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე


**წამყვანები** ლეო ჯიბლაძე, გაგა გობრონიძე, გიორგი ბაბალაშვილი
**სტუმარი** დალი უშარიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი გზა
ნიკა არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი გზა



**დალი უშარიძე:** ერთ-ერთი უმთავრესი ზიანი, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებას მოაქვს, ინფექციების გავრცელებაა. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია დავიცვათ ნარკოტიკების მომხმარებლები შიდსის ვირუსისა და სხვა ინტრავენური გზით გადამდები დაავადებისგან.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შიდსის ვირუსი, პირველ რიგში, ნარკოტიკების მოხმარებლებს შორის ვრცელდება. შემდეგ ეტაპზე ნარკოტიკების მოხმარებლების ირგვლივ მყოფი ადამიანები ინფიცირდებიან. როდესაც ქვეყნის მოსახლეობის ერთ პროცენტზე მეტი ინფიცირებულია, მაშინ საუბარია ეპიდემიაზე. ასეთი ტრაგიკული სიტუაცია უკვე შეიქმნა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში -- რუსეთში, უკრაინასა და მოლდოვაში.

ნარკოტიკების მოხმარების გამო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი სასჯელი უნდა გაუქმდეს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ გამართულა არც ერთი სასამართლო პროცესი, რომელზეც განსასჯელი ნარკოტიკების მომხმარებელი იქნებოდა, ანუ ეს კანონი ისედაც არ სრულდება. დაკავებული ნარკოტიკების მომხმარებლების 85 პროცენტს საბუთებს არ უფორმებენ და ფულს ართმევენ. ჩვენი გამოთვლებით წელიწადში დაახლოებით 2 მილიონი ლარი კორუმპირებული პოლიციელების ჯიბეში მიდის.

**ნიკა:** ნარკოტიკების მომხმარებლებს ვაწვდით საინექციო და სადეზინფექციო საშუალებებს, პრეზერვატივებს, იმისათვის, რომ ინფექციის გავრცელება გამოვრიცხოთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელს ვუწყობთ ნარკომანიას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ სენის, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჩვენთან შიდსისა და სხვა ინტრავენური დაავადებების გავრცელების წყაროს ნარკომანები წარმოადგენენ.

# უკრაინა - გადამწყვეტი ფაქტორი ყველა ჩვენგანისათვის

პირველი გვერდიდან

როგორც უკრაინის მეზობლები და მეგობრები, ვიმედოვნებთ, რომ ეს გზა მოკლე და მშვიდობიანი იქნება.

სწრაფი განვითარება გადამწყვეტია საქართველოსთვისაც, რადგან 2003 წლის ნოემბერში დასახულ დემოკრატიული განვითარებისაკენ მიმავალ დინამიურ პროცესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის შიდა განვითარებისთვის შესაძლოა, უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს. არსებობს ანტიდემოკრატიული ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი რეფორმების შესუსტებას და არასტაბილურობას.

ეს პროცესები გადამწყვეტია რუსეთისთვისაც. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, გაითვალისწინებს თუ არა რუსეთი ამ რეალობის სიმძიმეს და დათანხმდება თუ არა იმ აზრს, რომ იმპერია არ არსებობს. ეს გადამწყვეტი არჩევანი, რომელიც მან ჯერ კიდევ ვერ განსაზღვრა საქართველოსთან მიმართებაში, სწორედ ის ეგზისტენციალური არჩევანია, რომლითაც მის მიერ წარმოებული რეგიონული პოლიტიკა განვითარდება.

ემოციური თვალსაზრისით, საქართველოზე უარის თქმა მეტად მძიმეა. უპირველეს ყოვლისა, რუსეთისთვის იგი ოცნებების, პოეზიისა და დასვენების ადგილია, რომელიც მოაკლდა. მაგრამ უკრაინაზე უარის თქმა უფრო მეტად მძიმე რეალობა და იმის ნიშანი იქნება, რომ უკან მისაბრუნებელი გზა მოჭრილია და იმპერიული ოცნებები აღარ არსებობს.

ემანსიპირებულ უკრაინასთან მოსკოვს არ ექნება სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ დასჯერდეს იმპერიის გარდასულ ძალაუფლებას. ის თავის ზეგავლენას საერთაშორისო ჩარჩოებშიც ასეთი გზით წარმართავს. ამგვარად, ევროპა იპოვის პარტნიორს, რომელსაც ასე ელოდა.

ეს მოვლენები არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროპისთვის, მისი საგარეო პოლიტიკისთვის - ევროპის კონტინენტი დადგება კვლავ ორად გაყოფის რისკის წინაშე, რაც დამოკიდებული იქნება უკრაინის დემოკრატიულობასა თუ ავტორიტარულობაზე - განსაკუთრებით ევროპის საერთაშორისო იმიჯისათვის, რომელიც „რეალისტური“ იქნება იმ შემთხვევაში, თუ არ გარისკავს დასუსტებულ რუსეთთან მიმართებაში, ან იქნება „მორალისტური“, თუ თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალისხმევას კიევში დემოკრატიის დამყარებისკენ მიმართავს.



ბესო გულაშვილის ფოტო

*როგორც უკრაინის მეზობლები და მეგობრები, ვიმედოვნებთ, რომ ეს გზა მოკლე და მშვიდობიანი იქნება.*

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენები ევრო-ამერიკულიცაა. თუ ევროპა ხელახლა დაუტოვებს ვაშინგტონს მონოპოლიას თავდაცვის სფეროში, ეს დემოკრატიის გზაზე წარმოქმნის დაბრკოლებას ახალი წევრების ატლანტიკურ ენთუზიაზმსა და ევროკავშირის დამაარსებელი წევრი ქვეყნების სკეპტიციზმს შორის, რაც უშედეგოდ შეიძლება იქნეს აქცენტირებული.

დღეისათვის უკრაინის დახმარება ყველა ევროპელის ვალია, ისევე, როგორც ყველა დემოკრატის. საქართველოც ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და მონაწილეობას მიიღებს ამ პროცესებში. მაგრამ უნდა განისაზღვროს, რას ნიშნავს უკრაინისთვის დახმარების გაწევა. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს კონფრონტაციისა და დაპირისპირების ხელშეწყობას, რამაც შესაძლოა, არეულობა გამოიწვიოს. უკრაინისთვის დახმარების გაწევა ახლო მომავალში მოლაპარაკებების გზით გამოსავლის მოძებნას ნიშნავს. უკრაინისთვის დახმარება ხანგრძლივი დროის პერსპექტივაში იგივე რუსეთის დახმარებაა, იმისათვის, რომ მან სხვაგვარად განსაზღვროს თავისი მომავალი.

საქართველოს მიერ თავის ძლიერ მეზობელთან მიმართებაში წარმოებული პოლიტიკის აზრი შემდეგში მდგომარეობს: დაარწმუნოს რუსეთი, რომ სტაბილურობა აუცილებელია და დღეისათვის ყოველგვარი დესტაბილიზაცია ტერორიზმსა და არაკონტროლირებად ძალებს უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია მოსკოვის დარწმუნება იმაში, რომ ისეთი პოზიტიური საშუალებები, როგორიცაა ეკონომიკა და კულტურა, კონსტრუქციულ როლს ასრულებს კონფლიქტების მოგვარების დროს. ასევე, საჭიროა, წარმოვაჩინოთ ის, რომ რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირება ტერიტორიებზე კონტროლისთვის მშვენიერია, თუმცა წარსულია. დღეს ჩვენ ვეწერებით ახალი თანამშრომლობის სისტემაში, სადაც ისეთ მნიშვნელოვან და სტრატეგიულ რეგიონში, როგორიცაა კავკასია, ყოველთვის მოიძებნება ადგილი ყველასთვის - როგორც ყოფილი ლეგიტიმური მფარველისთვის, ისე ამერიკისა და ევროპისთვის, მათი გამოკვეთილი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით. არც ერთი ზეგავლენა არ უნდა იყოს ექსკლუზიური და ამან არ უნდა გამოიწვიოს კონფრონტაცია.

უკრაინას შეუძლია და უნდა გაჰყვეს კიდეც ამ ფილოსოფიას. მხოლოდ ამ შემთხვევაში დასთანხმდება რუსეთი, რომ უკრაინამ გადაწყვიტოს თავისი ბედი. მან არ უნდა დაუშვას ის, რომ ეს არჩევანი გამორიცხავს ან აპირისპირებს რუსეთის ზეგავლენას სახელმწიფოს მიმართ, რომელთანაც ის საუკუნეების მანძილზე დაკავშირებულია საერთო კულტურით, ეროვნული უმცირესობებით და ეკონომიკური ინტერესებით. ეს უნდა იყოს არჩევანი, რომელიც უკრაინას მისცემს საშუალებას, დაუახლოვდეს ევროპას ისე, რომ არ დაიკარგოს სპეციფიური კავშირები რუსეთთან.

ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რუსეთი უკრაინას თავისუფალი არჩევანის საშუალებას მისცემს. საპირისპირომ შეიძლება გამოიწვიოს ანტირუსული განწყობილება, რომელიც იკვებება არა ფუნდამენტალური ანტაგონიზმით, არამედ მოსკოვის პოლიტიკური გადაწყვეტილებებით.

ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ ევროპა მზად იქნება, უკრაინას თავისი კუთვნილი ადგილი მიანიჭოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონს დემოკრატიის დაცვის მონოპოლია არ მიეცემა და ძირითად მოკავშირესთან ერთად იმოქმედებს.

*Le Monde*
*30.11.04*

# აშშ-ს ელჩის საკითხები დაუგროვდა

პირველი გვერდიდან

ეუთო-ს მონიტორინგის მისიის მანდატის გაგრძელების საკითხი (საუბარია ეუთო-ს მონიტორინგის მისიაზე, რომელიც კონტროლს უწევს საქართველოს საზღვრის მონაკვეთს რუსეთთან), რიჩარდ მაილსის ინფორმაციით, უნდა გადაწყდეს ვენაში, ეუთო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრაზე. **„პრეზიდენტმა, თავის მხრივ, დაადასტურა სურვილი მანდატის გაგრძელებისა. შეერთებული შტატების პოლიტიკა არის ის, რომ მხარი დაუჭიროს საქართველოს მთავრობას სურვილების განხორციელებაში,“** - დასძინა დიპლომატმა.

სააკაშვილმა და მაილსმა, დახურულ კარს მიღმა, ისაუბრეს უახლოესი მომავლისთვის დაგეგმილ ვიზიტებზეც. კერძოდ, 5-9 დეკემბრისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მიემგზავრება შეერთებულ შტატებში. ხოლო საქართველოში ჩამობრძანდება ოთხვარსკვლავიანი გენერალი, აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარის მოადგილე პეისი და ამერიკის თავდაცვის მინისტრის მეორე მოადგილე მაკდუგალი.

აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რიჩარდ მაილსმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა: **„იქ ამჟამად ძალზე დელიკატური სიტუაციაა შექმნილი და მე არ ვისურვებდი დეტალებში ჩაღრმავებას. ალვნიშნავდი, რომ საკმაოდ ბრძნული იქნება, წინდახედულება გამოვიჩინოთ. შეერთებულოი შტატების მთავრობის სახელით შეგვიძლია, ვთქვათ: ჩვენ ვცდილობთ, ამგვარი თავშეკავებული პოზიცია დავიკავოთ. იგივეს ცდილობენ საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩები, რომლებიც საქართველოში არიან. საქართველოს მთავრობის პოზიციაც თავშეკავებულია.“**

სააკაშვილი-მაილსის საუბარი „ბიზნესსფეროში შექმნილ სიტუაციაზე“, გულისხმობდა ქუთაისის გუბერნატორის გია გეწაძის მიერ „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ადგილობრივი ფილიალის ორი თანამშრომლის ცემის ფაქტს. თუმცა, თავად მაილსი ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლა: **„ერთ-ერთი კორპორაციის თხოვნით, პრეზიდენტს კონკრეტულ საკითხზე ვესაუბრე. კონკრეტული პრობლემის, საკითხის და თავად კორპორაციის დასახელებისგან თავს შევიკავებდი.“**

ჟურნალისტების შეკითხვების შემდეგ მაილსმა დიპლომატისთვის ჩვეული სიფრთხილით დააკონკრეტა: **„დიახ, მე შევეხე იმ თემას, რომელიც იმერეთის გუბერნატორის საქციელს უკავშირდება. პრეზიდენტი საქმის კურსში იყო. მას უკვე საუბარი ჰქონდა გუბერნატორთან და კვლავაც დაუკავშირდება.“**

ამერიკის საელჩო ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ პოზიციას არ აფიქსირებს.

არაოფიციალური ინფორმაციით, კომპანიის მესვეურები გუბერნატორ გეწაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებენ.

# სოხუმი-მოსკოვის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა

ნინო გომართელი

კრემლი რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე კონტროლს ამკაცრებს.

**"მე მხარს ვუჭერ კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ალექსანდრ ტკაჩოვის გაკეთებულ განცხადებას, რომ აფხაზეთში ვითარების დაძაბვის შემთხვევაში, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი დაიკეტოს,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა, რომელიც ამჟამად სოხუმში იმყოფება. ამასთან, მან უარყო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ტკაჩოვის განცხადებას იგი "სისულელედ" აფასებდა.

**"მსგავსი დეზინფორმაციების გავრცელებით, რიგი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ანტირუსულ ძალებს ემსახურებიან, რომლებიც რუსეთის საზღვარზე ვითარების დესტაბილიზებისაკენ მიილტვიან,"** - განაცხადა კოლესნიკოვმა.

2 დეკემბრიდან რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდება, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში აღდგა და, თავის მხრივ, ქართული პოლიტიკური სპექტრის სერიოზული პროტესტი გამოიწვია.

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის თანაშემწე გენადი ბუკაევი რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლის შეწყვეტას **"აფხაზეთში დაძაბულობის ესკალაციას"** უკავშირებს.

**"რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს აფხაზეთის ლეგიტიმური პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას მცდელობას, აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება სტაბილური გახადოს და ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატაროს,"** - აღნიშნავს იგი. მაგრამ დაძაბულობა რეგიონში მაინც არ ცხრება.

**"მე ულტიმატუმებს არანაირ კომენტარს არ გავუკეთებ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ოპოზიციონერმა სერგეი ბაგაფშმა. მისი პასუხის მკაცრი ტონი კი გამოიწვია შეკითხვამ, რომელიც ეხებოდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერ რეზერვისტთა ათასკაციანი ჯგუფის მიერ წამოყენებულ ულტიმატუმს, რომლებიც აცხადებენ, რომ 6 დეკემბერს ინაუგურაციის ჩატარების შემთხვევაში, რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე პასუხისმგებლობა სწორედ რომ ბაგაფშს დაეკისრება.

აფხაზეთში რუს მაღალჩინოსანთა ვიზიტების გახშირების მიუხედავად, ოპოზიციის ლიდერი პოზიციების დათმობას არ აპირებს და სოხუმში 6 დეკემბრისათვის დაგეგმილი ინაუგურაციისთვის მზადებას განაგრძობს.

**"ჩვენ ინაუგურაციის ცერემონიალისათვის მზადებას განვაგრძობთ და ახლა მოსაწვევ სტუმართა სიაზე მუშაობას ვასრულებთ,"** - განაცხადა მან.

აფხაზეთში ჩატარებული საარჩევნო პროცედურების კანონიერების ადგილზე შესასწავლად მოსკოვიდან სოხუმში ჩასული რუსი ძალოვანების ვიზიტს ბაგაფში სწორედ **"მოახლოებული ინაუგურაციის ჩაშლის მცდელობას"** უკავშირებს.

**"თუ მოსკოვში ვინმეს აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების კანონიერების დადგენა სურდა, ამისათვის მათ საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ. ახლა კი, როცა ინაუგურაციის დღე მოახლოვდა, რუსეთის შს მინისტრის მოადგილის ალექსანდრ ჩეკალინის, გენერალური პროკურორის მოადგილის ვლადიმირ კოლესნიკოვისა და ცესკო-ს იურისტთა დიდი ჯგუფის აფხაზეთში ვიზიტი მოსკოვის კიდევ ერთი არასწორი ნაბიჯია,"** - აღნიშნავს იგი.

ამავდროულად, ბაგაფშის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ **"მოსკოვი არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ გაერთიანებას ხელოვნურ პრობლემებს უქმნის,"** მისი და მისი გუნდის რუსეთისადმი დამოკიდებულება **"არ შეცვლილა და არც მომავალში შეიცვლება."**

ამავე დროს, იგი აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მასალების რუსი იურისტების მიერ შესაძლო ექსპერტიზის წინააღმდეგ გამოდის.

როგორც ბაგაფშმა ჟურნალისტებს განუცხადა, რესპუბლიკაში გამართული არჩევნების საერთაშორისო ექსპერტიზა აფხაზეთის კანონმდებლობაში გათვალისწინებული არ არის.

სერგეი ბაგაფში მიიჩნევს, რომ **"აუცილებელია იმის ცოდნა, ვისი დავალებით ჩამოვიდნენ ეს სპეციალისტები, ეთანხმებიან თუ არა ასეთ საექსპერტო შეფასებას არჩევნებში მონაწილე მხარეები და აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია."**

ამასთან, მისი განცხადებით, **"ვისი თანხმობაც არ უნდა არსებობდეს, სამართლებრივი საფუძველი ასეთი ქმედებისთვის არ არის."**

თავის მხრივ, პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა რაულ ხაჯიმბამ პოზიტიურად შეაფასა რუსი იურისტების განზრახვა, შეისწავლონ არჩევნების დოკუმენტები.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთის ცესკო-ს იურისტების მიერ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვაში ცუდს ვერაფერს ხედავს და თუ არჩევნებზე დაშვებულ იქნა შეცდომები და დარღვევები, მათ გამოვლენაში დაეხმარებიან.

მისი თქმით, **"მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი აზრის მოსმენა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარმოიქმნა აფხაზეთის ცესკო-ს ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი გადაწყვეტილება."**

აფხაზეთის სიწმინდეების მსახურთა უმაღლესი საბჭო კი მხარს უჭერს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას. ამის შესახებ ნათქვამია სპეციალურ განცხადებაში, რომელიც საბჭომ გაავრცელა.

მათი თქმით, აფხაზეთის სიწმინდეეების მსახურთა საბჭო, 15 კაცის შემადგენლობით, რომელშიც აფხაზეთის ყველა რაიონის უხუცესები შედიან, 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს არშემდგარად მიიჩნევს და პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს - სერგეი ბაგაფშს და რაულ ხაჯიმბას აფხაზეთში თანხმობისა და მშვიდობის მისაღწევად მომხრეების დამშვიდებისკენ მოუწოდებს.

საბჭოს წევრები მხარს უჭერენ არაღიარებული რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის განკარგულებას, რომლის მიხედვით, აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ხელმეორედ უნდა ჩატარდეს. მათივე განცხადებით, განმეორებითი არჩევნების ჩატარებამდე ისინი მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას უფლებამოსილებას აღიარებენ.

თავის მხრივ, ვლადისლავ არძინბა კი იმედოვნებს, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საზოგადოებაში განხეთქილება მალე აღმოიფხვრება.

**"მე მჯერა, რომ განხეთქილება ხანმოკლე იქნება. იმისათვის, რომ ეს გადავლახოთ, აუცილებელია დიალოგი და კომპრომისის ძებნა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთი ამაში დიდ როლს შეასრულებს,"** - განაცხადა არძინბამ გაზეთ "Новые Известия"-სთან ინტერვიუში.

**"ჩვენ არ გვაქვს უფლება, იმ ზღვარს გადავაბიჯოთ, რომლის უკანაც სამოქალაქო ომია,"** - ხაზს უსვამს ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი.

# ამერიკის ელჩი ქართველ მესაზღვრეებს პრეზიდენტთან შუამდგომლობს

**„ცოტა არ იყოს, მოსვლა და ახალ ხელმძღვანელთან გასაუბრება დამიგვიანდა, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი კარგადაა. საზღვრის დაცვის ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რა და როგორ გააკეთოს, მაგრამ ამის განხორციელებაში ხელს მას, ძირითადად, ისეთი პრობლემა უშლის, როგორიც მწირი ფინანსებია. ბუნებრივია, რომ ეს ამ სტრუქტურაში პროფესიონალი კადრების მოზიდვას და კორუფციასთან ბრძოლას ხელს სულაც არ შეუწყობს. მაშინ, როცა მთელ რიგ სტრუქტურებში ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა, სასაზღვრო უწყებას ეს არ შეხებია,“** - ამგვარი დასკვნა საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან პირისპირ საუბრის შემდეგ გააკეთა. მაილსის ბიწაძესთან შეხვედრა ელჩის მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრამდე შედგა. ამერიკის ელჩი ბადრი ბიწაძეს დაჰპირდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სასაზღვრო უწყებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენას და ხელფასების დაახლოებით იმ დონემდე გაზრდას სთხოვდა, როგორც ეს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში მოხდა.

მაილსის შეხვედრა „საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის“ ფარგლებში შედგა. პროგრამა ქართველი მესაზღვრეებისა და მებაჟეებისათვის სწავლება-მეცადინეობების ჩატარებას და ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს და 1998 წლიდან ხორციელდება. ბიწაძესთან შეხვედრის შემდეგ ელჩმა დაადასტურა, რომ პროგრამა, რომლის განსახორციელებლად აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით დოლარი გამოიყოფა, მომავალ წელსაც გარძელდება.

*ლენა მიქაძე*

# უკრაინაში ეკონომიკური კრიზისის ნიშნები გამოჩნდა

*ცხადია, პოლიტიკური კრიზისი, მით უმეტეს რევოლუციური სიტუაცია, ყოველთვის და ყველგან ახდენს სერიოზულ ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ დაახლოებით ერთი კვირაა, რაც უკრაინულ ბანკებთან გრძელი რიგები გაჩნდა. მოსახლეობას, საბანკო კრიზისის მოახლოების მოლოდინში, ბანკებიდან ანაბრები გამოაქვს და თანხები უცხოურ ვალუტაში გადაჰყავს. რუსეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიურად ადევნებს თვალს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. გუშინ რუსულ საინფორმაციო საშუალებებში გაიჟღერა ფრაზამ, რომ შესაძლოა, უკრაინის ეკონომიკა 90-იანი წლების პერიოდში დაბრუნდეს. პროცესების ასე გაგრძელების შემთხვევაში მოვლენათა უკეთესი განვითარების პერსპექტივას არც უკრაინის ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ნიკოლაი აზაროვი ვარაუდობს და მთავრობას გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდებს.*

დიანა ჩაჩუა

უკვე ორი დღეა, საერთაშორისო რეიტინგული სააგენტო „მუდისი“ უკრაინას მოსალოდნელი საბანკო კრიზისის შესახებ აფრთხილებს. **„თუ სიტუაცია ასე გაგრძელდება და კონტროლიდან გამოვა, სისტემური კრიზისის პოტენციური ალბათობა არსებობს,“** - აცხადებს სააგენტო.

ყოველი მსგავსი განცხადება ქვეყანას ეკონომიკურ პანიკაში აგდებს. ქვეყნის დასავლეთ რეგიონების ბანკირები მოსახლეობას მოუწოდებენ, აჟიოტაჟს არ აჰყვნენ და ანგარიშებიდან ანაბრების მოხსნისა და მათ უცხოურ ვალუტებში გადაყვანისაგან თავი შეიკავონ.

**„რიგი პიროვნებების განცხადებებმა საბანკო ბაზარზე არასტაბილური სიტუაცია გამოიწვია,“** - ნათქვამია უკრაინის დასავლეთ რეგიონების ბანკების ასოციაციის მიერ გუშინ გავრცელებულ მიმართვაში. **„მოსახლეობა აჟიოტაჟით ხსნის ანაბრებს ანგარიშებიდან, ცდილობს, გრივენებში არსებული დანაზოგები დოლარებში და ევროებში გადაიყვანოს. ასეთი გზით ისინი თავისი დანაზოგების გაუფასურებისაგან დაცვას ცდილობენ,“** - განაცხადა ჩერნოვიცკის რეგიონის ნაციონალური ბანკის ფილიალის ხელმძღვანელმა ბოგდან კოვჩმა. მისი თქმით, მხოლოდ ნოემბერში მისი რეგიონის მოსახლეობამ ანგარიშებიდან 18 მილიონი დოლარი მოხსნა, **„ანუ გაცილებით მეტი, ვიდრე ჩადეს,“** - აღნიშნავს ის.

უკრაინის ნაციონალურმა ბანკმა მიმდინარე პროცესებზე რეაგირება ორი დღის წინ მოახდინა, როცა ზოგიერთი საბანკო ოპერაციის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ბანკ „ავალის“ თავმჯდომარემ ალექსანდრ დერკაჩმა განაცხადა, ეს დროებითი ზომებია და ქვეყანაში ფინანსური ბაზრის სტაბილიზაციაზე იქნება გამიზნული. **„ყველა ეს ზომა უკრაინის ნაციონალური ბანკის და მსხვილი კომერციული ბანკების ხელმძღვანელობის ერთობლივ შეხვედრაზე სრული ერთსულოვნებით იქნა მიღებული,“** - ხაზი გაუსვა დერჩაკმა.

კერძოდ, მისი თქმით, ბაზარზე დადებით გავლენას მოახდენს დეპოზიტების ვადამდელი გადახდის დროებითი აკრძალვა. **„თუ ყველა მეანაბრე ერთდროულად მოადგება ბანკს თავისი დეპოზიტებისათვის, ამას ვერც ერთი ბანკი, ყველაზე ძლიერიც კი, ვერ გაუძლებს,“** - განაცხადა დერჩაკმა. ამასთან, მისი აზრით, ეს აკრძალვა ბანკების ფილიალებთან არსებული რიგების ლიკვიდაციას მოახდენს და მოსახლეობის პანიკურ განწყობილებასაც შეასუსტებს.

არანაკლებად „შიშის მომგვრელად“ ჟღერდა უკრაინის ფინანსთა მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება. **„საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგმა კვირამ ქვეყანაში სიტუაციის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია, პირველ რიგში კი - ეკონომიკაში და ფინანსურ სფეროში,“** - განაცხადა სამშაბათს უკრაინის უმაღლესი რადას პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას ქვეყნის პირველმა ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა. მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტში შიდა ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებმა ოთხჯერ იკლო, ხოლო ადრე ნავარაუდევი საქონლის და მომსახურების ექსპორტი, შესაძლოა, შვიდი-რვა პროცენტით შემცირდეს.

აზაროვის თქმით, ნოემბრის ბოლო დღეების განმავლობაში უკრაინის ვერც ერთმა რეგიონმა ვერ შეასრულა ბიუჯეტის გეგმა და დანაკლისმა მილიარდ 146 მილიონი გრივენი შეადგინა. ასევე, გასული რამდენიმე დღის მანძილზე, ოქტომბრის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიუჯეტში მრეწველობიდან მიღებული შემოსავლები 34 მილიონი გრივენით, ტრანსპორტიდან - ცხრა მილიონი გრივენით, მშენებლობიდან - 26 მილიონი გრივენით, ხოლო ვაჭრობიდან - 38 მილიონი გრივენით შემცირდა.

ამას გარდა, უკრაინის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინის სათბობ-ენერგეტიკულ, ნავთობის, გაზის, სატრანსპორტო სფეროებში და კომუნალურ მეურნეობაში საგადასახადო სიტუაცია კვლავ უბრუნდება კრიზისულ მდგომარეობას. კერძოდ, ნოემბერში, ბუნებრივ გაზზე საწარმო „ტეკის“ დავალიანება 90 მილიონი გრივენით გაიზარდა. მისივე ინფორმაციით, ტრანზიტული გადაზიდვები ოქტომბერთან შედარებით ოთხი პროცენტით, ხოლო საწარმოების შემოსავლები ხუთი პროცენტით შემცირდა.

**„საწარმოების გადაუხდელი თანხების უკან ხელფასების, პენსიების და სხვა სოციალური ფონდების დაგვიანებული ანაზღაურება დგას. საშიშროების ქვეშ დგას ასევე სოციალური პროგრამების შესრულებაც,“** - დასძინა აზაროვმა.

გუშინ, ბრიტანულმა ინტერნეტ გამოცემა „ბიბისიმ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ კარნეგის ფონდის ექსპერტთან და უკრაინის მთავრობის ყოფილ ეკონომიკურ მრჩეველთან ანდრეს ოსლუნდთან, რომელმაც უკრაინული ეკონომიკის მდგომარეობა შეაფასა და წინასაარჩევო კამპანიის ღირებულება დაასახელა. ექსპერტი, სხვებისაგან განსხვავებით, უკრაინული რევოლუციისაგან დადებით ეკონომიკურ შედეგებსაც ვარაუდობს. მისი აზრით, ეს ბოლოს მოუღებს ბიზნესზე ბიუროკრატიულ ზეწოლას.

**„თუმცა არჩევნებამდე იყო, რა თქმა უნდა, რამდენიმე საგანგაშო სიგნალიც. მაგალითად, როცა პრემიერმა იანუკოვიჩმა და ნაციონალურმა ბანკმა მოსახლეობის პენსიების გასაორმაგებლად ბევრი ფული დაბეჭდეს და ამით ინფლაციის ტემპები გაზარდეს,“** - განაცხადა ოსლუნდმა.

წინასაარჩევნო კამპანიაზე საუბრისას ექსპერტმა განაცხადა, რომ ბუშმა და იანუკოვიჩმა წინასაარჩევნო კამპანიებზე თითქმის ერთნაირი თანხები დახარჯეს. **„იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ვნახე, სრულიად მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს დასახელებული 600 მილიონი დოლარი. ამ თანხის ნახევარი უკრაინელი ბიზნესმენებისაგან ჩაირიცხა, დანარჩენი - რუსული კომპანიებისგან, პირველ რიგში კი, „გაზპრომისგან.“ ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო კამპანია 670 მილონი დოლარი დაჯდა. ასე რომ, ბუშმა და იანუკოვიჩმა თითქმის ერთნაირი თანხები დახარჯეს,“** - აღნიშნა ოსლუნდმა.

როგორც ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, უკრაინის ინდიკატიური ევროობლიგაციების ფასი სამშაბათის ვაჭრობაზე ინვესტორების იმედიანი განწყობილების წყალობით გაიზარდა. ისინი პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანად დასრულებას და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას იმედოვნებენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დაბა ბაკურიანის სანატორიუმი „კოხტა“ და კიკეთის „დასასვენებელი კოტეჯები“ 28 დეკემბერს აუქციონის წესით გაიყიდება. როგორც „ინტერ-პრესს“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, სამინისტრო ტურისტული ობიექტების პრივატიზებას განაგრძობს. სანატორიუმ „კოხტას“ საწყისი გასაყიდი ფასი 55 000 დოლარს შეადგენს, მიწის ფართის სიდიდე 5 100 კვ.მ-ია. კიკეთის „დასასვენებელი კოტეჯების“ საწყისი გასაყიდი ფასი 20 000 დოლარია, მიწის საერთო ფართი კი - 11 500კვ.მ. სამინისტროს ინფორმაციით, 28 დეკემბერს აუქციონზე სანატორიუმს და კოტეჯებს ის მყიდველი შეიძენს, რომელიც ამ ობიექტებში მაქსიმალურ ფასს გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი განახლდა. როგორც „ინტერ-პრესს“ „სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ განუცხადეს, დღეს დილით მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიან გადამცემ ხაზ „კავკასიონზე“ მომხდარი ავარია ლიკვიდირებულია და რუსეთიდან ელექტროენერგიის შემოდინება დაიწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 დეკემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის პოლიტსაბჭო შეიკრიბება და ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობასა და რეგიონებში მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების საკითხზე იმსჯელებს. პოლიტსაბჭოს მუშაობაში მონაწილეობას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელმა ინვესტორმა - კომპანია „მეტალგეომ“ გუშინ, გვიან ღამით, კომბინატიდან 501 ტონა მილნამზადი იტალიაში გაიტანა. კომბინატის რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი ამ ფაქტის გამო სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს. როგორც ქაშაკაშვილმა „ინტერ-პრესთან“ საუბარში განაცხადა, იტალიელებს ქარხანა ამ თვის ბოლოს უნდა აემუშავებინათ, თუმცა რატომღაც მათ შემოტანილი მილნამზადის გატანა დაიწყეს. „ეს იმას მოწმობს, რომ ინვესტორი ქარხანას არ აამუშავებს. ამ დროს კი რუსთავში სოციალური ფონი იძაბება, რადგან იტალიელებს საახალწლოდ ხელფასები და პენსიები გასაცემი აქვთ,“ - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

"ს/ს თელასის"
განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**2 დეკემბერს, 11.00-დან 15.00სთ-მდე:**

ვაჟა-ფშაველას VI კვარტლის, შავიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს.

# პარლამენტი და მთავრობა ავტომობილების დაბეგვრის თემაზე ვერ თანხმდება

თამარ ივანიძე

*საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებმა გუშინ საგადასახადო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვა დაიწყეს. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, საკომიტეტო მოსმენები მიმდინარე კვირის ბოლომდე გაგრძელდება, პარასკევს კი პრემიერ-მინისტრ ჟვანიასთან კოდექსის სადავო საკითხები საბოლოოდ შეთანხმდება.*

**„ქონების გადასახადისა და ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის საკითხები, სავარაუდოდ, პარასკევისთვის გადაიდება,“** - განაცხადა გოცირიძემ. კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ანთელიძემ ის შენიშვნები წარმოადგინა, რომლებიც ფინანსთა სამინისტრომ კონსულტაციების შედეგად გაითვალისწინა.

შეთანხმებული საკითხების მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაზე ფინანსთა სამინისტრო, ჯერჯერობით, უარს აცხადებს. კერძოდ, არ შეიცვლება კერძო საპენსიო ფონდის დაბეგრვის მექანიზმი, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსშია ჩადებული და შენატანების დაბეგვრას ითვალისწინებს. ასევე უცვლელი რჩება პროექტში გათვალისწინებული ენერგეტიკის სექტორის დაბეგვრის რეჟიმი, რომელიც ამჟამად მოქმედისგან რადიკალურად განსხვავდება.



*ზურაბ ნოღაიდელი ავტომანქანების იმპორტის დღგ-თი დაბეგვრას კატეგორიულად მოითხოვს.*

იური ლობოდინის ფოტო

საქმე ეხება დარიცხული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის რეჟიმს. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს ელექტროენერგიაზე დღგ-ს გადახდა მოუწევთ არა ფაქტობრივად ამოღებული თანხებიდან, არამედ დარიცხული ელექტროენერგიის მოცულობიდან, რაც, ექსპერტთა აზრით, კომპანიების მდგომარეობას საგრძნობლად გააუარესებს.

დისკუსია გაიმართა გუშინ მანქანების დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებითაც. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ავტომანქანების იმპორტის დღგ-თი დაბეგვრას კატეგორიულად მოითხოვს. როგორც ნოღაიდელმა გუშინ პარლამენტში ჟურნალისტებს განუცხადა, დრო მოვიდა, ავტომანქანების დაბეგვრის რეჟიმი შეიცვალოს და **„ნორმალურ პირობებში დავიწყოთ მუშაობა.“**

**„ავტომანქანების იმპორტი დამატებული ღირებულებით და აქციზით უნდა დაიბეგროს. შეიძლება, აქციზი გარკვეული ფიქსირებული ოდენობით შემოვიღოთ, მაგრამ აუცილებელია, ავტომანქანების იმპორტიორებმა დღგ გადაიხადონ. ეს ჩემი კატეგორიული პოზიციაა,“** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, **„ქვეყანაში უნდა იყოს სამართლიანობა და ყველა სექტორისადმი ერთნაირი მიდგომა. არ შეიძლება, პურის შეძენისას მომხმარებელი დღგ-ს იხდიდეს, ხოლო ავტომანქანის შეძენისას - არა,“** - აღნიშნა მინისტრმა, რომლის პროგნოზით, გადასახადის ადმინისტრირების პრობლემა ქვეყანაში არ იქნება, რადგან საგადასახადო ორგანოები აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის უკვე მზად არიან.

ავტომანქანების იმპორტი ამჟამად მანქანის კუბადურობის მიხედვით, ფიქსირებული გადასახადით იბეგრება. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და ავტომანქანების იმპორტიორთა ასოციაცია აღნიშნული რეჟიმის შეცვლის წინააღმდეგ გამოდიან.

როგორც იმპორტიორები აცხადებენ, აღნიშნული რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, საქართველოში იმპორტირებული ავტომანქანები გაძვირდება და საერთაშორისო მარკის ავტომობილების წარმომადგენლობები დაიხურება.

ფინანსთა სამინისტროს ოპონენტთა აზრით, საქართველოში არსებობს ადმინისტრირების პრობლემა, ამიტომ სასურველი იქნება, შენარჩუნებულ იქნეს ფიქსირებული გადასახადი, რადგან ის ადვილად ადმინისტრირებადია.

საგადასახადო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვას პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტები დღეს გააგრძელებენ. დღეს დილიდან, კომიტეტებში კოდექსის მუხლობრივი განხილვა დაიწყება. ახალი საგადასახადო კოდექსი 200-ზე მეტი მუხლისგან შედგება.

# გილაურს აფრთხილებენ, ნოღაიდელს ტაშს უკრავენ

*ენერგეტიკა და ბიუჯეტი გახლდათ ის ორი მთავარი ეკონომიკური თემა, რომელიც მთავრობამ გუშინ ჟურნალისტებისთვის გახსნა და რომელთაგან ერთი საყვედურების, მეორე კი - სამთავრობო ტაშის ღირსი გახდა.*

თამარ ხორბალაძე

სწორედ მაშინ, როცა ავადცნობილი ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ გაითიშა და თითქმის მთელი საქართველო, თბილისის გარეუბნებიანად, ჩაბნელდა, ნიკა გილაური მთავრობას მოსალოდნელ ზამთარზე ესაუბრებოდა.

მისი განცხადებით, საქართველოს მთელი რიგი რაიონების ენერგომომარაგებაში არსებული პრობლემები მეტნაკლებად ორ-სამ კვირაში მოგვარდება. **„დაახლოებით ორ-სამ კვირაში დასრულდება დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონების გამრიცხველიანება. ამისათვის იგეგმება 6 000 მრიცხველის შემოტანა და დამონტაჟება,“** - ამბობს გილაური და მისი ვარაუდით, ამის შემდეგ რეგიონების ელექტრომომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

გარდა ამისა, მინისტრის აზრით, ენერგოსისტემას მნიშვნელოვნად წაადგება უახლოეს მომავალში დაგეგმილი „თბილსრესის“ მე-3 ბლოკის ჩართვა, რაც ენერგოსისტემას დაახლოებით 120 მეგავატს მოუტანს. იგეგმება ასევე „ლაჯანურჰესის,“ „შაორჰესისა“ და „ხრამ-2“-ის ამუშავება, რაც დამატებით 40 მეგავატ ელექტროენერგიას მისცემს სისტემას.

გილაურის თქმით, დღეს ის რაიონული ცენტრებისთვის გაწერილ გრაფიკებს გამოაქვეყნებს, სოფლებისთვის გაწერილი გრაფიკი კი, დაახლოებით, ერთ კვირაში იქნება მზად.

რაც შეეხება დღეისათვის არსებულ მდგომარეობას, მინისტრის მონაცემებით, რუსთავს ამჟამად ელექტროენერგია თითქმის 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება, ქუთაისის მოსახლეობის 80-90-პროცენტი ელექტროენერგიით ასევე 24 საათის განმავლობაშია უზრუნველყოფილი, 8-საათიანი გრაფიკით მიეწოდება ელექტროენერგია გორს, წალენჯიხას და მცხეთას.

მინისტრის განცხადება ბოლომდე სანდოდ არ ეჩვენა პრემიერ-მინისტრს, რომელმაც განაცხადა, რომ ნიკა გილაურის მიერ ენერგეტიკოსებისგან მიღებული ინფორმაცია არ ემთხვევა ხოლმე გუბერნატორების და გამგებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. აქვე პრემიერმა კიდევ ერთხელ მისცა „გამოსაცდელი ვადა“ ნიკა გილაურს, რომელიც მოგვიანებით მანვე დაიცვა ეკონომიკის მინისტრისგან.

ენერგეტიკისგან განსხვავებული სიტუაციაა შექმნილი საბიუჯეტო სფეროში - როგორც გუშინ გახდა ცნობილი, მიმდინარე წლის ბიუჯეტის 110 მლნ ლარიანი გადაჭარბებით შესრულების გამო აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტისგან საბიუჯეტო ცვლილებებს მოითხოვს.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, გარკვეული ცვლილებები მიმდინარე წლის ბიუჯეტში აუცილებელია, რათა დამატებით მობილიზებული თანხები დაუყოვნებლივ მოხმარდეს პრიორიტეტულად მიჩნეული სფეროების აღორძინებას.

მინისტრის ინფორმაციით, ნოემბრის თვის საგადასახადო შემოსავლები 22 მილიონი ლარით არის გადაჭარბებული.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, გადაჭარბებული 110 მილიონიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები დაიფარება. საუბარია ტექნიკუმებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების სახელფასო დავალიანებების დაფარვაზე. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, მთლიანობაში ამ კატეგორიის ადამიანების სახელფასო დავალიანება დაახლოებით 17 მილიონ ლარს შეადგენს და იგი 10 დეკემბრამდე იქნება გასტუმრებული.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ფინანსთა მინისტრს ამისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ ადამიანებს დიდი ხანია, მსგავსი საახალწლო საჩუქარი არ მიუღიათ.

ნოღაიდელის თქმით, ამ კვირაში დაიწყო დამატებით კიდევ ერთი თვის საპენსიო დავალიანებების გასტუმრება, რომელიც დაახლოებით 8 მილიონ ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის ბოლოსათვის ზოგადად, სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დასაფარად იგეგმებოდა 200 მილიონი ლარის გამოყოფა, თუმცა, საამისოდ 250 მილიონის მობილიზება მოხერხდა.

ფინანსთა მინისტრისავე ინფორმაციით, მომავალ წელს ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტები პენსიების გაორმაგება, თავდაცვის და ენერგეტიკის სფეროების დაფინანსება, ასევე საგარეო და შიდა ვალების მომსახურება იქნება. მისივე განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2 200 000 000 ლარით განისაზღვრება. ამავდროულად, ნოღაიდელი მოითხოვს თითოეული მინისტრისგან, 2005 წლის ბიუჯეტის განხილვისას, პრინციპულად დაიცვას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ბიუჯეტი და თითოეული მისი მუხლი.

თუმცა, მიუხედავად გამოთქმული მადლობებისა და ტაშისა, ნოღაიდელის გამოსვლა მაინც გახდა კრიტიკის საგანი - ეკონომიკის მინისტრმა პრივატიზაციიდან მობილიზებული 40 მილიონის ენერგეტიკის სფეროსთვის გადაცემა გააპროტესტა და, ხედვის არქონის გამო, ენერგეტიკის მინისტრიც შემოელანძღა. კახა ბენდუქიძის თქმით, ვიდრე არ მოხდება ენერგეტიკის სფეროში მაკროეკონომიკური გათვლები, მანამდე ენერგეტიკის სფეროში ჩადებული ეს თანხა ტყუილად გაიფლანგება.

**„თუ ამას ვერ ხედავს ენერგეტიკის მინისტრი, იგი დებილია ან სამსახურიდან არის დასათხოვი,“** - განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა. ბენდუქიძის განცხადებამ მის გვერდზე მჯდომი, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აღაშფოთა, რომელმაც ეკონომიკის მინისტრისგან ახსნა-განმარტებები მოითხოვა. როგორც გილაური აცხადებს, მართალია, ქვეყანაში ენერგოკრიზისია, თუმცა თბილისში სიტუაცია მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. „ჯობს, ბენდუქიძემ ქვეყანაში არსებული ყველა ჰესი ჩამოიაროს და თავად დაინახოს, თუ რა მდგომარეობაა თითოეულ ჰესზე,“ - განაცხადა მინისტრმა.

შექმნილი დაძაბულობა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განმუხტა. როგორც ჟვანიამ განაცხადა, შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელშიც 2005 წელს პრივატიზაციიდან შემოსული თანხების აკუმულირება მოხდება. **„მომავალ წელს მთავრობა პრივატიზაციიდან 200 მილიონი ლარის შემოსავლის მიღებას გეგმავს, საიდანაც 40 მილიონი - ენერგეტიკის სფეროში, 80 მილიონი - თავდაცვის, ხოლო 17 მილიონი განათლების სფეროში დაიხარჯება. დანარჩენი თანხა საგარეო ვალის მომსახურებას მოხმარდება,“** - აღნიშნა მან.

ჟვანიას თქმით, აღნიშნული თანხები კვარტალურად გაიწერება, პარალელურად კი თანხების ხარჯვა მოხდება.

თუმცა, ეკონომიკის მინისტრი არც შემოსავლების კვარტალურად გაწერას ეთანხმება და აცხადებს, რომ პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების დაგეგმვა არ შეიძლება, ვინაიდან პრივატიზაციის დაჩქარებამ შესაძლოა, თანხების შემცირება გამოიწვიოს.

ინციდენტი საბოლოოდ სხდომის შემდეგ ამოიწურა, როცა ეკონომიკის და ენერგეტიკის მინისტრებმა „გაარკვიეს“, რომ ბენდუქიძეს, თურმე, საკუთარი თავი ჰყავდა მხედველობაში. ამასთან: **„ჩვენ არ უნდა მოგვეწონდეს მთავრობის ისეთი სხდომები, რომლებიც პანაშვიდივით ტარდება,“** - განაცხადა ბენდუქიძემ.

კახა ბენდუქიძის თქმით, დისკუსია ნორმალური პროცესია და ამასთან, ვიდრე ამა თუ იმ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ყველას აქვს საშუალება, საკუთარი აზრი გამოთქვას.

**„კარგია, როდესაც ჩვენ არ გვეშინია ამ დისკუსიების გამართვა ტელეკამერების წინ და მიმაჩნია, რომ ეს არის საჯაროობის მიღწევა. კარგი იქნება, თუ თქვენ არ იტყვით, რომ ჩვენ ვიჩხუბეთ ან ზურაბ ჟვანიამ მე მიჩქმიტა და მსგავს სისულელეებს. თუ მინისტრს ექნება იგივე აზრი, რაც პრემიერ-მინისტრს, ეს კარგი არ არის. მინისტრმა საკუთარი აზრი მკაფიოდ უნდა გამოთქვას და ეკამათოს სხვა პოლიტიკურ მოხელეს, იქნება ის მასზე მაღლა თუ დაბლა მდგომი,“** - აღნიშნა კახა ბენდუქიძემ.

პრეტენზიები ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილსაც, რომელიც 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოეთში საქართველოს საელჩოებისათვის შენობების შესყიდვასა და ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საწევროების დავალიანების დასაფარად თანხების გამოყოფას ითხოვს.

თუმცა, ფინანსთა მინისტრმა საგარეო საქმეთა მინისტრს „ცივი წყალი გადაასხა“: ნოღაიდელის განცხადებით, უახლოეს პერიოდში საელჩოებისათვის შენობების შეძენა შეუძლებელია. რაც შეეხება საწევროების დავალიანებებს, მის დასაფარად მილიონი ლარია გამოყოფილი. ამასთან, ცალკე თანხებია გამოყოფილი გაერო-სა და ევროსაბჭოს საწევროებთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, მთავრობამ გუშინ ბიუჯეტის ნოღაიდელისეული პროექტი მოიწონა.

## საბიუჯეტო მონიტორინგი

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 29 ნოემბრის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 141,91 მლნ ლარი, შეიძლება ითქვას, რომ ნოემბრის თვის პროგნოზი 134,01 მლნ ლარი უკვე გადაჭარბებულია 7,9 მლნ ლარით. დეკემბრის თვის საპროგნოზო მაჩვენებელი არის წლის ყველაზე დიდი მაჩვენებელი და, დაახლოებით, 180 მლნ ლარს შეადგენს. მაქსიმალური შესრულება სექტემბრის თვეში იყო 163,71 მილიონი.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო დეპარტამენტმა წლიურ გეგმას უკვე 18,68 მლნ ლარით გადააჭარბა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ხოლო საგადასახადო დეპარტამენტს დარჩა 19,26 მლნ ლარი ამოსაღები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმის შესასრულებლად.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს, წინა თვეში ვიუწყებოდით, რომ არასაგადასახადო შემოსავლების, გრანტებისა და დეფიციტის წყაროების დაუფინანსებლობის გამო, წლის ბოლომდე გასაწევია 402,1 მლნ ლარის ხარჯი, ხოლო ხაზინის ანგარიშზე დღეისათვის არის 54,64 მლნ ლარი. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის ხარჯების გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით, ხოლო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯების გეგმა შესრულებულია 88 პროცენტით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს: გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, წელს მობილიზებულია 1,8-ჯერ მეტი თანხა.






# შეთანხმება მიღწეულია - მოლაპარაკებები გაგრძელდება

პირველი გვერდიდან



აღნიშნავდა - "რაც შეეხება არჩევნების თარიღს... რაც მალე იქნება, მით უკეთესი... პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე... და ეკონომიკური მოსაზრებებითაც". მანამდე კი კიდევ ერთი ცივი დღე დასრულდა, რომელმაც იუშენკოს მხარდამჭერების პოზიცია უფრო გაამყარა.

### იანუკოვიჩი მთავრობის მეთაური აღარ არის?

ასეთ კითხვაზე პასუხი დადებითიც შეიძლება იყოს და უარყოფითიც. გუშინ უკრაინაში საკმაოდ გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა.

უკრაინის გაჭიანურებული "ნარინჯისფერი რევოლუციის" მეათე დღე (თუ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ დაწყებული საპროტესტო მოძრაობიდან ავითვლით) ოპოზიციის პირველი სერიოზული გამარჯვებით დაიწყო. გუშინ უმაღლესმა რადამ უკრაინის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იანუკოვიჩი პრემიერ-მინისტრი აღარ არის. მანამდე უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ უნდა მოაწეროს ხელი მინისტრთა კაბინეტის გადადგომის განკარგულებას.



*შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ თავად მხარეების განცხადებით, ისინი უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან.*

კუჩმას თანხმობის შემთხვევაშიც კი, ფაქტობრივი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, იანუკოვიჩი, ახალი მთავრობის დაკომპლექტებამდე, მინისტრთა კაბინეტის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად დარჩება. ანუ თითქმის არაფერი შეიცვლება, სანამ ახალი, რადას ნდობით აღჭურვილი მთავრობა არ დამტკიცდება. არსებული სიტუაციდან გამომდინარე კი, როდის მოხდება ეს, ძნელი სავარაუდოა. მართალია, გუშინ პრემიერ-მინისტრის პოსტზე სავარაუდო კანდიდატების სახელებსაც განიხილავდა ოპოზიცია - სახელდებოდა ალექსანდრ მოროზი, იულია ტიმოშენკო, ვლადიმირ ლიტვინი - მაგრამ, ჯერჯერობით, არაფრის დაზუსტებით თქმა არ შეიძლება.

მიუხედავად ამისა, უმაღლესი რადას გუშინდელი გადაწყვეტილება უდავოდ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ერთი დღით ადრე ოპოზიციამ ეს გადაწყვეტილებაც ვერ მიაღებინა უკრაინის კანონშემოქმედებს და რადას შენობაში ლამის აღშფოთებული ხალხის შტურმი დაიწყო. თუმცა, იუშენკომ აქაც აჩვენა, რომ სრულად მართავს სიტუაციას და რადას შენობაში თითქმის შეჭრილ თავის მომხრეებს უკან დაახევინა.

### ევროპელი შუამავლების მეორე მისია

გუშინდელი დღის მთავარ მოვლენად მაინც დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებთა მეორე რაუნდის ჩატარება შეიძლება ჩაითვალოს. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა, პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტები, ალექსანდრ კვასნევსკი და ვალდას ადამკუსი, ეუთოს ხელმძღვანელი იანუშ კუბიში და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი ბორის გრიზლოვი კიევში სიტუაციის დარეგულირების მცდელობით უკვე მეორედ ჩადიან. მარინის სასახლეში იუშენკო-იანუკოვიჩის შეხვედრა აღნიშნული პირების თანდასწრებით, რომელსაც, ბუნებრივია, უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა უძღვებოდა, პრაქტიკულად, რაიმე სერიოზული შედეგის გარეშე დასრულდა. მართალია, შეხვედრის შემდეგ კუჩმა აცხადებდა, რომ ოპოზიციასთან შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ თავად მხარეების განცხადებით, ისინი უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან.

მაინც რას გულისხმობს დოკუმენტი, რომელზეც დაფიქსირებულ ხელმოწერებს ასეთი თავმოწონებით უჩვენებდა კუჩმა მარინის სასახლეში შეკრებილ ჟურნალისტებს. მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ სამ ძირითად საკითხზე: 1. გამორიცხონ ძალის გამოყენების შესაძლებლობა; 2. მოიხსნას ბლოკადა სახელმწიფო დაწესებულებებზე; 3. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოინახოს არჩევნების დასრულების იურიდიული გზები.

როგორც იუშენკო შეხვედრის შემდეგ განმარტავდა, ამ შეთანხმებით გადაწყდა იანუკოვიჩის გადადგომის საკითხიც. მან დაადასტურა, რომ შესაძლოა, ვიქტორ ფიოდორის ძემ კვლავაც განაგრძოს მთავრობის ხელმძღვანელობა, მაგრამ იგი ამას მხოლოდ და მხოლოდ, როგორც პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, გააკეთებს.

ასე რომ, შეთანხმება შედგა, თუმცა, რა შედეგებს გამოიღებს ეს მცდელობა, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ასეთ ეჭვს ისიც აღვივებს, რომ იუშენკოც და იანუკოვიჩიც შეხვედრის დასრულების შემდეგ უკმაყოფილონი ჩანდნენ. კომენტარები არ გაუკეთებიათ შუამავლებსაც.

სავარაუდოდ, ევროპელ შუამავლებს კიდევ ერთხელ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დასჭირდებათ უკრიანაში ჩასვლა.

### ტემპი შენელდა - რევოლუციური მუხტი ჯერ კიდევ არ განელებულა

ნათელია, რომ კუჩმა ყველა ხერხით ცდილობს, უკრაინაში მიმდინარე პროცესებს რევოლუციური აურა ჩამოაცილოს. ამისკენ იყო მიმართული შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი მუხლი - სახელმწიფო დაწესებულებების ბლოკირების შეწყვეტა. მაგრამ, იუშენკოს მომხრეებისთვის მასობრივი სახალხო პროტესტის განწყობის შენარჩუნება კიევის ქუჩებში უაღრესად მნიშვნელოვანია (თუნდაც იმავე უმაღლეს სასამართლოს წევრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოსახდენად). ასე რომ, მართალია, შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ოპოზიციამ თავისუფლების მოედანზე თავმოყრილებს დაშლისაკენ მოუწოდოს.

მაგრამ ისმის კითხვა: როდემდე შეიძლება, ხალხის ქუჩაში დგომა გაგრძელდეს? უკრაინის დედაქალაქში სუსხიანი ზამთარი დგას და მას, სავარაუდოდ, ცოტა ხანში დემოკრატიული მომავლისათვის მებრძოლთა რევოლუციური შემართებაც ველარ გაათბობს.

# ბუშის კაბინეტიდან კიდევ ერთი ერთგული მეგობარი მიდის

## თანამდებობა შიდა უსაფრთხოების მდივანმაც დატოვა

ნინო გომართელი

"ტომ რიჯი ამერიკას წლების განმავლობაში ემსახურებოდა, როგორც გამორჩეული სამხედრო მოსამსახურე, შეერთებული შტატების კონგრესმენი და პენსილვანიის გუბერნატორი. ის ჩემი დიდი ხნის მეგობარია და მე მას მადლობას ვუხდი ლიდერობისა და ჩვენი ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურისთვის. მისი დახმარებით დღეს ამერიკა გაცილებით უსაფრთხოა და ჩვენს მთავრობას უკეთ შეუძლია საკუთარი მოსახლეობის დაცვა. მე მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ," - ასეთი განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმეორედ არჩეულმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აშშ-ს შიდა უსაფრთხოების მდივნის ტომ რიჯის თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯორჯ ბუშის გუნდში ცვლილებები გრძელდება. ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების მდივანმა ტომ რიჯმა დატოვა პოსტი. ის აშშ-ს ადმინისტრაციის კიდევ ერთი წევრია, რომელიც ჯორჯ ბუშის ხელმეორედ არჩევის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა.

2 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შემდეგ, გადადგომის შესახებ კაბინეტის რამდენიმე წევრმა გააკეთა განცხადება. მათ შორის უმთავრესი - აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელისა და გენპროკურორ ჯონ ეშკროფოტის წასვლა იყო. ჯერჯერობით, თანამდებობაზე რჩება ბუშ უმცროსის კაბინეტის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა დონალდ რამსფელდი. თუმცა, სავარაუდოდ, მომავალში ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა მასაც მოუწევს.

აღსანიშნავია, რომ პირველი, ვინც ამ თანამდებობაზე დაინიშნა, სწორედ ტომ რიჯი იყო. პრეზიდენტის თქმით, რიჯი მის მთავრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მუშაობდა რა იმისათვის, რომ ამერიკა გაცილებით ძლიერი და უსაფრთხო გახდა.

"შიდა უსაფრთხოების საკითხში პრეზიდენტის მრჩევლად და შიდა უსაფრთხოების მდივნად მუშაობისას, მან ბოლო 50 წლის მანძილზე, ფედერალური სახელმწიფოს ყველაზე მასშტაბური რეორგანიზაცია მოახდინა. მისმა მცდელობამ და მუშაობამ შედეგი გამოიღო, სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე უსაფრთხოების ხარისხი გაიზარდა, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურისა და ამერიკული სახელმწიფოებრიობის დაცვა. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამერიკელი მოსახლეობის რეალური საფრთხისაგან დაცვის კუთხით, მან სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი შეასრულა," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

დეპარტამენტი, რომელსაც რიჯი ხელმძღვანელობდა, 2003 წლის იანვარში შეიქმნა. დაახლოებით ერთი წლით ადრე, 2001 წელს, 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, ჯორჯ ბუშმა იგი შიდა უსაფრთხოების საკითხებში თავის მრჩევლად დანიშნა.

მანამდე ტომ რიჯი შეერთებული შტატების კონგრესში ექვსჯერ აირჩიეს, 1995 წელს კი პენსილვანიის გუბერნატორი გახდა.

შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტში 180 ათასი ადამიანი მუშაობს და იგი 22 სამთავრობო სააგენტოს შერწყმით შეიქმნა. მისი მთავარი დანიშნულება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ახალი ტერორისტული თავდასხმების თავიდან აცილებაა.

რიჯის სამსახურმა ექვსჯერ მიიღო გადაწყვეტილება, ტერორისტული თავდასხმებისათვის მზადყოფნა განგაშის "ნარინჯისფერ" ხარისხამდე გაეძლიერებინათ, რაც თითქმის საბრძოლო განგაშის გამოცხადებას ნიშნავდა.

თავად ტომ რიჯი კატეგორიულად უარყოფდა გავრცელებულ ხმას იმის თაობაზე, რომ ამ გადაწყვეტილებათა ნაწილი ჯორჯ ბუშის რეიტინგის გასაზრდელი ღონისძიება იყო.

"ჯერ ყველაფერი არ არის გაკეთებული, მაგრამ დღეს ამერიკა გაცილებით ძლიერი და დაცულია, ვიდრე ოდესმე," - განაცხადა ტომ რიჯმა სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბოლო დროს გავრცელებული ხმების შესაბამისად, იგი თანამდებობის დატოვების შემდეგ ბიზნესსაქმიანობაში ჩართვას აპირებს.

როგორც თავად რიჯი ამბობს, ამიერიდან იგი აპირებს, მეტი დრო დაუთმოს ოჯახს და პირად ცხოვრებას.

ჯერჯერობით, რიჯი ისევ ადგილზე რჩება და თუ მანამდე მისი შემცვლელი არ დამტკიცდა, თავის მოვალეობებს 2005 წლის პირველ თებერვლამდე შეასრულებს.

## ორი სიტყვით

**კუბა.** კუბის ხელისუფლებამ ცნობილი დისიდენტი, ჟურნალისტი რაულ რივერო გაათავისუფლა, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულების მცდელობისათვის იყო გასამართლებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჟურნალისტი, რომელიც მიმდინარე წელს თავისუფალი სიტყვის დაცვისათვის იუნესკო-ს პრემიითაც დაჯილდოვდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს ვადაზე ადრე. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ჯერ მისთვის ბრალდება არ მოუხსნიათ, იგი უკვე სახლშია გადაყვანილი, მას შემდეგ, რაც სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა დედაქალაქის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, რათა მკურნალობის კურსი დაასრულოს. გათავისუფლებული დისიდენტი იმ 75 კუბელს შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც "აშშ-ის დაქირავებულ აგენტობაში" იყო ბრალდებული და გასული წლის აპრილში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეთქმულების მცდელობისათვის გასამართლებული. აღნიშნული ჯგუფის წევრებს თავისუფლების აღკვეთის სხვადასხვა ვადები მიესაჯათ, ზოგიერთ მათგანს 28 წლამდეც. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყში მომავალი წლის დასაწყისში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების სირთულეებთან დაკავშირებით აშშ იქ დისლოცირებული საჯარისო შენაერთების 10-11 000 ჯარისკაცით გაზრდას აპირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია პენტაგონმა გაავრცელა. ტელეკომპანია "ენ-ბი-სი"-ს თანახმად, გეგმის განსახორციელებლად აშშ-ს ერაყში 1-ლი ქვეითი და ჯავშანკავალერისტთა 1-ლი დივიზიის დატოვება მოუწევს, რომელთა გამოყვანასაც ამერიკა უკვე ამ თვეში ვარაუდობდა. გარდა ამისა, დაჩქარდება ერაყში მე-3 ქვეითი და 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის გადასროლაც, ისევე როგორც გრაკვეული ნაწილი საზღვაო ქვეითი ნაწილისა. ამდენად, ერაყში ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი დაახლოებით 150 000-ს მიაღწევს. თუმცა, "ასეთ შემთხვევაშიც 9 000 საარჩევნო უბნის წარმატებით დაცვის გარანტიები არ არსებობს", აღნიშნულ იქნა სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებაში. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**რუსეთი.** სახელმწიფო სათათბირომ, გუშინ მეორე მოსმენით მიიღო პრეზიდენტ პუტინის მიერ შეთავაზებული კანონპროექტი "რუსეთის რეგიონების ხელმძღვანელთა არჩევის ახალი წესის შესახებ". დოკუმენტის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს, გუბერნატორის კანდიდატურა ორჯერ შეიტანოს რეგიონულ პარლამენტში. 30 დღის განმავლობაში პარლამენტმა ან უნდა დაამტკიცოს ან უარყოს წარმოდგენილი კანდიდატურა. ორჯერ უარის შემდეგ პრეზიდენტს შეუძლია, თავისი ბრძანებულებით დანიშნოს რეგიონის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი, ან დაითხოვოს რეგიონული პარლამენტი. გუშინვე სახელმწიფო სათათბირომ მიიღო დებულება, რომლის მიხედვით, უკლებლივ ყველა არჩეული გუბერნატორი თანამდებობიდან გადადგება, როგორც კი რეგიონების ხელმძღვანელთა არჩევის ახალი წესი შევა ძალაში. როგორც ვარაუდობენ, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების მეთაურთა დანიშვნის კანონპროექტის მესამე მოსმენა სახელმწიფო სათათბიროში პარასკევს, 3 დეკემბერს გაიმართება, რის შემდეგაც, დეპუტატების მიერ მოწონების შემთხვევაში, მას ფედერაციის საბჭო განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სერბეთი.** რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, ცოტა ხნის წინ არჩეულ სერბეთის პრეზიდენტ ბორის ტადიჩზე თავდასხმა განხორციელდა. ამის შესახებ იუწყება პრეზიდენტის პრეს-სამსახურზე დაყრდნობით "ასოშეიტიდ პრესი". ტადიჩი ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა. თავდასხმა სამშაბათს, გვიან საღამოს ბელგრადის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე პრეზიდენტის კორტეჟის გადაადგილებისას განხორციელდა. "აუდის" მარკის შავმა ავტომანქანამ რამდენჯერმე სცადა ბორის ტადიჩის ლიმუზინთან შეჯახება, თუმცა, დაცვა მას ამის საშუალებას არ აძლევდა. დაჯახების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ "აუდი" გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა. მომხდარის სხვა დეტალებზე ინფორმაცია არ გავრცელებულა. უცნობია თავდამსხმელის შესაძლო მოტივებიც. ბალკანეთის ამ სახელმწიფოში პოლიტიკოსებზე თავდასხმას ადრეც ჰქონდა ადგილი. მათგან ყველაზე ხმაურიანი 2003 წლის მარტში მოხდა, როდესაც ბელგრადში სერბეთის "ხავერდოვანი რევოლუციის" წინამძღოლი, შემდგომში პროდასავლური პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი მოკლეს. აღსანიშნავია, რომ სერბეთის ახლანდელი პრეზიდენტი ბორის ტადიჩი იმავე დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა, რომელსაც ზორან ჯინჯიჩი ედგა სათავეში. **24 საათი**

# აშშ მოკავშირედ კანადასაც განიხილავს

ხათუნა გაბიევი



*ჯორჯ ბუში: "მე ის ბიჭი ვარ, რომელიც იმას აკეთებს, რაც სწორად მიაჩნია"*

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის პირველი ოფიციალური ვიზიტი ოტავაში პარლამენტის შენობის წინ ხალხმრავალი მშვიდობიანი დემონსტრაციების ფონზე დაიწყო. მართალია, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის დაპირისპირებას ადგილი მაინც ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ უმნიშვნელო ინციდენტად შეფასდა.

უკანასკნელ ხანს, ჩრდილოეთ ამერიკის ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავება ერაყულ კამპანიასა და საგარეო ვაჭრობის წესების შემოღებაზე კამათს უკავშირდება. საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემების თანახმად, კანადელთა უმრავლესობა არ იყო საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ბუშის ხელმეორედ გამარჯვების მომხრე.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯორჯ ბუშმა და კანადის პრემიერ-მინისტრმა პოლ მარტინმა აღნიშნეს, რომ არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე შეთანხმების მიღწევა მაინც შეძლეს.

"ბიბისი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორივე ქვეყნის ლიდერი დაპირისპირების მიზეზების დავიწყებას შეეცადა და კიდევ ერთხელ აღნიშნეს იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ სწორედ მათ ქვეყნებს ჰყოფს მსოფლიოში ყველაზე დიდი საზღვარი, რომელსაც არ იცავს სასაზღვრო ჯარი, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია ნდობის გამტკიცებისა და თანამშრომლობისათვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანადის ხელისუფლების მიერ საზღვრის უსაფრთხოების მიზნით მიღებული ზომები ბუშს უკომენტაროდ არ დაუტოვებია. "მე მივიღე გადაწყვეტილებები, რომლებიც კანადაში ვიღაცებს არ მოეწონათ. მე კი ის ბიჭი ვარ, რომელიც იმას აკეთებს, რაც სწორად მიაჩნია," - განაცხადა ბუშმა. შეხვედრისას აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივით ზოგადად მიმოხილულ იქნა აშშ-ს იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-კანადის მომავალი თანამშრომლობის საკითხიც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანადის მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათმა ქვეყანამ თავი უნდა შეიკავოს აშშ-ს ზემოაღნიშნულ თავდაცვის პროექტში მონაწილეობისაგან. თანაც მნიშვნელობა არა აქვს იმასაც, რომ ოტავა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოამერიკული თავდაცვის კავშირში. კანადასა და აშშ-ს სირთულეები აქვთ სავაჭრო ურთიერთობებშიც, მიუხედავად ამისა, ამ ორ ქვეყანას შორის პროდუქციის ყოველდღიური ტვირთბრუნვის ღირებულება დაახლოებით 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია ასევე, რომ ერაყში არჩევნების ჩატარებისას თეთრი სახლი მომხრეა კანადა მისი მოკავშირე იყოს, როგორც არჩევნების სამზადისში, ასევე ერაყელი სამხედროების წვრთნის პროგრამაშიც.

ოტავიდან კი აშშ-ს პრეზიდენტი გალიფაქსში გაემგზავრა, სადაც მან მადლობა გადაუხადა კანადელებს 11 სექტემბრის მოვლენების დროს აღმოჩენილი თანადგომისათვის, როცა ატლანტის ოკეანისპირა პროვინციების აეროპორტებმა საგანგებო ვითარებაში მისცეს დაფრენის უფლება ათობით თვითმფრინავს, რომლებიც აშშ-ს მიმართულებით მიფრინავდნენ.

# "ძველ სახეთა" დაკარგვის ხანა

თამარ დვალი

**- თქვენ ცეკას რუპორი იყავით და თქვენნაირ უკულტურო ადამიანს მე ფულს არ გადავუხდი. თქვენ ხართ შეურაცხადი. თქვენ უნდა მოდიოდეთ და ყოველ წუთში მიხდიდეთ ბოდიშს, რადგან ჩემი მშობლები და ბებიები ფულს გიხდიდნენ იმ უმსგავსობაში, რასაც პირველი არხით გადასცემდით. მე პირადად, როგორც ერთი გადამხდელი, არ ვარ თანახმა ჩემი ფული მოხმარდეს უზნეობის პროპაგანდას. ჩემი ნება რომ იყოს, აქამდეც გაგათავისუფლებდით სამსახურიდან,** - ეჩხუბებოდა ლევან რამიშვილი ტელევიზიის ყოფილ თანამშრომლებს.

**- თუკი მე ცეკას რუპორი ვარ, თქვენ სოროსის რუპორები ხართ. კომკავშირელმა ზაზა შენგელიამ როგორ უნდა გამათავისუფლოს სამსახურიდან? ამდენი წელი ჩემს ქვეყანას ვემსახურე და ახლა მეუბნებით, რომ უზნეობას ჩავდიოდი?** - თავს იცავდნენ ისინი.

ასეთი დიალოგი გაიმართა გუშინ საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისიის სხდომაზე. მათი შეხვედრა განვითარებისა და რეფორმების ოფისში მოხდა, სადაც საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისიის წევრები პრესკონფერენციას მართავდნენ. კომისიის წევრებმა ტელევიზიაში ძველი სახეების დაბრუნების საფრთხეზე ისაუბრეს, თუმცა საზოგადოებისთვის „საშიშ" კადრებში მათ ზაზა შენგელია არ დაასახელეს, რამაც სამსახურიდან შენგელიას მიერ დათხოვილი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ოპონენტებს შორის დაწყებული დავა ჩხუბში და ლანძღვაში გადაიზარდა.

**„ჩვენ საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჩამოყალიბების წინააღმდეგები არ ვართ, მაგრამ თუ ძველი სახეების გაშვებაზე მიდგა საქმე, პირველ რიგში შენგელია უნდა გაუშვან. ჩვენ, თურმე, კომუნისტური გადმონაშთები ვყოფილვართ, ხოლო ზაზა შენგელია სუფთა წარსულის პატრონი... ეგ არ იყო პირველი კომკავშირელი?"** - კითხულობდნენ ტელევიზიის ყოფილი თანამშრომლები. საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისიის წევრები კი აცხადებდნენ, რომ ეს ხალხი არ მოუწვევიათ და მათი პრესკონფერენციაზე გამოჩენა პროვოკაცია იყო.

როგორც გაირკვა, კომისიის წევრები საზოგადოებრივი ტელევიზიის რიგებში ისეთი ხალხის დაბრუნებას ეწინააღმდეგებიან, როგორიც კოკა ყანდიაშვილია.

**„ჩვენთვის მიუღებელია, როდესაც საზოგადოებრივ საწყისებზე მდგარი ტელევიზია სამუშაოდ იწვევს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც საზოგადოების აზრი არასდროს გამოუხატავთ. ისინი პირდაპირ ასრულებდნენ სახელმწიფო დაკვეთებს, ასეთი ადამიანია კოკა ყანდიაშვილი. რაც შეეხება ზაზა შენგელიას, მისი გათავისუფლება ჩვენი პრეროგატივა არ არის, იგი პრეზიდენტმა დანიშნა. არის რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა განხორციელებაც სავალდებულო იყო, ზაზა შენგელიამ კი ეს მეტ-ნაკლებად შეძლო. ჩვენ ვიცავთ ტელევიზიას პოლიტიკური ჩარევისგან. გასულ კვირას ეთერში გავიდა „ვესტნიკის" ბოლო გამოშვება, სადაც პროგრამის წამყვანმა მიკროფონი დაუთმო პოლიტიკოსებს იმის სათქმელად, რომ „ვესტნიკი" უნდა არსებობდეს. ეს ჩვენ მიგვაჩნია პირდაპირ პოლიტიკურ ჩარევად ტელევიზიის საკითხებში,"** - განაცხადა კომისიის წევრმა დავით პაიჭაძემ. მისივე თქმით, ზაზა შენგელია არის ის ადამიანი, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა თავისი მისია და ასობით ადამიანი გაათავისუფლა ტელევიზიიდან. კომისიის წევრებს ზაზა შენგელიას დამსახურებად მიაჩნიათ ისიც, რომ მან „მოკლა" სახელმწიფო ტელევიზიის იდეა იმ პოლიტიკით, რომელსაც ის წლების განმავლობაში ახორციელებდა.



მწვავე დიალოგი გაიმართა გუშინ საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისიის სხდომაზე.

როგორც კულუარებში ამბობენ, ზაზა შენგელია მალე დატოვებს თავის პოსტს. მის შემცვლელად კი კულტურისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი სახელდება. ამასთან დაკავშირებით გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ, ჯერჯერობით, არაფერი იცის.

# ვინ იქნება ოცდამეოთხე?

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის ინიციატივით შედგა შეხვედრა რექტორობის ერთ-ერთ კანდიდატთან, ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძესთან.*

თამარ ჭაჭანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 24-ე რექტორს 13 დეკემბერს აირჩევენ. სამეცნიერო საბჭოების მიერ უნივერსიტეტის ექვსი პროფესორის კანდიდატურაა დასახელებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად საკუთარი კანდიდატურა არჩევნებიდან მოხსნა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის ფაკულტეტის კათედრის პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ. დანარჩენი ხუთი კანდიდატი საკუთარ წინასაარჩევნო პროგრამას ხვალ, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" გამოაქვეყნებს.

მიუხედავად იმისა, რომ რექტორობის კანდიდატები საკუთარ პროგრამაზე საუბარს მის გამოქვეყნებამდე ერიდებიან, ისტორიის ფაკულტეტის აქტიურმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა, სათითაოდ გასაუბრებოდა უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატებს. პირველად სასაუბროდ სტუდენტებმა ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე მიიპატიჟეს. პრორექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე რექტორობის კანდიდატად ევროპის ენებისა და ლიტერატურისა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების მიერა არის დასახელებული. მის კანდიდატურას მხარი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტმაც დაუჭირა. ქალბატონი რუსუდანი ამაყობს, რომ მის კანდიდატურას თავად პრეზიდენტი ემხრობა. მას სტუდენტებთან შეხვედრისას საკუთარი პროგრამის დეტალები არ გაუმხელია, თუმცა სტუდენტების კითხვების მიხედვით მისი პროგრამის პრიორიტეტები მაინც გამოიკვეთა. ქალბატონმა რუსუდანმა შეხვედრის დასაწყისიდანვე მშვიდი ატმოსფერო შექმნა. შესავალ სიტყვაში რექტორობის კანდიდატი სტუდენტებს უნივერსიტეტში თანამედროვე ევროპული, დემოკრატიული ღირებულებების შეტანას დაჰპირდა. მან ცოდნის დაგროვების პროცესში სტუდენტის როლის გააქტიურება ისურვა.

**„სტუდენტის ხმა და სურვილი ყოველთვის უნდა ისმოდეს. სტუდენტი არ უნდა იყოს მხოლოდ პასიური მიმღები. უნივერსიტეტის გარემოს მოდერნიზება სტუდენტებს საკუთარ თავზე მუშაობის საშუალებას მისცემს. სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება, ლექციებისგან გამოთავისუფლებულ დროს საკუთარ თავზე იმუშაოს,"** - აღნიშნა ლორთქიფანიძემ. აღმოჩნდა, რომ სტუდენტებს ძალიან სჭირდებათ თანამედროვე აპარატურითა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ქალბატონი რუსუდანი სტუდენტებს უნივერსიტეტის შენობაზე ზრუნვასაც დაჰპირდა.

სტუდენტების კითხვები კორექტულობის ფარგლებს არ გასცილებია. მათ კითხვაზე - იქნება თუ არა რევოლუცია უნივერსიტეტშიც, - ქალბატონმა რუსუდანმა უპასუხა, რომ რეფორმები რადიკალური იქნება, მაგრამ არა მტკივნეული.

**„რევოლუცია არ არის საჭირო, წინააღმდეგი ვარ ქირურგიული ჩარევისა და მსურს, ჩემი მეორე პროფესია - დიპლომატია გამოვიყენო იმისთვის, რომ უნივერსიტეტში ცვლილებები დელიკატურად მოხდეს,"** - აცხადებს ქალბატონი რუსუდანი.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიას, რექტორობის კანდიდატი აცხადებს, რომ მას ახალი კანონპროექტით გათვალისწინებული ავტონომია სრულიად აკმაყოფილებს და სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტის ცხოვრებაში ჩარევა მხოლოდ მხარდაჭერად ესახება.

# დაგვიბრუნეთ ჩვენი ქუჩა

ფიქრის გორისა და კოსტავას ქუჩის მცხოვრებლებმა გუშინ საპროტესტო-გამაფრთხილებელი აქცია მოაწყვეს. მათ მიაჩნიათ, რომ ისინი სამოძრაო სამკუთხედის მსხვერპლი არიან - კოსტავა, ვარაზისხევი, მელიქიშვილი.

„ჩვენ გვეგონა, რომ ავტორები დაფიქრდებოდნენ, დაინახავდნენ იმ საშინელებას, რაც ხდება ამ ტერიტორიაზე. მით უმეტეს, ეს ჩვენი პირველი აქცია არ არის. იმედი გვქონდა, ბატონი მერი მოვიდოდა და ადგილზე გაეცნობოდა შექმნილ მდგომარეობას. უაღრესად გართულდა მოსახლეობისთვის ქალაქში გაადგილება. განსაკუთრებით პენსიონერებსა და ბავშვებს გაუჭირდათ. მოვითხოვთ, შეგვიქმნან ადამიანური საცხოვრებელი პირობები და დაგვიბრუნონ ჩვენი ქუჩა ისეთი, როგორიც იყო," - აცხადებენ შეშფოთებული ადამიანები. მათ წერილობით მიმართეს ქალაქის მერს და სათანადო დახმარება მოითხოვეს. თუ ერთი კვირის განმავლობაში მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, როგორც ამბობენ, კოსტავას ქუჩას მთლიანად გადაკეტავენ. განცხადებაზე ორმოცამდე ადამიანი აწერს ხელს.

*24 საათი*

# ქალები, გოგონები და შიდსი

გუშინ, შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ინიციატივით ახალგაზრდებმა, ავტობუსით თბილისის ქუჩები შემოიარეს, მათ თავიანთი თანადგომა კიდევ ერთხელ გამოხატეს აივ/ინფექციით დაავადებული ადამიანების მიმართ და მოსახლეობას სიფრთხილისაკენ ასეთი ლოზუნგით მოუწოდეს: „დავიცვათ გოგონები და ქალები შიდსისგან". აქციის მონაწილეები თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეხვდნენ, რომლებსაც ბუკლეტები და სათანადო ინფორმაცია მიაწოდეს ამ დაავადების შესახებ. მართალია, საქართველო ინარჩუნებს შიდსის გავრცელების დაბალ დონეს, მაგრამ ექსპერტთა აზრით, თუ ახლავე არ იქნა მიღებული რადიკალური პრევენციული ზომები, მომავალში მოსალოდნელია დაავადების შემთხვევათა სწრაფი მატება.

სასტუმრო მეტეხში შეხვედრას დაესწრო საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი.

საღამოს თეატრალიზებული წარმოდგენა - „შიდსი არ არის" - გაიმართა ბოულინგ ცენტრში, აქცია კი დასრულდა დიდი კონცერტით ვაკის პარკში.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

დღეისათვის მსოფლიოში აღრიცხულია ინფიცირების 40 მილიონი შემთხვევა, 30 მილიონი ადამიანი დაიღუპა. ბოლო მონაცემებით ინფიცირებულთა შორის სულ უფრო და უფრო იზრდება გოგონათა და ქალთა ხვედრითი წილი. ამიტომ, შიდსთან ბრძოლის წლევანდელი ლოზუნგი ამის გამოხატულებაა.

*24 საათი*



# სასამართლო პროცესის ჩატარება აზრს კარგავს - აცხადებს მირცხულავა

**„სასამართლოს შეუძლია, აღარ იწვალოს და პირდაპირ გამომიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. მე ვერანაირ შანსს ვერ ვხედავ, დასაბუთებული არგუმენტების მოშველიებით შევძლო სასამართლო პროცესზე თავის დაცვა. როგორც ვხედავ, მოწმეთა ჩვენებებს, ჩემს არგუმენტებსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომელიც ბრალდებას სრულიად აბათილებს, არავითარი აზრი არ აქვს. შესაბამისად, სასამართლო პროცესის ჩატარებაც აზრს კარგავს, რადგან მას ჭეშმარიტების დადგენის სურვილი არ აქვს და, აქედან გამომდინარე, იგი ობიექტური არ იქნება,“ -** ასე გამოხატა გუშინ პროტესტი სასამართლო დარბაზში სათბობ-ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა დავით მირცხულავამ. განსასჯელმა და მისი ინტერესების დამცველებმა მოსამართლე მილერ ხარებავას აცილების საკითხი გუშინ კიდევ ერთხელ დააყენეს. ამის მიზეზი ამჯერად იმ შუამდგომლობებზე უარის თქმა გახდა, რომელთა დაკმაყოფილებაც განსასჯელმა და მისმა ადვოკატებმა წინა პროცესზე მოითხოვეს. თუმცა, როგორც დანარჩენი შუამდგომლობები, მოსამართლის აცილების საკითხიც მირცხულავას მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაწყდა.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

დავით მირცხულავამ და მისმა ადვოკატებმა მოსამართლე მილერ ხარებავას აცილების საკითხი კიდევ ერთხელ დააყენეს.

შეგახსენებთ, რომ წინა სასამართლო პროცესზე, ადვოკატებმა ბრალდების მტკიცებულებების არასაკმარისობის საფუძველით, სასამართლოს მირცხულავას გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოსთხოვეს. თავად განსასჯელმა კი გენერალური პროკურატურის სამი გამომძიებლის - ზაზა ქაჩიბაიას, პაატა ჯაველიძისა და ისკო დასენის მიმართ, მის საქმეში მართლსაწინააღმდეგოდ შეგნებულად დაშვებული შეცდომის გამო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. მირცხულავა ირწმუნება, რომ ამ გამომძიებლებმა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტი საქმიდან გააქრეს, რითაც სამოხელეო დანაშაული ჩაიდინეს.

ერთი სიტყვით, მოსამართლე ხარებავამ მირცხულავას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანასა და გამომძიებლების პასუხისმგებლობის საკითხის დასმაზე უარი განაცხადა.

**„როცა სასამართლო რაიმე მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება უნდა დაასაბუთოს. ამ შემთხვევაში კი, მოსამართლემ დადგენილება სამოტივაციო ნაწილის გარეშე წარმოადგინა, რაც მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ხდება, რადგან კანონი გადაწყვეტილების არგუმენტირებულად დასაბუთებას ითხოვს,“** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მირცხულავას ადვოკატმა იასონ ბესელიამ.

მომდევნო პროცესზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების დაკითხვა დაიწყება. დაცვისთვის სასურველი მოწმეების ჩვენებების მოსმენაზე მოსამართლეს ამჯერად უარი არ უთქვამს.

*24 საათი*

# ანტიკორუფციული პაკეტი მთავრობას წარედგინა

*გუშინ მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ახალი პაკეტი წარადგინა. პაკეტი მოიცავს რვა კანონპროექტს საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. ანტიკორუფციული პაკეტი ითვალისწინებს არაერთი ცვლილების შეტანას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რაც ძირითადად განპირობებულია იმ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნებით, რომელთა მონაწილეც საქართველოა ან რომელთა ხელმოწერასა და რატიფიცირებას აპირებს ჩვენი სახელმწიფო.*

იუსტიციის მინისტრის მიერ მთავრობის სამსჯავროზე გატანილი საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავს რამდენიმე კონცეპტუალური საკითხის გადაწყვეტას. მათ შორის ერთ-ერთი იურიდიული პირების სისხლის სამართლის წესით დასჯის მექანიზმია, რაც დსთ-ს სივრცის და ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც კი უცნობია. თუმცა, იგივე სამართლებრივი ნორმა შედეგიანად მუშაობს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, ესტონეთი, დანია, შვედეთი.

ფაქტია, რომ თანამედროვე სამართალწარმოებაში არცთუ იშვიათია ისეთი დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ამა თუ იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ ან იურიდიული პირის გამოყენებით. იურიდიული პირები ასევე ხშირად არიან ჩართული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, ტერორისტული და დანაშაულებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობაში, ტრეფიკინგში და ასე შემდეგ. ამასთან, ცალკეული იურიდიული პირების მართვისა და კონტროლის რთული სტრუქტურის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული ფიზიკური პირის იდენტიფიკაცია. გარდა ამისა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივი ზომების გამოყენება იურიდიული პირების მიმართ გარკვეულ შემთხვევებში სასურველ ეფექტს არ იძლევა.

პროექტის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. იურიდიული პირის მიმართ, სასჯელის სახით, შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ქონების ჩამორთმევა, ლიკვიდაცია.

პროექტის კიდევ ერთ ნოვაციას წარმოადგენს რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობის კრიმინალიზაცია. ამით, ამერიკული მოდელის მსგავსად, დასჯადი იქნება თვით დაჯგუფებაში მონაწილეობა, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედება.

გარდა ამისა, წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, დანაშაულის საგნის ანდა საშუალების, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ჩამოყალიბდა სასჯელის სახით. ამ სანქციის მიზანს წარმოადგენს არა პირის დასჯა, არამედ საზოგადოებრივი ინტერესი, რაც გამოიხატება დამნაშავისათვის, მის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული თუ ამით მიღებული ქონების კვლავ დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოყენების აღკვეთაში.

კანონპროექტით გათვალისწინებული სიახლეა, ასევე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ეკვივალენტური ქონების დაყადაღების შესაძლებლობა. ეს სანქცია იმ შემთხვევაში ამოქმედდება, როცა არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ ქონების მოძიება ვერ ხერხდება. და, ბოლოს, იუსტიციის სამინისტროში მომზადებული ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს რეფორმას სამოხელეო კორუფციული დანაშაულის სფეროში. ამ რეფორმის ფარგლებში ცვლილებას განიცდის სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე (ქრთამის აღება), 339-ე (ქრთამის მიცემა) მუხლები და კოდექსს ემატება სრულიად ახალი 339` მუხლი (კორუფციული ზემოქმედება).

პროექტის მიხედვით, ქრთამის აღება და მიცემა შეიძლება, გამოიხატოს, არა მარტო ფულისა თუ ქონების, არამედ ნებისმიერი ეკონომიკური ინტერესის ფორმით, როგორც ეს „კორუფციაზე სისხლის სამართლის ევროპული კონვენციით“ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, იმავე კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დასჯადად ცხადდება პირის მიერ, თავისი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზემოქმედების მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზემოქმედება და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზემოქმედებით სასურველი შედეგი. რაც, არასაკანონმდებლო ენაზე ნიშნავს, რომ ქრთამის მიცემა-მიღება დაისჯება იმის მიუხედავად, „გაიჩარხება“ თუ არა ამით საქმე.

*24 საათი*

# მოადგილის მკვლელობა მეთაურის თვითმკვლელობით დასრულდა

*რამდენიმე თვის წინ სამხედრო ბატალიონებში თვითმკვლელობების და ტრაგიკულად დასრულებული უბედური შემთხვევების შესახებ ინფორმაციები არცთუ იშვიათად ვრცელდებოდა. ამას სამართალდამცველები, უმთავრესად, სამხედრო ნაწილებში არსებული უწესრიგობით ხსნიდნენ. თუმცა, ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები თითქმის აღარ დაფიქსირებულა, რაც ისევ და ისევ ქართულ ჯარში დამყარებული დისციპლინით აიხსნებოდა.*

ხაშურის რაიონის სოფელ ხცისში განლაგებულ თავდაცვის სამინისტროს 212-ე ბრიგადაში დატრიალებულმა ტრაგედიამ კი, სამართალდამცველები კვლავ ქაოსზე აალაპარაკა. გუშინწინ 212-ე ბრიგადის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურმა ალექსანდრე გაბრიაძემ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით თავისი მოადგილე ავთანდილ დვალიშვილი მოკლა, რის შემდეგაც მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ლევან ნიკოლაიშვილი მომხდარს უბედურ შემთხვევას უწოდებს. მისი თქმით, „გასროლა შემთხვევით მოხდა“.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, გაბრიაძეს იარაღი შემთხვევით გაუვარდა. თუმცა, მოგვიანებით, ტრაგედიის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა პირველადი მოკვლევით გაარკვიეს, რომ ბატალიონის მეთაური ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ხაშურის რაიონის პროკურორი ამირან ნოზაძე გაბრიაძესა და დვალიშვილს შორის დაპირისპირებას გამორიცხავს. მისი ინფორმაციით, ტრაგედიამდე რამდენიმე წუთით ადრე, ბატალიონის მეთაურმა გაბრიაძემ ბრძანება გასცა, რომ ოფიცრები მწყობრში ჩამდგარიყვნენ. როგორც დაკითხული მოწმეები აღნიშნავენ, დვალიშვილი საველე კარვიდან არ გამოვიდა, რის გამოც გაბრიაძემ კარვის მიმართულებით დაახლოებით რვაჯერ გაისროლა. ერთ-ერთი ტყვია, შემთხვევით, დვალიშვილს თავში მოხვდა და ადგილზევე გარდაიცვალა. ასევე მოწმეთა ჩვენებით, მას შემდეგ, რაც გაბრიაძე დარწმუნდა, რომ დვალიშვილი გარდაიცვალა, იგი მეთაურთა კარავში შევიდა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა.

მიცვალებულთა ცხედრები ხაშურის პროზექტურაში გადაასვენეს, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ხაშურის რაიონის პროკურატურამ დაიწყო.

შიდა ქართლის პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, ამჟამად ტარდება ექსპერტიზა, რის შემდეგაც დადგინდება, იყო თუ არა გაბრიაძე მართლაც ნასვამ მდგომარეობაში.

პროკურატურას ამ ეტაპზე ტრაგედიის სხვა ახსნა არ გააჩნია, თუმცა ამირან ნოზაძის განცხადებით, გამოძიება გრძელდება და პროკურატურის თანამშრომლები სხვა ვერსიებსაც ამუშავებენ.

სამართალდამცველთაგან განსხვავებით, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი მომხდარ ტრაგედიას ბატალიონში არსებული ქაოსით ხსნის. „ამ ნაწილში სრული ქაოსი სუფევდა და უდისციპლინობას ჰქონდა ადგილი,“ - ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარ ფაქტს მიხეილ ქარელმა.

ტარგედია სახეზეა და მომხდარის გამო პასუხისმგებლობაც უშუალო დამნაშავეს ველარ დაეკისრება. მაგრამ მოიძებნება თუ არა პიროვნება, რომელიც ქართულ ჯარში არსებულ უდისციპლინობაზე პასუხს აგებს, ძნელი სათქმელია, რადგან ანალოგიური შემთხვევების გამო დასჯილი სამხედრო ხელმძღვანელი, ჯერჯერობით, არავის უნახავს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** ქუთაისის მახლობლად გუშინ გვამი აღმოაჩინეს. 60 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი მდინარე რიონმა გამორიყა. მოგვიანებით დადგინდა, რომ გარდაცვლილი ბეჟან ჭეიშვილია, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. ქუთაისში მცხოვრები ბეჟან ჭეიშვილი 7 ნოემბერს სახლიდან გავიდა. ნათესავების განცხადებით, იგი ქორწილში წავიდა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. სამართალდამცველები ჭეიშვილს სამი კვირის მანძილზე ეძებდნენ. გარეგნული დათვალიერების შედეგად გვამს სახის არეში დაზიანებები აღენიშნა. რა ვითარებაში დაიღუპა ჭეიშვილი, ქუთაისის პროკურატურა დაადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის „თეთრი ჯვრის“ წარმომადგენლებმა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას სამედიცინო აპარატურა და ავეჯი საჩუქრად გადასცეს. როგორც ციხის საავადმყოფოს მთავარი ექიმი დავით ასათიანი აცხადებს, სამკურნალო დაწესებულებას ფუნქციონალური საწოლები, რენტგენის აპარატი, სტომატოლოგიური კაბინეტის აღჭურვილობა და სამედიცინო ავეჯი გადაეცა. მისივე თქმით, ფუნქციონალური საწოლები და სამედიცინო აპარატურა ციხის სამკურნალო დაწესებულებას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრი ჯვარი“ ამგვარ აქციებს, სავარაუდოდ, მომავალშიც გააგრძელებს. დღევანდელი მონაცემებით, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 248 პატიმარი მკურნალობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გალის რაიონში ქართულ ოჯახებზე აფხაზი ბოროტმოქმედების თავდასხმები გრძელდება. გუშინწინ, სოფელ გაგიდაში შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ბეჟან გულიას ოჯახს და ფულისა და ოქროულობის გატაცება სცადეს. წინააღმდეგობის გაწევის გამო, მათ ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს ოჯახის წევრი დარეჯან გულია. მას ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს. გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში თითქმის ერთი თვეა, კრიმინოგენული ვითარება გაუარესდა. აქ, ძირითადად, 5-6-კაციანი შეიარაღებული ჯგუფები მოქმედებენ. ხშირია სამგზავრო ავტობუსების დაყაჩაღების ფაქტებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ, ავტომანქანების გატაცებაში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს, რომელთაგან ერთი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი აღმოჩნდა. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, დაკავებულთაგან ერთ-ერთი თავდაცვის სამინისტროს სარდლობის ტექნიკური უზრუნველყოფის ოფიცერი ზურაბ თურმანიძეა. მასთან ერთად დაკავებული არიან გოჩა და ელკო ზარანდიები. დაზარალებულმა ბოროტმოქმედები ქუჩაში შემთხვევით ამოიცნო და საპატრულო პოლიციის რადიო-ცენტრს აცნობა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ზურაბ თურმანიძე ნამდვილად ირიცხება სამინისტროს სარდლობის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. თურმანიძე, ჯერჯერობით, ეჭვმიტანილია და მისი ბრალეულობის საკითხი გამოძიების პერიოდში გაირკვევა. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აუცილებლად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

კუპონები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „[illegible]");
8. მეტროს სადგური „სადგურის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "[illegible]" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ნოდარ გადილია**

ვარ სააქციო საზოგადოების აქციონერი და მაქვს 250 დოლარის ღირებულების აქცია. (ჩვეულებრივ ქაღალდზე დაბეჭდილი და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული). შემიძლია თუ არა აღნიშნული აქცია გადავიხადო ფულის მაგივრად იმავე ორგანიზაციაში საწარმოს ქონების პრივატიზირების დროს?

ბატონო ნოდარ,

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი ადგენს მხარეთა მიერ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების აუცილებლობაზე. ამ მუხლის მიხედვით:

1. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

2. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

ნასყიდობის ხელშეკრულებისას ასეთად მიიჩნევა გასაყიდი ნივთის ფასზე შეთანხმება. მართალია აქცია თავისი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, მაგრამ იგი არ შეიძლება გახდეს გადახდის საშუალება, რადგან იგი არ არის ფულის ექვივალენტი.

**ნუგზარ შენგელია**

გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: 1973-1992 წლებში ვმუშაობდი სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანებაში "საქფრინველმრეწვში" იურისტკონსულის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ 1992-2004 წლის აგვისტომდე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საიდანაც გავედი პენსიაზე. მეთვლება თუ არა "საქმრეწვში" ნამუშევარი პერიოდი სპეციალობით მუშაობის სტაჟად?

ბატონო ნუგზარ,

თუ თქვენ ამ საწარმოში გაფორმებული იყავით აღნიშნულ თამანდებობაზე და გახსნილი გქონდათ შრომის წიგნაკი, რა თქმა უნდა, აღნიშნული დრო გეთვლებათ სპეციალობით მუშაობის სტაჟად. მაგრამ თუ თქვენ ეს სტაჟი პროკურორთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამისდღეშიო პენსიისათვის გჭირდებათ, განგიმარტავთ, რომ კანონის "პროკურატურის შესახებ" 40.10 მუხლი ადგენს, რომ პროკურატურის მუშაკს, თუ მას გააჩნია სამართალდაცვის, იუსტიციის, უშიშროებისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში (მათ შორის 4 წელი მაინც პროკურატურის სისტემაში) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი, პენსიაზე გასვლისას ენიშნება სამისდღემშიო პენსია ამ კანონით დადგენილი ხელფასის სრული ოდენობით, რაც იცვლება მოქმედი პროკურორისა და გამომძიებლის ხელფასის შეცვლასთან ერთად.

**გრიგოლ ქ.**

ვმუშაობ ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე დარაჯად. ოქტომბრის თვის ერთ დღეს, მაშინ როცა ელექტროენერგია ითიშებოდა 19-21 საათამდე, სიბნელით ისარგებლეს ქურდებმა და მოიპარეს სამშენებლო პროდუქცია, დაახლოებით 500 ლარის ღირებულებისა (მშენებელთა შეფასებით). რამოდენიმე დღის შემდეგ იმავე საათებში ქურდები ისევ შემოვიდნენ სამშენებლო მოედანზე; ამჯერად ლანდები შევნიშნე და გამოვიძახე საპატრულო პოლიცია, რომლებმაც ისინი დაიჭირეს. ამჟამად საქმე ძიებაშია. მშენბლობიოს ხელმძღვანელობა ჩემგან ითხოვს დაკარგულის ღირებულების ანაზღაურებას (500 ლარი) - ხელფასს არ მოგცემთო. რამდენად კანონიერია მათი ეს გადაწყვეტილება?

ბატონო გრიგოლ,

დარაჯის უპირველესი მოვალეობაა დაიცვას მისთვის მიბარებული სამართლებრივი სიკეთე. სამოქალაქო კოდექსი უშუალოდ დარაჯის პასუხისმგებლობის ცნებას არ იცნობს, თუმცა მიბარების ხელშეკრულების ნორმებით დადგენილია, რომ დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დგება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. 785 მუხლი ადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაs: კერძოდ, შემნახველი პასუხისმგებელია შესანახად გადაცემული საქონლის დაკარგვით ან/და დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამის თავიდან აცილება კეთილსინდისიერ შემნახველსაც არ შეეძლო. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქურდების შემოპარვის ფაქტი მხედველობიდან შეიძლებოდა გამოპარვოდა ნებისმიერს, მაშინ თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

**თამუნა კინწურეიშვილი**

ვარ დროებით უმუშევარი. გარდამეცვალა მეუღლე. დამრჩა ორი მცირეწლოვანი ბავშვი სამი და ხუთი წლის. ვითვლები თუ არა მარტოხელა დედად, მეკუთვნის თუ არა დახმარება და შეღავათები შუქის, წყლის და გაზის გადასახადზე?

ქალბატონო თამუნა,

სამწუხაროდ, კანონმდებლობა და ქალაქ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებებით თქვენ კომუნალურ გადასახადებზე შეღავათები არ გეკუთვნით. მაგრამ შეგიძლიათ მოითხოვოთ მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნა საქართველოს კანონის სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლებით.

ამ მუხლების თანახმად გარდაცვლილი მარჩენლის ოჯახის შრომისუუნარო წევრებად ითვლებიან საქართველოში მცხოვრები:

გარდაცვლილი მარჩენლის შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ასევე, შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები 23 წლის ასაკის მიღწევამდე, თუ ისინი სწავლობენ დღის განყოფილებაზე ან გარდაცვლილი მარჩენლის შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომლებიც 18 წლის ასაკის მიღწევამდე გახდნენ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონენი. ამასთან, გარდაცვლილი მარჩენლის შრომისუუნარო ძმებს, დებს და შვილიშვილებს მარჩენლის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსია ენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები;

კანონმდებლობა ადგენს, რომ მარჩენლის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსიის ოდენობა, რომელიც დაენიშნება შესაბამის პირს, დამოკიდებულია იმ სავალდებულო შრომითი ან სადაზღვევო პენსიის ოდენობაზე, რომელსაც გარდაცვალებამდე ღებულობდა მარჩენალი და პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობაზე.

ამ კანონის გარდა გარკვეულ შეღავათებს ადგენს ქალაქ თბილისის საკრებულო. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 18 აპრილიs გადაწყვეტილება N 6-2 ქალაქ თბილისში მცხოვრები 3-4-5-6 - შვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედების შვილების (18 წლამდე) მუნიციპალური დახმარების პროგრამის და ამ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალური დახმარების დანიშვნა-გაცემის წესის შესახებ ადგენს, რომ მარტოხელა დედებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი თითოეულ ბავშვზე გადაეცემათ ყოველთვიურად 5 ლარი;

**ვიოლა აზატოვა**

ჩემმა შვილმა გაიმარჯვა კონკურსში და სწავლობს მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში პირველ კუსრზე. გთხოვთ, მიპასუხოთ, მართებულია თუ არა სამხედრო კომისარიატის ჩვენი ოჯახისათვის მოთხოვნა 200 ლარის გადახდის თაობაზე სამხედრო გაწვევის გადასავადებლად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩემ შვილს შეუძლია იმსახუროს ქართულ ჯარში დადგენილი წესის მიხედვით.

მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში არის სამხედრო კათედრა, ხოლო სამხედრო მეცადინეობა იწყება მეორე კურსიდან.

ქალბატონო ვიოლა,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ ადგენს, რომ 18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არა აქვს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გაწვევის გადავადების უფლება - ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას. (მუხლი 9) იგივე კანონი ითვალისწინებს ასევე სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადების პირობებსაც, სადაც ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია შემდეგი:

წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და სამხედრო სწავლებას გადის შესაბამის სამხედრო კათედრაზე - სასწავლებლის დამთავრებამდე.(მუხლი 30.1(გ)) რუსეთი და საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნები არიან, შესაბამისად, ამ ქვეყნის უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე სწავლა თქვენს შვილს არ ჩაეთვლება სამხედრო სამსახურის გადავადების საპატიო მიზეზად.

**მ. ბიგვავა**

ვმუშაობდი თავდაცვის სამინისტროს ც-კლინიკურ ჰოსპიტალში. დათხოვნილი ვარ ავადმყოფობის გამო. არსებული სახელფასო დავალიანება გარკვეული გრაფიკით (და არა ერთდროულად) მიღებული მაქვს.

რამდენადაც გავიგე, გვეკუთვნოდა მუშაობის პერიოდში სანივთო და პრემიალური თანხები. ჰოსპიტალის ბუღალტერიაში მიანგრიშეს. თუმცა მითხრეს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ვერ მოგცემთო. საქმე ეხება ხელზე ასაღებ 1208 ლარს. ჩემთვის ეს სერიოზული თანხაა. ხომ ვერ ამიხსნით, თუ გვეკუთვნის, რა საჭიროა სასამართლო? რამდენად მართებული იქნება მივმართო თავდაცვის სამინისტროს საფინანსო განყოფილებას თხოვნით, გარკვეული გრაფიკით დამიფარონ ეს თანხაც? (2003 წლის 6 თებერვლიდან არ ვირიცხები შეიარაღებულ ძალებში).

ბატონო ბიგვავა,

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საშუალებას გაძლევთ, იდავოთ აღნიშნულ თანხაზე, თუ მას ნებაყოფლობით არ გირიცხავთ საწარმო. თქვენ შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ უფლებამოსილ პირს და მოითხოვოთ აღნიშნული თანხის გადმოცემა. თუ ამაზე უარს გეტყვიან, მაშინ თქვენ შეგიძლით წარადგინოთ ადმინისტრაციული საჩივარი. კანონით დადგენილია, რომ თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. ასევე განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. (მუხლი 178. ადმინიტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო) ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ასევე საშუალებას იძლევა პირმა გვერდი აუაროს ადმიისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების სტადიას და პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. თუმცა აქ ჩნდება ერთი პრობლემა. შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის თანახმად, მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო - რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. აქვე დავამატებთ, რომ კანონმდებლობა უშვებს გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლის შესაძლებლობას. შრომის კანონთა კოდექსი ადგენს, რომ თუ კანონით დადგენილი ვადები გასულია და მოსარჩელეს აქვს საპატიო მიზეზები, ისინი შეიძლება აღდგენილ იქნეს შესაბამისად შრომითი დავის კომისიის და სასამართლოს მიერ. (მუხლი 204.3)

**შამილ ხაჭაპურიძე**

მაქვს ორსართულიანი აგურის 1902 წელს აშენებული სახლი აღმოსავლეთ მხარეზე. 1940 წლის აღრიცხვით მაქვს კანონიერი ფანჯარა. თუ აღმოავლეთ მხარეზე აშენებენ შვიდსართულიან 25 მეტრის სიმაღლის საცხოვრებელ კორპუსს, ჩემი სახლიდან რამდენ მეტრზე უნდა დაცილდეს საცხოვრებელი კორპუსი, რომ მე მივიღო სინათლე და ჰაერი და არ დამიბნელდეს საცხოვრებელი სახლი?

ბატონო შამილ,

სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს სერვიტუტის ცნებას, მაგრამ ამ აქტში არაფერია ნათქვამი სინათლის სერვიტუტზე. ეს საკითხები მოწესრიგებულია როგორც საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 21.09.2001 წლის N59 ბრძანების ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე, ასევე სამშენებლო სტანდარტებზე დაყრდნობით. ამ დებულებისა და სამშენებლო ნორმების თანახმად ეს მანძილი უნდა განისაზღვროს 15-20 მეტრით.




რუსეთში კინოდემოკრატია მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!



B2

ხანტეს კანონი



B3

ლაზერული ქვემეხი ბირთვული რაკეტების წინააღმდეგ



B6


# სავსე ქართული პატიოსნებით



ლევან ხერხეულიძის ფოტო



ანი ფორჩხუას ფოტო

ანი ფორჩხუა-კეკელია

*საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა გამოაქვეყნა 2004 წლის სახელმწიფო პრემიებზე წარდგენილ შემოქმედთა სია. სახვითი ხელოვნების დარგში წარდგენილია ერთადერთი ნომინანტი, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი. თენგიზ მირზაშვილი წარადგინა საქართველოს მხატვართა საერთო ეროვნულმა შემოქმედებითმა კავშირმა.*

## ნაწყვეტი ჩუბჩიკას საუბრებიდან

*1996 წელი. სახელოსნო. მარტის წვიმიანი დღე.*

"მთავრია, როგორ გარემოში იზრდება პიროვნება, როგორი მსოფლმხედველობა უყალიბდება მას. მე ბავშვობიდან მოყოლებული კრიტიკული დამოკიდებულება მქონდა არსებული წყობისადმი. მართალია, არსებული წყობილება, ყოველთვის ღიმილსა და ირონიას მგვრიდა, მაგრამ თუ შეძელი, რომ ყველაფრისაგან, ასე თუ ისე, გაითავისუფლო თავი და ისე აკეთო შენი საკეთებელი, თუკი არ "შეასკდი" არსებულ წყობას, იგი მუშაობაში არ შეგიშლის ხელს. ბუნებრივია, მაშინაც ვიცნობდი და ახლაც ვიცნობ ასეთ შემოქმედებს, რომლებიც არსებულ წყობას უწყობდნენ თავიანთ ფეხის ხმას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ლიტერატურაში, აშკარად, უფრო ძლიერად მუშაობდა ცენზურა, ვიდრე მხატვრობაში. მხატვრის სალონში ნაკლებად ხდება შემოჭრა. იმ პერიოდში (კომუნისტურ წყობას ვგულისხმობ), მეც დამიხატავს ერთი-ორი ნახატი გამოფენისთვის ისეთი, როგორიც გამოფენას პასუხობდა. საერთოდ მე არ მწამს თემატური გამოფენები და არც არასდროს მექმნებოდა ამის გამო პრობლემები. თუმცა, ერთ კურიოზს მოგიყვები, რომელიც თემატურ გამოფენას მოჰყვა. 1967 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა ავიაციის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც ჩემი ნახატი წარვადგინე. დავხატე მთის პეიზაჟი და სადღაც კუთხეში ვერტმფრენიც მივახატე. სწორედ, მაშინ, გამოფენის მონაწილეებს დაგვირიგეს რაღაც ფურცლები, რომელზეც ხელს ავიაციის მარშალი აწერდა. ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ლვოვიდან მივდიოდი სოფელ კოსოვში, სადაც მოცდა მიწევდა და ამიტომაც მოსაცდელში სკამზე ჩამეძინა. მოულოდნელად სადგურის მორიგეები დამადგნენ თავზე და საბუთი მომთხოვეს. მოხდა ისე, რომ ჯიბეში არანაირი საბუთი არ აღმომაჩნდა. შემთხვევით, სწორედ ის ფურცელი ვიპოვნე, რომელიც გამოფენის მონაწილეებს დაგვირიგეს. სადგურის მორიგეებმა ვერაფერი გაარკვიეს და უფროსთან მიმიყვანეს. ამ უკანასკნელმა დახედა ფურცელს, რომელზედაც ავიაციის მარშალის ხელმოწერას მოჰკრა თვალი. დამოკიდებულება უცებ შეიცვალა. შემიყვანეს თავისუფალ ოთახში, მატარებლის გასვლამდე დამასვენეს, შემდეგ კი დიდი პატივით გამომამგზავრეს ამის გახსენებაზე დღემდე მეცინება".

თენგიზ მირზაშვილი (მეტსახელად - ჩუბჩიკა), ცნობილი ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, დაიბადა 1934 წელს სვანეთში, სოფელ ლატალში. წარმოშობით მირზაშვილების გვარი გორთან ახლომდებარე სოფელ შინდისიდანაა. მამა - რევაზ მირზაშვილი ცნობილი კინომხატვარი იყო, დედა - სოფიო მირზაშვილი - ფრესკების რესტავრატორი.

მირზაშვილების ოჯახში ყველა ხატავს. მეუღლე - მანანა თავაძე, ულამაზესი აპლიკაციებითაა ცნობილი, შვილები გია და ნატო (ტოტო) მირზაშვილები მხატვრები არიან. შვილიშვილები: ირაკლი მირზაშვილი აშშ-ის, კანზასის უნივერსიტეტში დიპლომატიურ ფაკულტეტზე სწავლობს. გიორგი კიკნაძე ჰამბურგშია, სწავლობს კონსერვატორიაში.

თენგიზ მირზაშვილმა 1951 წელს დაამთავრა თბილისის მე-11 ვაჟთა საშუალო სკოლა. 1958 წელს ამთავრებს, სამხატვრო აკადემიის, თეატრალურ-დეკორატიულ ფაკულტეტს, ბატონ სერგო ქობულაძის ხელმძღვანელობით. მისი პერსონალური გამოფენები როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში წარმატებულად ეწყობა.

თებერვალში ბატონ თენგიზს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. იუბილე ძალიან ვიწრო წრემ მიულოცა, ცისფერ გალერეაში კი მხატვარმა, საკმაოდ დიდი გამოფენით გაახარა ხელოვნების თაყვანისმცემლები, სადაც გიორგი მირზაშვილის გარდა, მისი ოჯახის ყველა წევრების ნამუშევრები იყო გამოფენილი.

თენგიზ მირზაშვილის შემოქმედება, უსაზღვროდ საინტერესო და მრავალფეროვანია. მხატვარი, შესანიშნავად ფლობს პასტელში ხატვის ტექნიკას, მისი ტილოების ხილვისას ასე გგონია, თითქოს მხატვართან ერთად დახეტიალობ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

თენგიზ მირზაშვილის შემოქმედებას უდიდესი ადამიანური სითბო და სიყვარული ასაზრდოებს. მისი ტილოები ძალიან თბილი და ახლობელია.

## ბლიც-ეპიზოდი მირზაშვილის ბავშვობიდან

კლასელებთან ერთად "შატალოზე" იშვიათად გაპარულ თენგიზს კარგად ახსოვს, გზად (დღევანდელ გალაკტიონის ხიდთან), გენიალური გალაკტიონი რომ შემოხვდა. (გალაკტიონოლოგიის II ტომი - ძირითადად თენგიზ მირზაშვილის რუდუნებით და სხვათა დიდი შრომით შეიქმნა). პოეტი მოწაფეებს გასაუბრებია.

თითქმის აღელვებულ გალაკტიონს უკითხავს, მშობლიურ ქართულ ლიტერატურაში რას გადიხართო? "მერანს", - უპასუხნია გულაფანცქალებულ თენგიზს და წამიერად გაუვლია გონებაში, ლექსი არ წამაკითხოს და არაფერი შემეშალოსო. შემდეგ გულში ჩაუკრავს დიდ გალაკტიონს თენგიზ მირზაშვილი და მალევე დაშორებულან ერთმანეთს პოეტი და მოწაფეები.

მას შემდეგ მხატვარს არ განელებია მეფე-პოეტის სიყვარული.

## შტრიხები პორტრეტისათვის

თენგიზ მირზაშვილი გამორჩეულად ერუდირებული ქართველია. არ უყვარს, როცა ბატონობით მიმართავენ. ბატონობით როცა მივმართავ, - როდიდან გავხდი შენი ბატონიო - გამინაწყენდება ხოლმე. არადა, დღემდე ვერ გადავლახე ეს მსუბუქი თუ მძიმე ბარიერი.

მასთან საუბარში გაიფიქრებ, რუსთველოლოგია თუ გალაკტიონოლოგიო.

თენგიზ მირზაშვილი უსამართლობასა და ტენდენციურობას არასდროს ეპუება. ურთიერთობაში უშუალო, უბრალო და სადაა, ძალიან თბილია და გასაოცრად კეთილი. მწეველები ჩუბჩიკასთან ვერ ეწევიან. იუმორი განუყრელად მასთანაა. პოლიტიკაში ერკვევა, მაგრამ არ ერევა.

ჰარმონიული სინთეზი დიდი მხატვრის, ამავდროულად დიდი პიროვნების, იშვიათობაა, მსგავს ადამიანთა რიცხვი მცირეა ერთ საუკუნეში, ერშიც კი.

ნიჭიერება, ინდივიდუალურობა, პროფესიონალიზმია დამახასიათებელი მირზაშვილის შემოქმედებისთვის. თითქოს ერთი ამოსუნთქვით, ფუნჯის გაბედული მოსმით იქმნება შედევრი. ფერთა მდიდარი პალიტრა, ეროვნულობა, სიღრმე, ლაკონურობა, პოეტურობა გამოსჭვივის თითოეული ნამუშევრიდან. ნახატები საოცრად გვანან ავტორს. "ჩუბჩიკა" მუდამ კეთილღიმილიანი და ფიქრიანია. სევდა ხანდახან შემოეპარება ხოლმე. სათუთი სულის ადამიანია. მეტყველებს (და ჩვენც გვამეტყველებს) სალიტერატურო ქართულით. ხშირად უქცევს იმერულ დიალექტზე. ბავშვივით სუფთაა და გულწრფელი. სოფელშიც გაუტარებია ბავშვობა. ძალიან უყვარს მოგზაურობა, მთა, სიცოცხლე, ადამიანები. ფეხით აქვს შემოვლილი სამშობლო - საქართველო. წუხს ქართველ ჟურნალისტთა ცუდი ქართულის გამო. მოკლედ, "ჩუბჩიკა" მოარული სიკეთეა!

სახელოსნოში, მე-12 სართულამდე ამოაღწევს ხოლმე დღევანდელი ყოფით გატანჯული ქართველის სევდიანი შეძახილი, - "კარტოშკა, კარტოშკაა", "ბოთლებს ვიბარებ, ბოთლეეებს"... - ერღვევა მყუდროება.

"უნდა დაწერო - ჟურნალისტი ხარ...", შეღონდება მხატვარი.

სხვათა შორის, ჩუბჩიკას სტალინის კარიკატურების მთელი სერიალი აქვს, იგი იყო დიდების ზღაპრის თოჯინების "პაპა კარლოც", შემდეგ რაღაცეები შეიცვალა.

ეს მხოლოდ რამდენიმე შტრიხია ჩუბჩიკას პორტრეტისთვის.

პორტრეტის დასრულებისთვის მისი გაცნობაა საჭირო.

პირველი ეფექტი, ლაღი იუმორი, ხალისიანი განწყობა და საოცრად ბუნებრივი სიახლოვე. ამას მოჰყვება საუბარი ჩარჩოების გარეშე მწერლობაზე, ხუროთმოძღვრებაზე, ისტორიაზე, ბანალურ ჭეშმარიტებებზე და, რაც მთავარია, ნიკალაზე.

## ფიროსმანი და თენგიზ მირზაშვილი

ნიკო ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის საყვარელი მხატვარია და არ მეგულება საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, მირზაშვილზე უფრო დიდი ფიროსმანოლოგი. რადიშ თორდია : "არა მგონია, საქართველოში ვინმე ისე წვდებოდეს ფიროსმანის სიდიადეს, როგორც თენგიზ მირზაშვილი". ერთ-ერთმა ჟურნალმა - "ყალბი ფიროსმანი გამოფინაო", - დასწამა მხატვარს. რა თქმა უნდა, ეწყინასავით.

გალერეა "ჰობიში" ფიროსმანის გამოფენა ახლად აღმოჩენილი ტილოებით მოეწყო, სადაც სამწუხაროდ, პუბლიკა ძალიან ხმაურობდა (როგორც ხშირად ხდება ხოლმე).

გამოფენის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი თენგიზ მირზაშვილი გახლდათ. ის თითქმის 30 წელი ფიროსმანის ბიოგრაფიას დასტრიალებს. მსგავსებს რატომღაც წაუყრუებს ქართული მასმედია.

თენგიზ მირზაშვილს საინტერესო სამეგობრო წრე ჰყავს. თავად კი, მეგობრობის ეტალონია. თავისუფალი დრო თითქმის აღარ აქვს. ყველას სატკივარზე გული შესტკივა. მასზე ითქმის, - "სავსე ქართული პატიოსნებით" (გალაკტიონი).

სახელოსნოში მუდამ ხალხმრავლობაა. მასპინძელი - გულთბილი. მხატვართან შეხვედრა დღესასწაულია. თენგიზ მირზაშვილს მოლურჯო თვალები უმალ ამჩნევენ - მღვრიეა თუ ანკარა მდინარე ვერე სახელოსნოდან. ხატავს, წერს, კითხულობს. ტელეფონზეც ასწრებს საუბარს. ეს "ჩუბჩიკაა". უამრავ საქმესთან შეჭიდებულს არასოდეს ავიწყდება ხატვა. ხატვა მისი სტიქიაა. ძალიან პროდუქტიულია. ნახატების გაცემაში - გულუხვი. ხან მშვიდია, ხშირად აჩქარებული. ძალიან პრინციპულია და პუნქტუალური - ყველაზე განსაკუთრებულად, საკუთარ, ერთადერთ, უმშვენიერეს მეუღლესთან ქალბატონ მანანა თავაძესთან, რომელსაც ყოველთვის ენატრება შინ იშვიათად მყოფი მეუღლე.

## "ჩუბჩიკას" გატაცებები

უპირველესია ხატვა, შემდეგ ისტორიული ძეგლების მონახულება, წარწერების მეცნიერული კვლევა-ძიება, ფოტოგრაფია, აგრეთვე, მურაბების, კომპოტების ხარშვა მხატვრის ფანტაზია-იმპროვიზაციებითურთ.

## "ჩუბჩიკას" საყვარელი ფრაზები:

"მევიდა ვინცხა"-
"ქე ვარ ფაქიზად",
"მერსით",
"ისთე რა",
"კიე",
"რეიზა"
"არ გოუჩერო" (ეს როცა მიკროავტობუსებშია),
"კამპანიას გაუმარჯოს",
"აპა, რა",
"ნიჩავო".

## საყვარელი სიმღერები:

"მაშ, ვადღეგრძელოთ ყვარელი" (ხუმრობით). მთელი სერიოზულობით - "ვერხვები", რომლის მოსმენისას "ჩუბჩიკა" ხატვას წყვეტს ხოლმე და თავადაც ამღერდება.

ამბობენ, რთული რესპონდენტიაო. როგორც დები იშხნელები მღეროდნენ - "არ და-ი-ჯ-ეროთ!". რა თქმა უნდა, თენგიზ მირზაშვილი ვერ გაესაუბრება ჟურნალისტს, რომელიც შინ ესტუმრება, შეხედავს ნახატებით სავსე კედლებს და მიუხედავად ამისა, მაინც შეეკითხება - "ვინ ხართ პროფესიით?". გაოგნდება მხატვარი, აპა, რა!

თენგიზ მირზაშვილი უყვართ (ძალიან)

თენგიზ მირზაშვილს უყვარს (ძალიან)!!!

დღემდე, თენგიზ მირზაშვილს არანაირი პრემია არ მინიჭებია სახელმწიფოსგან. ყოველთვის თვითონ ამბობდა უარს (გია მირზაშვილი); ყველაზე დიდი ჯილდო, რომელსაც ჰქვია მშობელი ხალხის სიყვარული, მან ძალიან დიდი ხნის წინ დაიმსახურა.

თებერვალში მხატვარს შვიდი ათეული წელი შეუსრულდა. იუბილეზე თავად თქვა უარი. 1 მარტს ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა. შეუძლოდ იყო, მაგრამ მაინც მხნეობდა და ჩვენც გვამხნევებდა. სასთუმალთან უამრავი წიგნი მიექუჩებინა. გალაკტიონი, "ვეფხისტყაოსანი", რეზო ინანიშვილი, ხშირად უღონოდ მყოფი, "ვეფხისტყაოსანს" გვიკითხავდა. ეპიზოდებს გვიკითხავდა.

საქართველოში, ქართველმა ექიმებმა ვერ შეძლეს მისი გამოჯანმრთელება. გადაწყდა გერმანიაში გამგზავრება. 21 აგვისტოს გაუკეთდა მეორე ოპერაცია. გერმანელი ექიმები შედეგით კმაყოფილი არიან. "ჩუბჩიკას" კი თურმე საქართველოში ძალიან მოეჩქარება. აქ მას ძალიან დიდი მოლოდინით, აგრეთვე მონატრებით მოელიან და მართლაც "უსაზღვროა მათი მოლოდინი".

# აფიშა



## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
სიმფონიური მუსიკის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
გაგა ნახუცრიშვილი, ზურა ქიქოძე
"მუუ..."
რეჟისორი: ზურა ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 11:30; 18:30; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 19:00; 22:15 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

## გამოფენები

**ჰობი**
თეონა თავართქილაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ქართული რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## მოთხრობები და მიძღვნები

გუშინ კინოთეატრმა "ამირანმა" ცნობილ ქართველ მსახიობს უმასპინძლა. კინოთეატრში გოგი ხარაბაძის წიგნების პრეზენტაცია გაიმართა. "მოთხრობები და მიძღვნები", "წყნარად, წარსულო, წყნარად" და "ქოქსართროზი" ქართულ და რუსულ ენებზეა გამოცემული. პრეზენტაციას ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე და ცნობილი ფოტოხელოვანი და ჟურნალისტი იური როსტი უძღვებოდნენ.

"მე წიგნების რუსული თარგმანი წავიკითხე. გოგის ცხოვრება აღსავსეა მნიშვნელოვანი შეხვედრებით, რომელთა შესახებ ამ წიგნებშია საუბარი. მათში აისახა გოგის მოგონებები და მიძღვნებიც" - აღნიშნა საუბრისას იური როსტმა.

პრეზენტაციაზე ასევე წარმოდგენილი იყო იური როსტის ფოტონამუშევრები, რომლებზეც გოგი ხარაბაძეა ასახული. ***ინტერ-პრესი***

## აქცია-კონცერტი ვაკის პარკში

1 დეკემბერს, შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ვაკის პარკში ქართული ესტრადის მომღერლების მონაწილეობით აქცია-კონცერტი გაიმართა. მუსიკოს-შემსრულებლებმა საქველმოქმედო კონცერტზე შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებას მობილიზაციისკენ მოუწოდეს.

კონცერტის მსვლელობის დროს სცენაზე დამონტაჟებული მონიტორის საშუალებით მაყურებელს საშუალება ჰქონდა, თვალყური ედევნებინა შიდსის ეპიდემიის შესახებ უახლოესი ინფორმაციისთვის. კონცერტზე ასევე გავრცელდა შიდსის ვირუსული ინფექციის შესახებ საინფორმაციო მასალა. კონცერტი დასრულდა ორიგინალური ფეიერვერკით: STOP, AIDS!

ცნობისთვის: "შიდსის კვირეულთან" დაკავშირებით ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში 1-დან 7 დეკემბრამდე ყველა მსურველს შეუძლია შიდსზე უფასო კონსულტაცია-ტესტირება გაიაროს. ***მედია-ნიუსი***

## გასტროლებზე ბათუმში

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი გასტროლებზე გუშინ ბათუმში გაემგზავრა. ქუთაისელ მსახიობებს ბათუმის მერია და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მასპინძლობენ.

ქუთაისელმა მსახიობებმა გუშინვე ბათუმში ითამაშეს ეგნატე ნინოშვილის პიესა "აქ ერთ დროს ადამიანს უცხოვრია", რომელიც რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანიძემ დადგა. საპასუხო ვიზიტით ბათუმის თეატრს ქუთაისში დეკემბრის ბოლოს ელიან.

ანალოგიური გაცვლითი გასტროლები ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრმა გასულ თვეში გორში მოაწყო. როგორც ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯეირან ფაჩუაშვილმა განაცხადა, 2005 წლის იანვარში დასი ზუგდიდს ესტუმრება. ***ინტერ-პრესი***

## ლექსო თორაძე თბილისში

გუშინ თბილისს ცნობილი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე ეწვია. მუსიკოსი საქართველოში თბილისის მუსიკალური ცენტრის მოწვევით ჩამოვიდა. 5 დეკემბერს ლექსო თორაძე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სოლო-კონცერტს გამართავს და რახმანინოვის III საფორტეპიანო კონცერტს შეასრულებს.

შეგახსენებთ, ცნობილი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე წლების განმავლობაში ამერიკაში მოღვაწეობს. ***ინტერ-პრესი***

# რუსეთში კინოდემოკრატია მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

### ანუ, კავშირი მოკვდა. გაუმარჯოს ნიკიტა სერგეევიჩს!

სალომე კიკალეიშვილი

*რუსეთში, კერძოდ კი მოსკოვში, ერთი თვის წინ ჩატარებულ კინოკავშირის თავმჯდომარის არჩევნებს, რუსული პრესა და კინო-საიტები ოდნავი მოგვიანებით, მაგრამ საკმაოდ პირდაპირი და ცინიკური სტატიებით გამოეხმაურა. საინტერესოა, რა ხდება დღეს რუსეთის კინოსამყაროში და რაც მთავარია - როგორ აფასებენ ჩვენი რუსი კოლეგები არჩევნების შედეგებს, რამდენად არ ერიდებიან ხმამაღალ, კრიტიკულ, ცინიკურ საუბარს მაშინაც კი, როცა საქმე ისეთ ავტორიტეტს ეხება, როგორიც კინორეჟისორი - ნიკიტა მიხალკოვია.*



*"მარადიული" ნიკიტა მიხალკოვი.*

**"ვინც პრეზიდენტთან ერთად სვამს ჩაის, მისი კინოც "ზეიმობს". ვინ არის თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი? ვისა აქვს ისეთი გამოხედვა და ღიმილი, რომლის დანახვაზეც ტანში ჟრუანტელი გივლის? ვინ ძმაკაცობს პრეზიდენტთან? ჰოლივუდელი ვარსკვლავები ვის ნებასურვილზე გვსტუმრობენ? - ის! ის და მხოლოდ ის! აიღე, დაგვიცავი და თუ გინდა დაგვმარხე ჩვენო საყვარელო, ძვირფასო ნიკიტა სერგეევიჩ! მხოლოდ შენზეა ჩვენი, ბედკრულთა იმედი!"** - წერს ჟურნალისტი ელენა არბადაცკაია.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსკოვში, კინოკავშირში "ვარდების რევოლუციას" ელოდნენ, მაგრამ... ცენტრალური შენობიდან ხმაურის, ყვირილის და შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გარდა არაფერი ისმოდა. ამ "სადო-მაზო-ბალაგანის" (როგორც ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა უწოდა) მიზეზი კი, კავშირის თავმჯდომარის არჩევნები გახლდათ. კანდიდატები ორნი იყვნენ - "მარადიული" **ნიკიტა მიხალკოვი** (რომელიც უკვე ორჯერ იყო არჩეული ამ თანამდებობაზე) და რეჟისორი - **ელენა ციპლაკოვა** (რომლის გამარჯვების იმედით, საკუთარი კანდიდატურები ბოლო მომენტში მოხსნეს - ელდარ რიაზანოვმა, სტანისლავ გოვორუხინმა და ვლადიმირ მაკერანეტმა). არჩევნები იმ დღესვე დასრულდა, როცა კავშირის მე-6 ყრილობაზე 970 დელეგატი შეიკრიბა და კანონის დარღვევით, ნიკიტა მიხალკოვს მესამედ არგუნეს თავმჯდომარეობა, როდესაც გუსმანს "ჟიდოვიე" უწოდეს, გამარჯვებულმა მიხალკოვმა მიკროფონში თავისი სამეფო სიტყვა წარმოთქვა - საკუთარ ძლიერებაზე, მის წინააღმდეგ ამხედრებულ მაიმუნებზე (სადაც რუსული კინოს ოსტატები იგულისხმებოდნენ), როდესაც უამრავი კითხვა ისევ უპასუხოდ დარჩა და როდესაც "საბოლოოდ ჩაიძირა დემოკრატიის ის ერთადერთი კუნძული, რასაც რუსეთის კინოკავშირი ერქვა".

"შე ნაგავო", "დებილო", "ფაშისტო", "მოკეტე რა!", "ამ ბებერ თხას რაღა ალაპარაკებს" - შოკირებულები გამოდიოდნენ ჟურნალისტები და კინომცოდნეები, რიაზანოვის "ავტოფარეხის" ("გარაჟი") მსგავსი ყრილობიდან. იქ, სადაც კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ პროფესიონალიზმი და ამ შემთხვევაში კარგი კინემატოგრაფისტობა, სრულებითაც არ გულისხმობს კარგ ადამიანობას - "ჩემმა ურთიერთობამ სერგო ფარაჯანოვთან მასწავლა შემოქმედის, ხელოვანის გარჩევა ადამიანისგან. მე სიამოვნებით ჩამოვართმევდი ხელს ნიკიტა სერგეევიჩს - როგორც ხელოვანს. მაგრამ როგორც ადამიანს - ყოველგვარი სიმპათიის გარეშე" - **ალექსანდრ ატანესიანი** (პროდიუსერი და რეჟისორი).

საქმე კი აი, რაში იყო. გარდა იმისა, რომ მიხალკოვს კინემატოგრაფისტები უამრავ მაქინაციასა და კავშირისთვის ძირის მოთხრაში სდებენ ბრალს, ამჟერად მან იკადრა ის, რამაც ყველა მწყობრიდან გამოიყვანა. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კანონის თანახმად, კინოკავშირის თანამდებობაზე არჩევისთვის საჭიროა, რომ კანდიდატმა მოაგროვოს ხმების 75 პროცენტი, ანუ ერთი მესამედი. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს და კანდიდატთა სიაც უნდა გადაიხედოს. "მაგრამ, რა ვქნათ მაშინ, როცა ისეთი მაგრები ვართ, რომ პრეზიდენტთან ვძმაკაცობთ და საერთოდაც... სიტყვა დემოკრატია ისე გვესმის როგორც გვინდა! როცა შეგიძლია კანონი ხან ცხვირწინ უფრიალო კავშირის წევრებს და ხან ზურგს უკან დამალო - გააჩნია, როდის როგორ გჭირდება."

მთელი ცირკი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა მიხალკოვმა ხმების მხოლოდ 64 პროცენტი მიიღო. ეს როგორ? მესამედ აღარ აირჩევა თავმჯდომარის პოსტზე? რაღაც გამოსავალი ხომ ყველა სიტუაციიდან არსებობს. აქაც მთავარია, გამოძვრე, კანონიერად თუ არაკანონიერად ამას რა მნიშვნელობა აქვს? - არავითარი. თუმცა, აქ თხრობას ცოტა ხნით შევაჩერებთ და მანამდე არანაკლებ მნიშვნელოვანი, თავად ამ 64 პროცენტის შესახებ მოგითხრობთ. რუსეთის კინოსამყარო, თავისი პერიპეტიებით და მიხალკოვის წინააღმდეგ დიდი ხნის წინ აგორებული ტალღით, ძირითადად, დიდ ქალაქებში, კინოწარმოების ცენტრებში - მოსკოვსა და პეტერბურგში რუსული კინოს ოსტატებთან "დუღდა". განაპირა რეგიონები კი: როსტოვი, კრასნოიარსკი, ეკატერინბურგი და სხვა მეტ-ნაკლებად შორს იყვნენ მრავალწლიანი "ქალაქური შერკინებებისგან" და თავისთავად თვალსაც ვერ ადევნებდნენ კინოსამყაროს მნიშვნელოვან მოვლენებს. ჩამოვიდნენ ყრილობაზე, როგორც დღესასწაულზე, "ქალაქელ" კოლეგებთან შესახვედრად და რა დახვდათ? ავტორიტეტის წინააღმდეგ აბუნტებული ხალხი, გუსმანი, რომელიც ირონიულად მიმართავდა მოძმე რეგიონალურ კოლეგებს, მაშინ როცა ეს უკანასკნელნი ტყავიდან ძვრებოდნენ საყვარელი მიხალკოვის დასაცავად. აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ მის ყოველ სიტყვას, ენერგიულად ჰყვებოდნენ თუ როგორ ეხმარებოდა ნიკიტა სერგეევიჩი ზოგს შვილის სამკურნალოდ საჭირო თანხით, ზოგს ბინის დამტკიცებაში... "არა, ამათი ბრალი არ არის, ის მათთვის დიდი ფიგურაა. ჩვენ ადრევე უნდა გვეზრუნა, რომ გაგვეგებინებინა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში მიხალკოვი, მისი მართვის მეთოდები, რომელიც "ვერტიკალურ ძალაუფლებას" დაამსგავსა. დღეს კი სამუდამოდ გამოგვამშვიდობა დემოკრატიას და რუსეთის კინოკავშირის უკანასკნელი დღეების ათვლა დაიწყო. ეს არჩევნები ხომ მისი ისტერიული დატირება იყო" - აგრძელებს ჟურნალისტი ვალერი კიჩინი საიტზე kino.ru.

"ნუ გგონიათ - წერს "დამოუკიდებელი გაზეთის" ჟურნალისტი - რომ მასის მონური ცნობიერება, სადღაც შორს, ღარიბ "კომუნალკებსა" და მასობრივ მიტინგებშია. დიდი ქვეყნის მონური ცნობიერება, საუკუნეების მანძილზე შეეჩვია ბატონყმურ ურთიერთობებს, "სულელ ბარინსა" და მეფე-ბატონს. ამ "ბარინისა" და მისი თითოეული სიტყვისადმი ბრმა რწმენა მხოლოდ მაშინ მოკვდება, როცა ჩვენი ქვეყანა ატლანტიდასავით ჩაიძირება. თუმცა ნიკიტა სერგეევიჩი ძალიან შორს არის "ბარინობისგან", რადგან "ბარინი" და პლებეობა ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნებაა. პოსტულატი - "მიზანი ამართლებს საშუალებებს", დაუძლეველი წყურვილი ბატონობისა და მართვისა, რა არის, თუ არა პლებეობის ნიშანი? ნაპოლეონიც დიდი მხედართმთავარი იყო, მაგრამ პლებეი..."

მაშინ, როცა გვიანობამდე გაგრძელებულმა ყაყანმა, ქაოსმა და იმედგაცრუებამ საბოლოოდ დაარწმუნა საკუთარი სიტყვის უძლურებაში 970 დელეგატის უმეტესობა, მათ შენობა დატოვეს. ხოლო დარჩენილი 200 "რეგიონალური" კოლეგიდან, 189-ამ ხმა ერთსულოვნად "ბარინს" მისცა. ასე რომ, წინა ხმის მიცემაზე მიღებულ პროცენტებს დაემატა ეს უკანასკნელიც და მიღებული ციფრი, ალბათ, ზუსტად გამოვიდოდა 75 პროცენტი. თუმცა, რომც არ გამოსულიყო, ამას უკვე აღარავინ მიაქცევდა ყურადღებას.

სად წავიდა გაყიდული კინოთეატრებიდან შემოსული ფული? სად არის კინოკავშირის დანახარჯთა ნუსხა? რა ბედი ელის კინოსახლს, რომელსაც უკვე უწინასწარმეტყველეს დანგრევა და მის ადგილას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის წამოჭიმვა? - ეს კითხვები ისევ უპასუხოდ დარჩა. - "მე უარი ვთქვი ჩემს კანდიდატურაზე, რადგან არ მინდოდა ამ საღორეში, გველების ხროვაში ჩაძრომა, ამ ამყაყებულ "კომუნალკაში". სად იყვნენ დღევანდელი რუსული კინოს წამყვანი ახალგაზრდა რეჟისორები: ანდრეი ზვიაგინცევი, ალექსანდრ როგოჟინი, ვალერი ტადაროვსკი.. რომლებიც სახელს უთქვამენ რუსეთს ფესტივალებზე. ისინი არც მოვიდოდნენ, რადგან ეზიზღებათ ეს ჭაობი. რატომ აყენებს თავის კანდიდატურას ისევ მიხალკოვი? იმიტომ რომ, წასვლის შემთხვევაში, პირველივე შემოწმება მისთვის არასასურველი შედეგებით დასრულდება. ერთი ცხადია - მალე კინოკავშირი არქაული ცნება გახდება" - **სტანისლავ გოვორუხინი**.

"რამდენჯერაც არ უნდა ვნახო "სასტიკი რომანსი", "სიყვარულის მონა" ყოველთვის ერთი ამოსუნთქვით, სიამოვნებით შევხედავ. რადგან თქვენ ხართ - ნამდვილი, განუმეორებელი, ერთადერთი. დანარჩენი სხვა კი... ცუდი სიზმარი, გიჟის ბოდვა, სიგიჟეა" - **ელენა არბადაცკაია** (ჟურნალისტი).

*თინეიჯერი*

# მოწყენილი სტუდენტი

ლიზა ციციშვილი

მე თვითონ უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ და ყველა ის საკითხი, რომელსაც ქვემოთ შევეხები, ვფიქრობ, ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჩვენი თაობის პრობლემებით არავინ ინტერესდება. ქალაქში რამის გახსნისას - მხედველობაში მაქვს კინოთეატრები, კაფეები, დისკოთეკები და მაღაზიები, ჩვენზე არავინ ფიქრობს; არავინ ფიქრობს იმაზე, რომ თითქმის ყველა კაფე, ორივე კინოთეატრი - "რუსთაველიც" და "ამირანიც", თითქმის ყველა მაღაზია ჩვენს შესაძლებლობებზე არ არის გათვლილი.

ხშირად გამივლია ქუჩაში და ვიტრინაში ბევრი რამ მომწონებია, მაგრამ ამაოდ. ჩემნაირი, ალბათ, ბევრია. ნდომებია კინოში წასვლა და ვერ წავსულვარ, მაგრამ ახლა კინოსთან დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაცია გავიგე და ძალიან გახარებული ვარ, - მსოფლიოში ცნობილი კინოთეატრების ქსელის, "ოდეონის" ფილიალი საქართველოშიც გამოჩნდა, რაც საშუალებას მოგვცემს გლდანში უფრო ხელმისაწვდომ ფასებში, ცნობილი ფილმების მნახველები გავხდეთ.

ისე, კინოსთან დაკავშირებით - ვამჯობინებ სასიყვარულო, მელოდრამის ტიპის ფილმებს, ან კომედიებს. ასეთი ტიპის ფილმებს, სამწუხაროდ, ქართულ კინოთეატრებში ძალიან იშვიათად გვთავაზობენ, რასაც ვერ ვიტყვით ფანტასტიკაზე და ჰოლივუდის მიერ გადაღებულ სხვა ფილმებზე, რომლებიც ძირითადად, უაზრო მეჩვენება.

დისკოთეკების საკითხიც ძალიან გვაწუხებს, მე კიდევ ნაკლებად, მაგრამ ჩემს თანატოლებს თავსატეხი გაუჩნდათ, სად იცეკვონ, რადგან გავარდა ხმა, თითქოსდა თბილისში არსებული ერთადერთი "აჭარა მიუზიქ ჰოლი" იხურებაო. კიდევ კარგი, რომ დისკოთეკებზე სიარული არც ისე ძალიან მიყვარს: მიმაჩნია, რომ ძალიან დამღლელი, მოსაწყენი და ერთფეროვანია.

მე მაინც მჯერა, რომ მოვა დრო და ჩვენი პრობლემებიც, ალბათ, აქტუალური გახდება. მე შეიძლება, იმ დროისათვის სტუდენტი აღარც ვიყო, მაგრამ მაინც მგონია, რომ როდესმე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სტუდენტების მსგავსად, ქართველ სტუდენტებსაც გვექნება შეღავათები კინოთეატრებში, მუზეუმებში, გარკვეულ კაფეებსა და დისკოთეკებზე.

მჯერა, რომ გაიზრდება სტიპენდიები და თუმცა მე სტიპენდიანტი არ ვარ, მაგრამ სხვა სტიპენდიანტებს ექნებათ საშუალება, სულ მცირე ხარჯები მაინც თვითონ დაფარონ.

იაფფასიან მაღაზიებს როცა ვახსენებდი, ვგულისხმობდი ისეთ მაღაზიებს, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება, საკუთარი გაზრდილი სტიპენდიით რამე მაინც შეიძინონ, - მხედველობაში მაქვს ტანსაცმელი, ან რაიმე საყოფაცხოვრებო ნივთი.

აუცილებლად უნდა არსებობდეს სასწავლებლებთან ახლოს მდებარე იაფფასიანი კაფეები, რადგან დღეს ორი ლექცია გამიცდა და ორი საათი ქუჩაში ხეტიალი მომიხდა. ყველა ჩვენთაგანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კომპიუტერი და სასწავლებლებს უნდა გააჩნდეთ თანამედროვე აღჭურვილობა, თანამედროვე ტექნიკა. ასევე აუცილებელია, უამრავი იაფფასიანი წიგნის მაღაზია, მანამდე კი, სანამ ყველა ეს პირობა შესრულდება, მოგვიწევს ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებში ბოლო ფულის ხარჯვა, ან საერთოდ უარის თქმა და ლოდინი, როდის გახდება ჩვენი პრობლემები უფროსებისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო.

# სამზარეულოს პოეტიკა

## ცხოვრებისეული მოგონებები რეცეპტებში

რა ხდება მაშინ, როცა სამზარეულოში ფუსფუსს პროფესიით მწერალი იწყებს? რა ხდება და, თითქოს, ინგრედიენტებსაც და ქვაბებსაც ჯადოსნური ჯოხი დაუსვესო, თითოეული კერძი ერთ გემრიელ ნოველად, ანდა ერთ მშვენიერ ლექსად იქცევა.

ყოველი შემთხვევისთვის, ზუსტად ასე ხდება, როცა სამზარეულოში აფრიკული წარმოშობის ამერიკელი მწერალი ქალი, მაია ანგელოუ შედის. როგორც თავად ამბობს, ის თითოეულ კერძში თავისი არსების დიდ ნაწილს დებს, სულ ერთია, შებოლილ ქათამს ამზადებს, თუ კარაქით, რძითა და კვერცხით უგემრიელეს პურს აცხობს.

სამზარეულოში ტრიალი რიტუალიო, 76 წლის მწერალმა თავისი ბებიისგან ისწავლა. ახლა კი, ბებიის, დედისა და მეგობრებისგან ნასწავლ რეცეპტებს თავი ერთ წიგნში მოუყარა და სამზარეულოს წიგნი გამოსცა, სათაურით: "ალილუია! პირველი სუფრა: ცხოვრებისეული მოგონებები რეცეპტებში".

"საკვები საჭიროა ორგანიზმისთვის, არა მხოლოდ როგორც საწვავი მანქანისთვის, არამედ როგორც სულიერი ზრდის იარაღი", - ეუბნება მაია ანგელოუც "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტს ქორი ბრაუნს რესტორანში გამართულ სადილზე.

ანგელოუმ კერძების მომზადება ბებიისგან ისწავლა. შავკანიანი ენი ჰენდერსონი მონობაში დაიბადა და მონობაშივე იმსახურა. მთელი ცხოვრება მან შეშის ღუმელთან გაატარა და იმ დიდი ჯაფის გათვალისწინებით, რასაც ის თითოეული კერძის მომზადებას ახარჯავდა, შვილიშვილს საკვების პატივისცემად ასწავლა.

ანგელოუ იხსენებს: "მონებს ყველაზე უვარგის ინგრედიენტებს აძლევდნენ ხოლმე - თირკმელებს, ფილტვებს, თავსა და ყელს, ფეხებს. აბა, წარმოიდგინეთ, როგორია, ასეთი ხორცისგან გემრიელი კერძების დამზადება... ფუუუ... გაგისინჯავთ ოდესმე კასრის ყველი? უნდა სცადოთ ერთხელაც. ის დამარილებული ღორის ფეხებისგან კეთდება".

ცხადია, ამ ყველის რეცეპტი მის წიგნშიცაა შესული. თუმცა, მის გარდა, ანგელოუ კიდევ მრავალ ოჯახურ რეცეპტს გვთავაზობს. და სწრაფი კვების რეალობაში ამ კრებულსაც მეტ ხიბლს სწორედ ამ ოჯახური გარემოს შექმნით სძენს.

"თუ გული შეგტკივა, არაფრისგანაც შეგიძლია ყველაფერი შექმნა. ეს აფრო-ამერიკული სამზარეულოს საიდუმლოა", - განმარტავს პოეტი, რის დასტურადაც ერთი პატარა ამბის გახსენებაც კმარა:

"ერთ დღეს ჩემმა მეუღლემ გამოაღო მაცივრის კარი და ნახა, რომ თაროები ახლად დატენილი ეკლერებით იყო სავსე. სანახაობა არ მოეწონა და გამომიცხადა, რომ ეკლერს ცხოვრებაში არ შეჭამდა. იძულებული გავხდი, ნამცხვრების დიდი ნაწილით სხვებს გავმასპინძლებოდი, მაგრამ ერთი ყველაზე დიდი ეკლერი მაინც შემოვინახე. რამდენიმე დღის შემდეგ კი ქმარს ჰენდროს ღვეზელი შევთავაზე. მან გამიღიმა, ნამცხვარი გამომართვა და გემრიელადაც მიირთვა. არადა, მსუქანი ჰენდროებისა და ახლად ათქვეფილი კრემის შიგნით მისგან დაწუნებული ეკლერის ნაჭერი იმალებოდა..."

ანგელოუ კარამელის ტორტის ისტორიასაც იხსენებს:

"თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ ბებიაჩემი ამ ტორტს შეშის ღუმელზე აცხობდა. მას არც ყავისფერი შაქარი ჰქონდა, ყველაფერი თვითონ უნდა მოემზადებინა, ხელით. ტემპერატურაც ღუმელში სათანადოდ გაეკონტროლებინა. უნდა სცოდნოდა, როდის შეედო ფიჭვის ნაჭერი - რომელიც სწრაფად დაიწვებოდა და ტემპერატურას გაზრდიდა და როდის - კაკლის ხის ნაჭერი - უფრო ნელი წვისთვის. ბებიაჩემმა ისიც კარგად იცოდა, რომელი ხის კუნძი, როგორ გემოს აძლევდა ამა თუ იმ კერძს. მოკლედ, შეშის ღუმელზე კერძების გაკეთება მთელი მეცნიერება იყო. ხელოვნებასთანნაზიარები მეცნიერება".

ასეთი შესავლიდან ცხადი ხდება, რომ მაია ანგელოუს ბებია კარამელის ტორტს იშვიათ, მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევებში აცხობდა ხოლმე.






ანგელოუ ბავშვობაში გააუპატიურეს. შოკის გამო ის დიდხანს ხმას არ იღებდა (ამ საშინელ ფაქტს კი ავტობიოგრაფიული მოთხრობაც მიუძღვნა: "ვიცი, რატომ ჭიკჭიკებენ ჩიტები გალიაში").

ცხოვრებასთან ისევ ადაპტაცია მაიამ ბებიას სამზარეულოში დაიწყო. ერთხელაც სკოლაში ბავშვს მასწავლებელმა სრულიად უმიზეზოდ სახეში სილა გააწნა. ბებიამ უხეშ მასწავლებელზე შური იძია - მას საპასუხო სილა უთავაზა, მერე კი შვილიშვილს დალურჯებული კანის მოსაშუშებლად კარაქისა და შაქრისგან დამზადებული მალამო დაადო.

ანგელოუ ჰყვება: "მან ყველაფრის წამალი იცოდა და, რაც მთავარია, მათ აუცილებლად საკვებისგან ამზადებდა. თმასაც ის მიწნიდა ხოლმე. აფრიკულ თმას უცნაური ფორმა აქვს - მისი ნაწილი სწორია, ნაწილი - ტალღოვანი, ამიტომაც იოლად იხვევა. თუ ადამიანი ავადმყოფობს, ან ძალიან გამხდარია, თმის ბეწვიც სუსტდება და შუაზე ტყდება. ბებოც დამიწნიდა ხოლმე თმას, მერე აუცილებლად გამოაძრობდა ერთ ბეწვს სავარცხლიდან და მოსინჯავდა. თუ თმა გადატყდებოდა, ამოიოხრებდა: "ო, ღმერთო, ბებომ მეტი მწვანილი უნდა გაჭამოს". გამაგზავნიდა ხოლმე ბაღში და მეტყოდა, რა მწვანილიც უნდა ამომეტანა. თვითონ კი დიდი წინსაფრით წავიდოდა ტყეში და უკან რაღაც ფოთლებით დაბრუნდებოდა. მერე იწყებდა ამ ყველაფრის ხარშვას, ურევდა ერთმანეთში ბაღში დაკრეფილ მწვანილს, ცოტა ცხიმსა და ტყეში დაკრეფილ ჯადოსნურ ფოთლებს და მალევე წარმოუდგენელი რამ ხდებოდა - თმის ღერი ისევ მისქელდებოდა ხოლმე".

მაია ანგელოუს "ალილუია!" კიდევ ბევრ საინტერესო ამბავზე დაფუძნებულ რეცეპტს გვთავაზობს. ყველა მათგანი ბებიის შეშის ღუმელიდან, ცხადია, არ მოდის. ზოგიერთი თავად ანგელოუმ მოიპოვა და გაამდიდრა - მაგალითად, ლოს ანჯელესში კრეოლების რესტორანში მუშაობის პერიოდიდან. ლოს ანჯელესშივე შეიყვარა მან მექსიკური სამზარეულო და თავის აფრო-ამერიკულ ფესვებს მექსიკური ტრადიციებიც გემოვნებით და პოეტურად შეუზავა.

თუმცა, ჩვენ იქ შევჩერდით, როცა მაია ანგელოუ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტთან ერთად სადილობდა. მან ბოსტნეულის სალათა და შემწვარი ქათმის ხორცი შეუკვეთა ოფიციანტს. კერძები უკვე მოიტანეს, მაგრამ სანამ ანგელოუ ჩანგალს მოიმარჯვებდა ხელში, ოდნავ შეყოვნდა და ლოცვა ჩუმად წარმოთქვა - ისე შეუმჩნევლად, რომ სუფრაზე მსხდომთაგან ეს თითქმის ვერავინ შეამჩნია. თუმცა, ანგელოუმ იქვე ჟურნალისტის გასაგონად მაინც განმარტა:

"საკვების მიღების წინ წარმოთქმული ლოცვა, თითქოს, დროის სვლას აჩერებს და მახსენებს, რომ კერძებით სავსე მაგიდა ჩემ წინ - ღვთის წყალობაა და რომ დედამიწაზე ბევრ ადამიანს არ აქვს ეს. ლოცვა საშუალებას მაძლევს, მადლობელი ვიყო".

ასეა - მაია ანგელოუს უყვარს პოეზია და ნახევარფაბრიკატებსა და სწრაფ კვებაზე გადასულ ამერიკელ დიასახლისებს მოუწოდებს, კერძების მომზადება საყვარელი ადამიანებისთვის კვლავაც მთავარ ოჯახურ რიტუალად აქციონ.




*პაულო კოელიოს სვეტი*

# ხანტეს კანონი



"რას ფიქრობთ პრინცესა მარტა-ლუიზას შესახებ?"

ჟენევის ტბის ნაპირას ვიყავით. ნორვეგიელი ჟურნალისტი ჩემგან ინტერვიუს იღებდა. თავიდანვე უნდა გაგაფრთხილოთ, როგორც წესი, ვერიდები ხოლმე ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემას, ჩემს შემოქმედებასთან არაფერ კავშირში რომ არაა. თუმცა, ამჯერად, მივხვდი, რაც აინტერესებდა ჟურნალისტს. საქმე ის გახლავთ, რომ პრინცესამ თავის 30-ე დაბადების დღეზე ჩაიცვა კაბა, რომელზეც ამოქარგული იყო მისთვის მნიშვნელოვანი და ძვირფასი ადამიანის სახელები. მეც მათ შორის ვიყავი (ეს იდეა ჩემ ცოლსაც ისე მოეწონა, რომ ნორვეგიის პრინცესას იდეას დაესესხა და თავის 50-ე იუბილეზეც იგივე "შინაარსის" კაბა ჩაიცვა. ერთ კუთხეში კი მიაწერა: "აზრი ნორვეგიის პრინცესამ შთამაგონა").

"ვფიქრობ, ის მგრძნობიარე, თავაზიანი და ჭკვიანი ქალია", - ვუპასუხე და იქვე დავაყოლე: "ძალიან გამიმართლა, რომ ოსლოში მასთან შეხვედრის შანსი მომეცა. პრინცესამ წარმადგინა თავის მეუღლესთან, რომელიც, ჩემსავით, მწერალია".

შემდეგ ერთი კი შევყოყმანდი, მაგრამ მერე მაინც გავაგრძელე:

"ერთი რამ მაინც ვერ გამიგია: რატომ შეუტია ნორვეგიულმა პრესამ მის შემოქმედებას მაინცდამაინც ახლა, როცა ის პრინცესას მეუღლეა? მახსოვს, მანამდე მის შესახებ საკმაოდ დადებით რეცენზიებს წერდნენ".

რაც ჟურნალისტს ვუთხარი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი კითხვა. აზრი რაღაც პროვოკაციასავით შევაპარე, რადგან წინასწარ უკვე ვიცოდი პასუხი: რეცენზენტების დამოკიდებულება პრინცის მიმართ შეიცვალა შურის - ყველაზე მტანჯველი ადამიანური გრძნობის გამო.

თუმცა, გაირკვა, რომ ყველაფერი ასე იოლად არ ყოფილა. ჟურნალისტმა მოახერხა და სიტუაცია ერთი წინადადებით გამირთულა:

"ეს იმიტომ მოხდა, რომ მან დაარღვია ხანტეს კანონი".

რადგანაც ამ კანონის შესახებ მანამდე არაფერი გამეგო, მოსაუბრემ ყველაფერი დაწვრილებით ამიხსნა.

რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ რთულია, სკანდინავიის ქვეყნებში იპოვო ერთი ადამიანი მაინც, რომელსაც ამ კანონის შესახებ არაფერი სმენია. ის კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს, მაგრამ ოფიციალურად, წერილობითი სახით, 1933 წელს ჩამოყალიბდა, მწერალ აქსელ სანდემოესის (Aksel Sandemose) რომანში A Fugitive Crossing His Tracks.

რაც ყველაზე სამწუხაროა, Law of Jante არა მხოლოდ სკანდინაველებისთვისაა: ეს არის წესრიგი, რომელიც მთელ სამყაროშია გავრცელებული. მიუხედავად ამისა, ბევრი ბრაზილიელისგან გამიგია, რომ ამბობს: "ეს მხოლოდ აქ შეიძლება მოხდეს". მათ ფრანგებიც დაეთანხმებიან: "ასე მარტო ფრანგები იქცევიან"...

მგონი, დრო მოვიდა, თქვენც აგიხსნათ, რაშია საქმე, რადგან უკვე ვგრძნობ, რომ მკითხველი თანდათან ღიზიანდება - უკვე ნახევარი სვეტი გაილია, მე კი არც მითქვამს, თუ მაინც რას ნიშნავს ეს ხანტეს კანონი. ამიტომ, ახლა შევეცდები, ჩემი სიტყვებით გადმოგცეთ ის:

"შენი ფასი ნულის ტოლია, არავის აინტერესებს, რას ფიქრობ შენ. ამიტომ მთელი შენი ცხოვრების მანძილზე უნდა ელტვოდე ერთადერთ მდგომარეობას - ანონიმურობას. ეცადე შეინარჩუნო საშუალო მდგომარეობა, ეცადე დარჩე ადამიანად, რომელიც არის არავინ. იცხოვრე ასე და არასდროს გადაეყრები დიდ პრობლემებს".

ხანტეს კანონი ეჭვისა და შურის საზურველშია გახვეული. პრინცესას მწერალმა მეუღლემ არი ბენმა დაარღვია ეს კანონი, აღძრა სხვაში ეჭვი და შური და ამიტომაც აღმოჩნდა პრობლემების წინაშე. ეს კანონის ერთადერთი აღიარებული უარყოფითი მხარეა. მაგრამ სინამდვილეში არის მეორე, გაცილებით უფრო სახიფათო მხარეც.

სწორედ ამ კანონის გამოა, რომ უშიშარი, მაგრამ ავი ზნის ადამიანები თავისუფლად მანიპულირებენ სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე. ასეთები არად დაგიდევენ დანარჩენების აზრს და ხშირ შემთხვევაში ახერხებენ კიდეც დამღუპველი მიზნების განხორციელებას.

აკი, ვართ კიდეც მოწმენი ერაყში მიმდინარე უაზრო ომისა, რომელიც დღემდე უამრავი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს;

მოწმენი ვართ იმ თვალუწვდენელი უფსკრულისაც, რომელიც მდიდარ და ღატაკ ქვეყნებს შორის არსებობს;

მოწმენი ვართ სოციალური უსამართლობის, სისასტიკისა და ძალადობის;

მოწმენი ვართ იმის, თუ როგორ იმსხვრევა ადამიანების ოცნებები და თუ კეთილი ზრახვები როგორ ეწირება სხვათა ბოროტ წადილს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჰიტლერმა თავისი სურვილები მრავალგზის გაამჟღავნა, ღიად და პირდაპირ, მერე კი, გეგმების განხორციელებაც შეძლო. როგორ მოახერხა მან ეს? როგორ და იმით, რომ მისი შეჩერება ვერავინ გაბედა; იმიტომ, რომ არსებობდა და ბობოქრობდა ხანტეს კანონი.

იყო საშუალო ადამიანი, არაფრით გამორჩეული, იყო შენთვის, იყო ანონიმური - ეს პოზიცია ძალიან კომფორტულიც შეიძლება იყოს, სანამ ერთ მშვენიერ დღეს კარზე ტრაგედია არ მოგიკაკუნებს, და სანამ მთელი ამ ხნის განმავლობაში დაგროვებული უბედურება არ დაგატყდება უცაბედად თავს. და მაშინ, ამ კრიზისულ წუთს ადამიანი გაიფიქრებს: "რატომ არავინ არაფერი არ თქვა. ხომ ყველა ხედავდა რომ ყველაფერი ასეთი დასასრულისკენ მიდიოდა?"

არადა, პასუხი უმარტივესია: არავინ არაფერი თქვა, იმიტომ, რომ არც მათ, პირადად მათ, ტრაგედიის შუაგულში მდგომმა ადამიანებმა თქვეს რამე.

ასეა საქმე და ამიტომაც მგონია, რომ დროა, თვითონ ავიღოთ სადავეები ხელში; დროა, თვითონ ვიზრუნოთ იმაზე, რომ სინამდვილე კიდევ არ გაუარესდეს ჩვენ გარშემო. მოკლედ, დროა, ხანტეს კანონის საწინააღმდეგო კანონი დავწეროთ და აი, ისიც:

"შენ გაცილებით უფრო ძვირად ფასობ, ვიდრე სინამდვილეში გგონია. შენი ღვაწლი და მეტიც, შენი ცხოვრებაც კი დედამიწაზე ძალიან ბევრს ნიშნავს, მიუხედავად იმისა, გჯერა თავად ამ სიტყვების თუ არა. შეიძლება, ასე ფიქრის გამო დიდ პრობლემებს გადააწყდე იმიტომ, რომ ხანტეს კანონი დაარღვიე, მაგრამ შიში გულში არ გაივლო. თუ გაბედულად იცხოვრებ, ბოლოს საკუთარი ტრიუმფის მოწმეც გახდები".

***პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ფეხბურთი

# მორიგი მარცხი

## "დინამო" ჯგუფურ ტურნირს გამოემშვიდობა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ, გვიან ღამით, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დასრულდა მატჩი, რომლითაც თბილისის "დინამო" უეფას თასის წლევანდელ გათამაშებას გამოემშვიდობა. სამწუხაროდ, გეგუჩაძის გუნდმა რამდენადაც გაგვაოცა მოულოდნელი წარმატებით, როდესაც უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მოხვდა, იმდენადვე გაგვიცრუა იმედები და ეს ბოლო შეხვედრაც წააგო, თან, დიდი ანგარიშით.

არადა, "პანიონის" - "დინამოს" მატჩის დასაწყისი, უფრო მეტიც, მთელი პირველი ტაიმი და მეორე ტაიმის საწყისი 15 წუთი საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორს ცუდს არაფერს უქადდა. უფრო მეტიც: 38-ე წუთზე მიხეილ კაკალაძემ სტუმრები დააწინაურა და, მართალია, 58-ე წუთზე მანციოსმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ ორიოდ წუთში ლადო ახალაიამ გაიტანა გოლი და ერთბურთიანი სტატუსქვო აღადგინა. აი აქ იწურება ის ყველა პოზიტივი, რითაც "დინამომ" ამ უსახელო ბერძნულ კლუბთან დაპირისპირებაში თავის გასმორჩენა შეძლო. მე-60 წუთის შემდეგ გოლი კიდევ ოთხჯერ გავიდა, მაგრამ, ოთხივეჯერ "დინამოს" კარში. იმავე მანციოსმა 67-ე და 77-ე წუთებზე კიდევ ორი გოლი გაიტანა, "ჰეთ-თრიკი" გაიფორმა და ამ შეხვედრაში პირველად (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საბოლოოდ) დააწინაურა თავისი გუნდი. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მარცერამ და ბრესკამ კიდევ თითოჯერ დააშამათეს ირაკლი ზოიძე. საბოლოოდ, "პანიონისმა" გაიმარჯვა ანგარიშით 5:2 და პირველი ქულები მიითვალა. ჩვენ კი მხოლოდ იმით შეიძლება თავი დავიმშვიდოთ, რომ უეფას თასის ეს ჯგუფური ეტაპი ახალგაზრდული და გამოუცდელი "დინამოსთვის" სადებიუტო, პირველი ნაბიჯები იყო ასეთი მაღალი დონის ტურნირში, ხოლო მასში მიღებული მდიდარი გამოცდილება ჩვენს გუნდს სამომავლოდ ძალზე წაადგება.

"ვფიქრობ, მაყურებელმა საინტერესო და სანახაობრივად მიმზიდველი მატჩი იხილა. აღსანიშნავია, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში თამაში ძალზე მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. ჩვენ მოგების საკმაოდ კარგი შანსი გვქონდა. როდესაც ანგარიში 2:1 და 2:2 იყო, არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ მათი რეალიზება ვერ მოვახერხეთ. შემდეგ რისკზე წავედი, ნახევარმცველი თავდამსხმელით შევცვალე და არც ამ ნაბიჯმა გაგვიმართლა. მატჩის მიწურულს დასანანი გოლები გავუშვით, რის გამოც, საბოლოოდ, დიდი ანგარიშით დავმარცხდით", - განაცხადა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, გია გეგუჩაძემ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

"დინამომ" გუშინდელი შეხვედრა შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: ზოიძე, შაშიაშვილი, ჭიჭველიშვილი, სილაგაძე, კანდელაკი (დვალი, 85`), კანკავა, კვირკველია, რომერო (ხმალაძე, 80`), ახალაია (ქუცურუა, 77`), მელქაძე, კაკალაძე.

ჩვენი, D ქვეჯგუფის მეორე შეხვედრაში ფრანგულმა "სოშომ" გასვლით შეხვედრაში, "ლისაბონში, ადგილობრივ "სპორტინგთან", მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 0:1. ეს ერთადერთი გოლი მატჩის დასაწყისშივე, მე-2 წუთზე გაიტანა ლონფატმა.

**აქვე გთავაზობთ უეფას თასის სხვა შეხვედრების ანგარიშებს:**

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| ფერენცვაროში - ბაზელი | 1:2 |
| ფეინოორდი - შალკე | 2:1 |
| **B ჯგუფი** | |
| ატლეტიკი - სტიაუა | 1:0 |
| ბეშიქთაში - სტანდარდი | 1:1 |
| **C ჯგუფი** | |
| აუსტრია - ბრიუგე | 1:1 |
| სარაგოსა - დნეპრი | 2:1 |

# იკერ კასილიასი: "ჩვენ არ გვაქვს სუსტი წერტილი"

*რაც არ უნდა წარუმატებლად თამაშობდეს მადრიდის "რეალი", იკერ კასილიასი მუდამ თავდაჯერებულად დგას სამეფო კლუბის კარში. ის კვლავაც ჩინებულ ფორმაშია და ძალიან სტაბილურად თამაშობს, რაც მთავარი თვისებაა მეკარისთვის. ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატში კასილიასმა მხოლოდ 8 ბურთი გაუშვა საკუთარ კარში, ჯამში კი მან 1,080 წუთი დაყო მოედანზე. გამოდის, რომ კასილიასი მხოლოდ 135 წუთში ერთხელ უშვებს გოლს. ეს კი არა მარტო მისი, არამედ მადრიდელთა მცველების დამსახურებაცაა. თავად მეკარეც საკუთარი თავისა და თანაგუნდელების იმედადაა და დარწმუნებულია, რომ სეზონის ბოლოს აუცილებლად რომელიმე ტიტულს აღმართავს.*



*იკერ კასილიასი: "ბარსელონასთან" მარცხის შემდეგ გუნდში არც ისე ოპტიმისტური განწყობა იყო.*

**- "ლევანტეს" წინააღმდეგ დიდი ანგარიშით გამარჯვებამ გამოგაცოცხლათ?**

- "ბარსელონასთან" მარცხის შემდეგ გუნდში არც ისე ოპტიმისტური განწყობა იყო.

**- რა დაგემართათ ბარსელონაში?**

- ცუდად ვთამაშობდით და საჭირო სიმაღლეზე ნამდვილად არ ვიყავით. მეტოქემ ლამაზი ფეხბურთი აჩვენა და დამსახურებულად მოგვიგო. ჩვენ მხოლოდ 30 წუთის განმავლობაში ვითამაშეთ კარგად, შემდეგ კი ისე განვაგრძეთ, რომ აღარაფერს ვიმსახურებდით. თუმცა, მეორე წრეში რევანშის საშუალება გვექნება.

**- ბარსელონაში განცდილი მარცხი "ბაიერის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩზეც ნეგატიურად აისახა?**

- ეს პირველ ტაიმში იგრძნობოდა, მაგრამ ჯამში ჩვენ ამ მატჩის მოგებას და შემდეგი ეტაპის საგზურის განაღდებას ვიმსახურებდით. "ბაიერთან" მატჩში შესანიშნავი შანსი გავუშვით ხელიდან, თუმცა, ყველაფერი ისევ ჩვენს ხელშია. რომში მოსაგებად გავემგზავრებით.

**- ესპანეთის ჩემპიონატში შენ მიერ გაშვებული გოლების შემყურე, ვეღარავინ ბედავს იმის თქმას, რომ "რეალის" დაცვა კვლავ სუსტია...**

- ჩვენ არ გვაქვს სუსტი წერტილები. ხან წარმატებით ვთამაშობთ, ხან - წარუმარებლად, ზოგჯერ ვცოდავთ ინდივიდუალური თამაშით, თუმცა ხშირად ასეთ თამაშს ჩვენთვის წარმატება მოაქვს. მხოლოდ ჭკუიდან შეშლილი თუ იტყვის, რომ ესპანეთის ჩემპიონატში ჩვენი დაცვა ცუდად თამაშობს. ჩვენ ისევ ვმონაწილეობთ სამივე ტურნირში და, დარწმუნებული ვარ, თუ არჩეულ კურსს არ გადავუხვევთ, სეზონის ბოლოს აუცილებლად მოვიპოვებთ რომელიმე ტიტულს.

**- სწორედ ამ დროს "რეალთან" კონტრაქტის გაგრძელების მომენტიც დადგება...**

- ამ თემაზე სასაუბროდ კიდევ მოვიცლი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ "რეალში" მინდა კარიერის გაგრძელება. ჩემთვის უდიდესი პატივია "რეალის" საფეხბურთო სკოლის წარმოჩენა, რომელიც ყველაზე მეტ მოთამაშეს უზრდის ესპანეთის ჩემპიონატს. მინდა, შეიცვალოს ახალანდელი შეხედულება. კლუბის აღზრდილ ფეხბურთელებს სათანადოდ არ აფასებენ.

**- როგორი ფეხბურთი მოგწონს?**

- ესპანური *(იცინის)*. ესპანეთში დიდი ფეხბურთელები ჩემოდიან სათამაშოდ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ესპანეთის ჩემპიონატი უძლიერესია. იტალიის პირველობის ყურება ჩემთვის მოსაწყენია.

**- რა ცვლილებები შემოიტანა გუნდში მარიანო გარსია რემონმა?**

- მის შესახებ უკვე ბევრი რამ ითქვა. მას ხშირად ადარებენ დელ ბოსკეს, თუმცა, ჩემთვის მთავარი ის არის, რომ რემონს ესმის ჩვენი. მას ეტყობა, რომ ადრე თავად იყო ფეხბურთელი. კამაჩოს წასვლა, მართლაც, აისახა გუნდზე. ეს უცნაური გადაწყვეტილება იყო. კამაჩომ მალევე მიატოვა გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არცთუ ისე ცუდად ვთამაშობდით. მარიანოს ცხოვრების განსხვავებული ფორმა და მუშაობის სტილი აქვს.

**- წლევანდელ სეზონში "ბარსელონა" თქვენი მთავარი კონკურენტი იქნება საჩემპიონო ბრძოლაში?**

- ის უმთავრესი მეტოქე იქნება ესპანეთის ჩემპიონატში. ჩემპიონთა ლიგაში კი "მილანი" და "იუვენტუსი" არიან მთავარი კონკურენტები.

ფორმულა 1

# რატომაა მრბოლთა გაერთიანება საჭირო



სამეფო რბოლების მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, გერმანელ მიხაელ შუმახერს ფორმულა 1-ის შენელება სურს. ის საკუთარი ვებ-გვერდიდან გვატყობინებს, რომ აეროდინამიკის, რეზინებისა თუ ძრავების მხრივ 2005 წლის რეგლამენტი შესაცვლელია. გარდა ამისა, მიხაელი, რომელსაც სეზონის განახლებამდე, ესე იგი, "ავსტრალიის დიდ პრიზამდე" 36 წელი შეუსრულდება, დასძენს, რომ, ყველაფერთან ერთად, "ხარჯებიც შესამცირებელია".

თემის ერთგვარი გაგრძელებაა მრბოლთა პროფკავშირები (GPDA), რომელმაც, სხვათა შორის, გუშინ არსებობის ათი წლის იუბილე აღნიშნა. მრბოლთა პროფკავშირების დაარსების იდეაზე ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა სამეფო რბლებში დატრიალებულმა არაერთმა ტრაგედიამ.

საგულისხმოა, რომ ამ ორგანიზაციის დირექტორები არიან: დევიდ კულჰარდი, იარნო ტრული, მარკ ვებერი და მიხაელ შუმახერი. აქვე დავძენთ, რომ მიხაელი ორგანიზაციას დაარსებიდანვე უდგას გვერდში. დაარსებით კი 1994 წელს დაარსდა.

**- მიხაელ, რატომაა, რომ GPDA-სთან აქტიურად მუშაობ?**

- ყველას გვესმის, რომ ავტოსპორტი, შესაძლოა, საშიში იყოს, რაშიც ყოველდღიურად ვრწმუნდებით. ამიტომ საჭიროა, რომ ფია-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) სარბოლო ტრეკზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ვეხმარებოდეთ. ამ სფეროში ბოლო წლებში ძალზე ბევრს მივაღწიეთ. აიწია უსაფრთხოების დონემ. ჩვენი მუშაობა შეეხო ყველა ტრასას. შედეგად ბევრი მძიმე ავარია ავიცილეთ თავიდან.

**- ათი წლის განმავლობაში GPDA-ის მიერ გაწეულ სამუშაოს დადებითად აფასებ?**

- დიახ. დარწმუნებული ვარ, მრბოლთა გაერთიანება აუცილებელია. ჩვენ მხარში უნდა ამოვუდგეთ ფია-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ჩვენი შრომიდან სარგებელს მიიღებენ ყველა სერიის მრბოლები და მაყურებლებიც.

**- როგორია სამუშაო?**

- ყოველი დიდი პრიზის შემდეგ ვხვდებით ერთმანეთს და მრბოლთათვის საინტერესო კითხვებს განვიხილავთ. თითოეული რბოლის შემდეგ ფია ჩვენგან წერილობით შენიშვნებსა და რეკომენდაციებს იღებს. შენიშვნებსა და რეკომენდაციებში კონკრეტული ტრასებია განხილული. ბოლო წლებში ქველმოქმედებისთვისაც ბევრი რამ გავაკეთეთ. ჩვენი დახმარება ბევრს სჭირდება და ჩვენ ეს ვიცით.

# საკი პირინეებზე ბრუნდება

*იტალიელი არიგო საკი სამწვრთნელო მოღვაწეობას უბრუნდება. ცნობილი იტალიელი სპეციალისტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჯანმრთელობის გაუარესების გამო არ მუშაობდა, მომავალი სეზონიდან მადრიდის "რეალს" ჩაუდგება სათავეში.*



*არიგო საკის მადრიდის "რეალში" ეპატიჟებიან.*

იტალიური "პარმას" ტექნიკურმა დირექტორმა არიგო საკიმ "სამეფო კლუბთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი და მომავალი სეზონიდან მარიანო გარსია რემონის ადგილს დაიკავებს. ეს გადაწყვეტილება მიიღო ფლორენტინო პერესმა, რომელმაც საკი მოსაწვევ მწვრთნელთა სიაში პირველ ადგილზე დაასახელა. თვითონ იტალიის ნაკრებისა და "მილანის" ყოფილმა მწვრთნელმა "რეალს" მყისვე თანხმობა შეუთვალა და გამოთქვა მზადყოფნა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გაწვრთნას.

მომავალი წლიდან საკის "რეალში" გამოჩენა ორ რამეს ნიშნავს. პირველი - "რეალის" ახლანდელი დამრიგებლის მარიანო გარსია რემონისგან მეორე დელ ბოსკე არ გამოდგა. თავის დროზე, რემონისა არ იყოს, დონ ვისენტეც დუბლიორებიდან დაინიშნა მთავარი მწვრთნელის პოსტზე, როგორც ამ საქმის დროებითი შემსრულებელი. თუმცა, მოგვიანებით მის ხელში "რეალმა" თავისი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ლამაზი ფურცელი ჩაწერა.

მეორე - განიცადა რა წარუმატებლობა მეორე "დელ ბოსკესთან" დაკავშირებით, ფლორენტინო პერესი, მოარული ხმების მიუხედავად, არ აპირებს, მოიწვიოს პირველი. აქედან გამომდინარეობს მესამე დასკვნა. როგორც ჩანს, მიმდინარე სეზონს "რეალში" წერტილი დაუსვეს. ამდენად, "ბარსელონას" შეიძლება ჩემპიონის ტიტულიც კი მივულოცოთ. დროებითი მწვრთნელი მარიანო გარსია რემონი, რომელიც შედეგზე მაინცდამაინც პასუხისმგებელი არ იქნება, წლევანდელ სეზონს ჩაამთავრებს. შემდეგ კი საკი ახალი გუნდის მშენებლობას შეუდგება.

ის, რომ "რეალი" მომავალი სეზონიდან მხოლოდ გადახალისებული და განახლებული არ იქნება, ეჭვგარეშეა. საკი, რომელიც ერთ დროს პრაქტიკოს მწვრთნელად მიიჩნეოდა, ჩამოყალიბდა როგორც მწვრთნელი კონცეპტუალისტი. მისი საკადრო გადაწყვეტილებები გაოცებას იწვევდა, მაგრამ განათლებით ბუღალტერი შედეგს ხშირად აჩვენებდა. თუმცა, ცოტა არ იყოს, გაუგებარი რჩება, როგორ შეძლებს არიგო საკი, ურთიერთობაააწყოს "რეალის" თანავარსკვლავედთან, რომელსაც ფლორენტინო პერესმა კლუბში მოუყარა თავი.

ერთადერთი გუნდი, რომელშიც საკიმ ვარსკვლავებთან ურთიერთობა ააწყო, 1980-იანი წლების ბოლოდროინდელი "მილანია", სადაც ჰოლანდიური ტრიო - მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი და ფრანკ რაიკაარდი ბრწყინავდნენ. უკანა ხაზში კი "მილანს" ფრანკო ბარეზი და კლუბის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ჰყავდა. იმ ფორმაციის გუნდის თამაშის სტილს მაშინ "ფეხბურთი-შამპანური" შეარქვეს.

შემდგომში საკი ვარსკვლავებთან უფრო ჩხუბობდა, ვიდრე თანამშრომლობდა. ის შეუპოვრად უარს ამბობდა იტალიის ნაკრებში ვიალისა და მანჩინის აყვანაზე. არ ისურვა თანამშრომლობა ატილიო ლომბარდოსთან, რომელიც ფლანგებზე გიჟურ გარღვევებს ახორციელებდა, ხოლო 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე რობერტო ბაჯო არ წაიყვანა. თუმცა, ამ უცნაურობების მიუხედავად, საკიმ მოახერხა და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე "სკუადრა აძურა" ფინალში გაიყვანა. სამაგიეროდ, საკიმ იმდენი ექსპერიმენტი ჩაატარა, რომ ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა.

ამის შემდეგ საკი ეროვნული ნაკრების პოსტზე რამდენიმე თვით კიდევ გაჩერდა და შემდეგ "მილანის" მიწვევა მიიღო. თუმცა, მეორე "გუნდი-შამპანურის" ჩამოყალიბება უკვე ვეღარ შეძლო. ცოტა ხანში მან კლუბი დატოვა. ახალი სამუშაო ადგილი მადრიდის "ატლეტიკო" გახდა, მაგრამ საკის არც აქ აეწყო საქმე. ის ეჩხუბა თანამემამულესა და გუნდის მთავარ გოლეადორს კრისტიან ვიერის. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ფეხბურთელი გაეყიდა. ვიერის გარეშე კი "ატლეტიკოს" შეტევამ ბრძოლის უნარი დაკარგა. არიგო საკიმ გუნდი კვლავ დატოვა.

ბოლოს საკიმ 2001 წელს "პარმასგან" მიიღო მიწვევა. გუნდისგან, რომელთან მუშაობისასაც 1980-იანი წლების შუაგულში პირველად მიიპყრო სუპერკლუბების ყურადღება. თუმცა, საკიმ "პარმაში" ამჯერად ცოტა ხნით იმუშავა. მან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მოიმიზეზა და კლუბში ტექნიკური დირექტორის პოსტზე დარჩა სამუშაოდ.

მოკლედ, თუ საკისა და "რეალის" თანამშრომლობაზე გავრცელებული ამბავი ნამდვილია, ამას ფლორენტინო პერესის მხრიდან ლოგიკურ სვლას ნამდვილად ვერ დავარქმევთ. გამოდის, რომ მომავალი წლიდან ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო და ვარსკვლავებით დახუნძლულ კლუბს სათავეში ჩაუდგება სპეციალისტი, რომელსაც უკვე ოთხი წელია, სამწვრთნელო პრაქტიკა არა აქვს, სამაგიეროდ აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და მუდმივად კონფლიქტში შედის ფეხბურთელებთან, რომლებსაც ვარსკვლავებს უწოდებენ.

რაგბი

# ოცეული არაფერს ნიშნავს

## IRB-ს გეგმებში არ ვწერივართ

პაატა თოთაძე

რუსეთთან გამარჯვება, გარდა იმისა, რომ მსოფლიო თასზე მოსახვედრად გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგშიც ორი საფეხურით დაგვაწინაურა. ამ გამარჯვების შემდეგ საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში მოხვდა. სამაგიეროდ ორი საფეხურით დაქვეითდა რუსეთის ნაკრები, რომელიც ახლა 25-ეა.

ნოემბრის ტესტების შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა მოწინავეთა შორისაც. მაგალითად, მეორე ადგილზე მყოფმა ინგლისმა ადგილი გაუცვალა აქამდე მესამეზე მყოფ ავსტრალიას. წინ წაიწია სამხრეთ აფრიკამაც. ფრანგები კი ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ.

სხვა ცვლილება რეიტინგში არ არის და კარგა ხანს არც იქნება, რადგან თითქმის დასრულდა წლევანდელი სარაგბო სეზონი. ერთადერთი არგენტინა-სამხრეთ აფრიკის ტესტიღა დარჩა გასამართი. სეზონი კი მომავალი წლის თებერვლიდან განახლდება. რაგბის მოყვარულებს "ექვსი ერი" და ჩვენთვის უფრო მეტად საინტერესო "ერთა თასი" ელით. ჩვენი მეტოქეებიდან რეიტინგში ყველაზე წინ, როგორც ყოველთვის, რუმინეთია. "სტეუარი" მე-13 ადგილზეა. მას მოყვება პორტუგალია - მე-17. სწორედ პორტუგალიასთან მატჩით განაახლებს საქართველოს ნაკრები სეზონს 5 თებერვალს. ბოლო ორი წელია, პორტუგალიელებთან ზედიზედ ვმარცხდებით და ამას გამოსწორება სჭირდება. მით უფრო, რომ პორტუგალია არაა ის გუნდი, საქართველოს არ შეეძლოს მისი დამარცხება. მეორე დიდი ბრძოლა რუმინელებთან გვექნება გადასატანი - მათთანაც უარყოფითი ბალანსი გვაქვს. სხვათა შორის, ერთა თასის გუნდებიდან მხოლოდ რუმინეთს ხვდება ხოლმე IRB-ს წყალობა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

იროგო ბორჭღალოსნებს თავის გეგმებში არ ითვალისწინებს

ახლაც, ჩემი ერთი კოლეგის თქმით, რაგბის მმართველმა ორგანომ დასახა ახალი სტრატეგიული გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ბობოლათა რაოდენობის გაზრდაა და საამისოდ 30 მილიონი გირვანქის დახარჯვასაც აპირებს. მეორე ეშელონის გუნდებს კი უნდა დავეხმაროთ, რომ სათამაშო კლასში სხვაობა პირველებთან შეამცირონო, ბრძანეს IRB-ში. მეორე ეშელონში მოხვდნენ აშშ, კანადა, ტონგა, ფიჯი, სამოა, იაპონია და რუმინეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო თასზე მოხვედრილთაგან მხოლოდ სამი მათგანი - საქართველო, ურუგვაი და ნამიბია ვერ მოხვდნენ IRB-ს დახმარების სიაში. ამას გარდა, საქართველო ვერც IRB-ს სამომავლო კალენდარში მოხვდა. ეს კიდევ უარესი, რადგან ისევ არ მოგვიწევს წამყვან გუნდებთან თამაში მომავალ მსოფლიო თასამდე. სამაგიეროდ მოუწევს რუმინეთს და ამით ის IRB-სგან კიდევ უფრო დიდ ფორას იღებს. არადა, ბობოლებთან თამაშის შანსის მოსპობის გამო მომავალ მსოფლიო თასზეც იგივე პერსპექტივა გველის, რაც შარშან დაგვემართა. ჰოდა, იმის პერსპექტივაც იზრდება, რომ სამი წლის მერეც გვითხრან, თქვენ გაზრდის ნაკლები შანსი გაქვთ და ვერც ამჯერად დაგეხმარებითო.

რა გამოსავალი უნდა ვეძებოთ შექმნილი მდგომარეობიდან? ერთი შეხედვით, სამი წლის განმავლობაში არანაირი შანსი არა გვაქვს. თუ მომავალ მსოფლიო თასზე ერთ მატჩს მაინც მოვიგებთ, მაშინ ექნებ რამე შეიცვალოს. მანამდე კი... როგორც ჩემი კოლეგა ამბობს, ევროპის სასამართლოში ჩივილითაც შესაძლებელი ყოფილა ვითარების გამოსწორება ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ, საეჭვოა, ჩვენში ამის გამკეთელები მოიძებნონ.

ახლა შვიდკაცას შევეხოთ. დღეს დუბაიში იმართება მსოფლიო სერიის პირველი ტურნირი, რომელშიც 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. გუნდები ასე განაწილდნენ ჯგუფებში:

**A ჯგუფი**

ახალი ზელანდია, ავსტრალია, კანადა, არაბეთის ყურე

**B ჯგუფი**

ინგლისი, საფრანგეთი, შოტლანდია, უგანდა

**C ჯგუფი**

არგენტინა, სამოა, კენია, ტუნისი

**D ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა, ფიჯი, პორტუგალია, ირლანდია

პორტუგალიის ნაკრები ძირითადად იმ მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც 15-კაცა ნაკრებშიც თამაშობენ. ბოლო დროს ამ გუნდმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ესეცაა 15 კაცა-ნაკრების წარმატების ერთ-ერთი მიზეზი. საინტერესოა ტუნისის ნაკრების თამაშიც, რომელსაც კლოდ სორელი უდგას სათავეში. სხვათა შორის, ტუნისელებმა ფრანგის შემწეობით მსოფლიო თასზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ასეთი შედეგისთვის ტუნისელებს აქამდე არასდროს მიუღწევიათ. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს სორელი ამ ქვეყანაში.

მოკლედ

### რონალდო ქორწინდება



ბრაზილიელი რონალდო მეორე ქორწინების პირასაა. მილენა დომინგეშთან განშორების შემდეგ ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" თავდამსხმელს დრო უქმად არ დაუკარგავს - ბრაზილიელ ფოტომოდელთან დანიელა ჩიკარელისთან გააბა რომანი. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ რონალდო დაქორწინებას აპირებს. ეს ინფორმაცია სწორედ მისმა მომავალმა მეუღლემ, დანიელა ჩიკარელიმ გაახმაურა და იქვე საზეიმო ცერემონიალის ზუსტი თარიღიც დაასახელა. "რონალდოს მივყვები ცოლად. ჩვენ 14 თებერვალს პარიზში დავქორწინდებით. ახლავე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ცერემონიალზე არც ფოტოგრაფები იქნებიან და არც ახლობელ-ნაცნობთა დიდი რაოდენობა. ეს არც მე მინდა და არც ჩემს მომავალ მეუღლეს", - განუცხადა დანიელამ ჟურნალისტებს.

ჩიკარელი ამ განცხადებით არ შემოფარგლულა და რონალდოსთან თავისი ურთიერთობის დეტალებიც გაახმაურა: "ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ყოველ პარასკევს, ჩვეულებრივ, მთელი ჩემი სახლი თეთრი ვარდებით არის სავსე. ასეთი ფორმით რონალდო მე ცოლობას და მისთვის შვილის გაჩენას მთხოვს".

### ერიქსონის ყოფილი საყვარელი სასამართლოში ჩივის

ინგლისის საფეხბურთო ნაკრების შვედი მწვრთნელის სვენ გორან ერიქსონის ყოფილი საყვარელი ფარია ალამი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ალამი, რომელიც ასოციაციის თანამშრომელი იყო, მიიჩნევს, რომ სამსახურიდან უკანონოდ დაითხოვეს.

გარდა ამისა, 38 წლის ალამმა საფეხბურთო კავშირს წერილიც მისწერა, რომელშიც 30 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობის ფულად კომპენსაციას მოითხოვს მორალური ზარალის ასანაზღაურებლად.

ცნობილია, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ყოფილი მდივანი თავის დროზე ერიქსონის საყვარელი იყო, მანამდე კი ასოციაციის გენერალურ მდივნთან მარკ პელიოსთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა. ფარია ალამი მიმდინარე წლის აგვისტოში დაითხოვეს სამსახურიდან, მას შემდეგ, რაც ერიქსონთან მისი ურთიერთობის შესახებ გახდა ცნობილი. თავის მხრივ, ამ რომანის გამო თავად შვედი მწვრთნელიც ბეწვზე გადაურჩა ნაკრების მწვრთნელის პოსტის დაკარგვას. ფეხბურთის ასოციაციამ ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური სხდომაც კი გამართა, სადაც ერიქსონის საკითხი განიხილებოდა.

აღსანიშნავია, რომ ფარია ალამმა უკვე დაიქირავა ბიოგრაფი, რომელიც ერიქსონთან მისი სასიყვარულო ურთიერთობების შესახებ წიგნს დაწერს. წიგნი ჯერ არ გამოცემულა, თუმცა, უკვე დიდ ინტერესს იწვევს ბრიტანეთში.

### ბაიბერი საზოგადოებისთვის საშიშია

ბოდიბილდინგის ვარსკვლავს, ინგლისელ დევიდ ბაიბერს უნიკალური შანსი ეძლევა, მყუდრო ატმოსფეროში განაგრძოს ვარჯიში, იქ, სადაც მას არაფერი შეუძლის ხელს. საქმე ის არის, რომ პოლიციელებზე დამუქრებისთვის ბაიბერს ციხე ემუქრება.

ინგლისში ამჟამად ბაიბერის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მომხდარ ინციდენტს განიხილავს. საღამო ხანი იყო, როდესაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბაიბერმა შუა ქუჩაში პისტოლეტიდან სროლა ატეხა. შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ და ნასვამი ბაიბერის დაშოშმინებას შეეცადნენ. სპორტსმენი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა სამართალდამცავებს და მათი დახოცვითაც კი იმუქრებოდა. საბოლოოდ, პოლიციელებმა მოახერხეს მისი განაიარაღება და დაპატიმრება.

ეს მოხდა ქალაქ ნიუკასლში, სადაც ამჟამად ამ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენა მიმდინარეობს. ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ბაიბერს არავის მოკვლა არ უფიქრია, რომ დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია და უყოყმანოდ ჩაბარდა პოლიციელებს. პროკურორი კი საპირისპიროს აცხადებს, მიიჩნევს, რომ ბაიბერი დიდ ხიფათს უქმნის საზოგადოებას. სასამართლო პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ცხადია, ჯერ არც განაჩენი გამოუტანიათ, თუმცა, ექსპერტთა აზრით, ბაიბერი ციხეს ვერ გაექცევა.

ფეხბურთი

# პელე: "ფეხბურთი სავსეა მოულოდნელობებით"

*ახლახან ფეხბურთის მეფედ წოდებული ლეგენდარული პელე ფიფას ოფიციალურ საიტს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის, ასევე 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ ესაუბრა.*



მსოფლიო ფეხბურთის ორი ლეგენდა: პელე და ბეკენბაუერი.

**- ახლახან ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა აღნიშნა, რომ მას სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის სპეციფიკის შეცვლა უნდა, რადგან იქ ძალიან ბევრი მატჩი იმართება. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საუკეთესო სისტემა?**

- ასი პროცენტით ვეთანხმები ბლატერს. მე და ფრანც ბეკენბაუერი პირველები ვიყავით, ვინც ამ ინციციატივას დაუჭირა მხარი, რადგან ვფიქრობთ, რომ არსებული ფორმატი მეტისმეტად დამღლელია ფეხბურთელებისთვის. უდავოა, რომ უნდა შევამციროთ. ძალიან მნიშვნელოვანია, დავიცვათ ჩვენი ფეხბურთელები და ასევე ჩვენი თამაშები.

**- სამხრეთ ამერიკის ფეხბურთს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. თუმცა, ევროპული ფეხბურთის აკადემიების უდიდესი ბიუჯეტის დახმარების მიუხედავად, ახალგაზრდული გუნდები მაინც ახერხებენ წარმოუდგენელი წარამატებების მიღწევას. ამ ფაქტს როგორ ახსნით?**

- სამხრეთამერიკელებს, მართლაც, ძალიან უჭირთ. სამწუხაროდ, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ბრაზილიაა. უდიდესი გუნდები, როგორებიცაა "სანტოსი" და "ფლამინგო", გაკოტრებული არიან. ფინანსური პრობლემები ევროპის მრავალ გუნდს აქვს, მაგრამ მათ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ და ასევე იციან, სად და როგორ დახარჯონ ფული. მათგან განსხვავებით, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი გუნდი იმიტომ გაკოტრდა, რომ ფულს იპარავენ, არამიზნობრივად ხარჯავენ. ამიტომაა, რომ არც ფეხბურთელები ჰყავთ, არც ფეხბურთის მოედნები აქვთ. მოკლედ, საერთოდ უქონელნი არიან.

**- ბრაზილიის დღევანდელ გუნდს 1970 წლის თქვენს გუნდს ადარებენ, განსაკუთრებით ფორვარდებს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

- ბრაზილიას ყოველთვის ჰყავდა კარგი ინდივიდუალური ფეხბურთელები. ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ორგანიზებული გუნდი გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო, როცა იქ პელე, გერსონი, ჟაირზინიო, ტოსტაო თამაშობდნენ. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი საუკეთესო გახლდათ 1958 წელს. მაშინ გვყავდა გარინჩა, ჯალმა სანტოსი და პელე. ჩვენ ახლაც გვყავს საუკეთესო ფეხბურთელები, როგორებიც არიან კაკა, ორი რონალდო და აილტონი.

**- რა განსხვავებაა ევროპულსა და ბრაზილიურ ფეხბურთს შორის?**

- მოედანზე ბრაზილიურ გუნდს ვერავინ შეედრება, მაგრამ მის ფარგლებს გარეთ, ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ალბათ, უარესი გუნდია. ევროპული ფეხბურთი კარგად ორგანიზებულია. ერთხელ ამის შესახებ ფრანც ბეკენბაუერს ველაპარაკე. მან მითხრა, გერმანიას ათ წელიწადში ერთხელ ჰყავს საუკეთესო ფეხბურთელი. მიხაელ ბალაკი, მაგალითად, 28 წლისაა და უკანასკნელი ათი წლის განამავლობაში გერმანიას მასზე კარგი არავინ ჰყოლია. მან მითხრა, რომ ბრაზილიელებს ბედი გვწყალობს, საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს და ამის შემდეგ მას უკვირს, რატომ არის ჩვენში ფეხბურთის ორგანიზაცია ასეთი ცუდი. მაგრამ, ჩემი აზრით, პრობლემები გერმანიასაც აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ. მართალია, დამარცხდნენ, მაგრამ ფინალურ ეტაპამდე ხომ მივიდნენ? ესეც იმიტომ, რომ კარგად ორგანიზებულები არიან.

**- ვინ არიან ის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც მომავალში მსოფლიო დონის ვარსკვლავები გახდებიან? ტევეზი, რობინიო, რუნი..?**

- მგონია, რომ ერთ-ერთი კაკა უნდა იყოს. მაგრამ სირთულეები სახელის მოპოვების შემდეგ იწყება. ზეწოლა იზრდება და ამის შემდეგ სულ უნდა დაამტკიცო, რომ ნამდვილი ვარსკვლავი ხარ, რომ ამ ტიტულს ნამდვილად იმსახურებ.

**- შეიძლება თუ არა, მომავალში ფეხბურთის სამყაროში თქვენსავით დიდი ფეხბურთელი გამოჩნდეს?**

- როგორც კი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდება, მაშინვე მე მადარებენ. ხშირად მითქვამს: "შეიძლება ერთ მშვენიერ დღესაც..." მაგრამ ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რომ სხვა პელე აღარ იქნება, რადგან, მერწმუნეთ, ჩემი მშობლები შვილის გაჩენას აღარ აპირებენ. მოდი, შეწყვიტეთ ეს შედარება. შეიძლება ვინმე ჩემი სტილის, მართლაც, არსებობდეს, მაგრამ პელე? - არასოდეს. ვინ შეიძლება იყოს ბეკენბაუერის მსგავსი გერმანიაში? არავინ.

**- რას ელით 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისგან?**

- ფეხბურთი სავსეა მოულოდნელობებით. ვერასოდეს მიხვდები, რა შეიძლება მოხდეს. წინა მსოფლიო ჩემპიონატზე ვვარაუდობდი, რომ ფინალში არგენტინა და საფრანგეთი შეხვდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა, ახლა ყველამ ვიცით, რაც მოხდა

**- ადევნებდით თუ არა თვალყურს 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატს? მაშინ ბავშვი იყავით. როგორი სიტუაცია იყო ბრაზილიაში?**

- მაშინ რვა წლის ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, რადგან მამაჩემი ჩემი მშობლიური ქალაქის ფეხბურთის გუნდში თამაშობდა. მისი თანაგუნდელები ჩვენს სახლში იკრიბებოდნენ, რომ მატჩების ტრანსლაცია რადიოთი **მოესმინათ**. ფინალის დღეს დიდი წვეულება გამართეს. მატჩის შემდეგ მამაჩემმა ტირილი დაიწყო. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: წავაგეთო. მაშინ მე ვუთხარი: ნუ ნერვიულობ. გავიზრდები და მსოფლიოს თასს მხოლოდ შენთვის მოვიგებ-მეთქი. როგორც იცით, დანაპირები შევასრულე.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 2 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1983. "SAN ANTONIO SPURS" - "HOUSTON ROCKETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "ევერტონი"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. "ოლიმპიაკოსი" - "დეპორტივო"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "მაინცი"
17:55 ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) - "რომა"
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:45 "FUTBOL MUNDIAL"
21:15 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ტურის მატჩების მიმოხილვა
22:15 ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" - პსჟ
00:10 თავისუფალი დარტყმა
00:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:15 02:15-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. "DALLAS MAVERICKS" - "HOUSTON ROCKETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 16:05, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 15:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "გუნდი" - "ლოკომოტივი" (იაროსლავი)
11:15 "სპორტისიმო"
12:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი კორეაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:20 "ჰოკეი-პლუს"
15:35 "ვატერპოლო"
16:20 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
16:50 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour სანკტ პეტერბურგში. ფინალები
19:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი კორეაში. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ავსტრიაში
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
12:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
12:30 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
15:00 მულტისპორტი
15:15 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:45 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ქალები
18:00 სკელეტონი. მსოფლიო თასი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ვაჟები. მიმოხილვა
21:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში. გიგანტური სლალომი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ქალები. მიმოხილვა
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპის სპეციალური მიმოხილვა
02:15 ახალი ამბები
02:30 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. სპრინტი. ქალები

# ლაზერული ქვემეხი ბირთვული რაკეტების წინააღმდეგ



ამ თვითმფრინავის წყალობით პუტინის მუქარა საშიში აღარ არის



„ბოინგ 747-400F" უზარმაზარ ფიუზელაჟი ძლივს ეყო ლაზერის დანადგარს

იმ დროს, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მთელ მსოფლიოს იმით აშინებს, რომ რუსმა სამხედროებმა შექმნეს "იარაღი, რომლის მსგავსი დიდხანს არ ექნებათ სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს", თუმცა არ აკონკრეტებს, თუ რა სახის იარაღზე ლაპარაკობს, ამერიკელები კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნისკენ და ამ საქმეში უზარმაზარ პროგრესსაც მიაღწიეს.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ წარმატებით ჩაატარა ზემძლავრი ლაზერის პირველი გამოცდა. ეს ლაზერი ახლო მომავალში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს და მის ქმედითუნარიანობაზე ამერიკელი სამხედროები დიდ იმედებს ამყარებენ.

უზარმაზარი ქიმიური ლაზერი (იოდისა და ჟანგბადის აირზე მომუშავე), რომელიც კორპორაცია "ნორტროპ გრუმენმა" დაამზადა, კალიფორნიაში, "ედვარდსის" საჰაერო-სამხედრო ბაზაზე გამოსცადეს. გამოცდის დროს ლაზერმა სულ წამის რამდენიმე მეასედის განმავლობაში იმუშავა, თუმცა მომავალში მეცნიერები მისი მუშაობის ხანგრძლივობის და სიმძლავრის საგრძნობ ზრდას გეგმავენ. გადასაწყვეტია ასევე საკუთრივ ლაზერულ დანადგარში გამოყენებული ოპტიკის დაცვის ქმედითუნარიანი სისტემის შექმნა. ეს სისტემა წარმოუდგენლად დიდ ენერგიას ატარებს, რაც ქმნის მისი გადახურების და შედეგად, აფეთქების რეალურ საშიშროებას.

მის შემქმნელთა გათვლებით, ამ ლაზერს რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული მოძრავი სამიზნის განადგურება შეუძლია. ასეთი სამიზნე კი შეიძლება იყოს მტრის ბალისტიკური ბირთვული რაკეტა. ამასთან, ლაზერი რაკეტას მისი მოძრაობის საწყის სტადიაზევე მოსპობს, ვიდრე ის ქობინების გაშვებას მოასწრებს.

ლაზერული ქვემეხი ქმნის ინფრაწითელი გამოსხივების ჭავლს, რომლის ფოკუსირება საკალათბურთო ბურთის ზომის მქონე ფართობზეა შესაძლებელი. სხივს უზარმაზარი ტემპერატურა აქვს და თავისუფლად შეუძლია სალაზერო ქვემეხისგან რამდენიმე ასეულ კილომეტრზე მდებარე რაკეტის კორპუსისთვის გამჭოლი დაზიანების მიყენება, რასაც შედეგად რაკეტის განადგურება მოჰყვება.

"ნორტროპ გრუმენის" კოსმოსური ტექნოლოგიების შტოს პრეზიდენტმა უეს ბუშმა კალიფორნიაში ჩატარებულ ექსპერიმენტის შედეგს შესანიშნავი უწოდა და განაცხადა, რომ ეს დანადგარი მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სალაზერო სისტემაა, რომელსაც უახლოეს მომავალში რეალურთან დაახლოებულ პირობებში გამოცდა ელის, რომლის დროსაც, წყნარი ოკეანის იმ არეალში, სადაც აშშ-ის თავდაცვის ძალების პოლიგონი მდებარეობს, ლაზერი ჰაერში გაანადგურებს ბალისტიკური რაკეტის მაკეტს.

ამერიკელ ფიზიკოსთა საზოგადოება სკეპტიკურად აფასებს ასეთი ლაზერით ბალისტიკური რაკეტების განადგურების შესაძლებლობას. ფიზიკოსები ვარაუდობენ, რომ ლაზერი გამოსადეგი იქნება საშუალო და მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტების წინააღმდეგ, მაგრამ ბალისტიკური რაკეტების მათი ტრაექტორიის ადრეულ სტადიაშივე განადგურება დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ისინი დიდ მანძილზე იმყოფებიან თავდაცვითი სისტემებისგან.

თუმცა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო ამ პრობლემის ორიგინალურად მოგვარებას აპირებს: სალაზერო დანადგარით აღიჭურვება რამდენიმე სამგზავრო ავიალაინერი "ბოინგ 747", რომლებიც იმავდროულად, აღჭურვილნი იქნებიან გასანადგურებელი ობიექტების აღმომჩენი სისტემებით. ეს თვითმფრინავები მორიგეობით იფრენენ პოტენციურად საშიშ რეგიონებში (იმ ტერიტორიების სიახლოვეს, საიდანაც აშშ-ისკენ ბალისტიკური რაკეტების გაშვებაა მოსალოდნელი) და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებენ მათზე დამონტაჟებულ მძლავრ იარაღს, რათა მტრის რაკეტები ტრაექტორიის აღმავალ ნაწილშივე გაანადგურონ, სანამ მათ მართვადი ქობინები გამოეყოფა.

ლაზერული დანადგარი იმდენად დიდი ზომისაა, რომ იგი სპეციალურად მოდიფიცირებული, უზარმაზარი "ბოინგ 747-400F"-ის მთელ ფიუზელაჟს დაიკავებს. სწორედ ამ თვითმფრინავთან ერთად გაივლის მსოფლიოში ყველაზე დიდი ლაზერი პირველ საჰაერო გამოცდებს. იმავე თვითმფრინავზე დამონტაჟებული იქნება სამიზნეების აღმომჩენი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება გლობალური პოზიციონირების სრულიად ახალ სისტემასთან, რომლის ინფრასტრუქტურის შექმნასაც უკვე შეუდგა NASA. აღმომჩენი სისტემა დამოუკიდებლად აღმოაჩენს მტრის რაკეტებს და განადგურებამდე "მხედველობის" არეში ეყოლება ისინი.

საბრძოლო ლაზერის გარდა, თვითმფრინავზე კიდევ სამი ლაზერული დანადგარი და ექვსი ინფრაწითელი სენსორი დამონტაჟდება, რომლებიც სამიზნეების აღმოჩენას და ესკორტირებას მოემსახურებიან. ამასთან, ყველა ლაზერის სხივი შეუიარაღებელი თვალისათვის უხილავი იქნება.

თვითმფრინავის ფიუზელაჟის უკანა ნაწილში განთავსდება ექვსი მაღალენერგეტიკული ლაზერული მოდული. თითოეული დაახლოებით "ნისან პატრულის" ზომისაა. ისინი ერთდროულად გამოიმუშავებენ დიდი სიმძლავრის (მეგავატი) მქონე ენერგიის ჭავლს, რომელიც, სანამ თვითმფრინავის ცხვირში განლაგებულ ქვემეხამდე მივა, რამდენიმე კორექტირებას გაივლის ლინზურ სისტემაში.

ამერიკელებმა პროგრამა "ეარბორნ ლაზერის" განხორციელება 1996 წელს დაიწყეს და მას უკვე 1.1 მილიარდი დოლარი დაახარჯეს. ედვარდსის ბაზის ანგარში ჩატარებული პირველი წარმატებული გამოცდის შემდეგ კი, ამ პროგრამისთვის სამერმისოდ კიდევ 500 მილიონი დოლარი გამოიყო. ამგვარი სისტემის უპირატესობა ისაა, რომ ლაზერული მუხტი სინათლის სიჩქარით ვრცელდება და მომენტალურად ანადგურებს შორეულ სამიზნეებს. რაც შეეხება იმას, თუ რა უპირატესობა აქვს რაკეტის განადგურებას მისი აღმავლობის პერიოდში, ეს იმითაა ხელსაყრელი, რომ ამ დროს ის საწვავითაა სავსე და ლაზერის სიმხურვალე მის აფეთქებას გამოიწვევს.

პარალელურად, პირველი ტესტები ჩაუტარდა მიზნის აღმომჩენ და რაკეტების ესკორტირების სისტემებს, რომლებმაც თავისუფლად გაართვეს თავი რაკეტების, "მინუტმენ2-სა" და "ლენსის", ასევე ავიაგამანადგურებელ F-16-ის თვალთვალსა და მიზანში ყოლას - საჭიროების შემთხვევაში, მათი საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ლაზერული დანადგარით სამიზნეების განადგურება. გარდა ამისა, სისტემას ერთდროულად რამდენმე რაკეტის და თვითმფრინავის ესკორტირება შეუძლია.

რაც შეეხება ქვემეხს, ის ფაქტობრივად, შუშისგან დამზადებული, დიდი (1.5-მეტრი) დიამეტრის მქონე ტელესკოპია, საიდანაც ხდება ლაზერული ჭავლის გაშვება. ტელესკოპი თვითმფრინავის ცხვირში თავსდება და მას 180 გრადუსით მობრუნება შეუძლია.

# ბგერაზე ათჯერ სწრაფად

აშშ-ის ავიაკოსმოსურმა სააგენტომ (NASA) და სამხედრო-საჰაერო ძალებმა წარმატებით გამოსცადეს ექსპერიმენტული სუპერსწრაფი თვითმფრინავი X-43A, უპილოტო საფრენი აპარატი, რომლის სიგრძე სულ 3.7 მეტრია და რომელიც აღჭურვილია წყალბადზე მომუშავე თვითდინებადი, საჰაერო-რეაქტიული ძრავით. ექსპერიმენტის დროს, თვითმფრინავმა განავითარა სიჩქარე 9.6 მახი (მახით ბგერის სიჩქარე აღინიშნება), ანუ 7000 მლ/სთ-ზე მეტი, ანუ დაახლოებით 11 200 კილომეტრი საათში.

ექსპერიმენტული ფრენა სამ ეტაპად განხორციელდა. თავიდან სპეციალურად მოდიფიცირებულ რაკეტა "პეგასუსის" ცხვირზე დამაგრებული X-43A ჰაერში აიყვანა ბომბდამშენმა B52, რომელსაც რაკეტა ფრთისქვეშა პილონზე ჰქონდა დამაგრებული.

თვითმფრინავმა სტარტი აიღო კალიფორნიაში მდებარე ედვარდსის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან. მას შემდეგ, რაც 33 კმ სიმაღლეზე ავიდა, პილოტმა გაათავისუფლა "პეგასუსი", რომელმაც რამდენიმე წამი თავისუფალ ვარდნაში დაჰყო, შემდეგ კი სარაკეტო ძრავი ჩაირთო. რამდენიმე წამიც და "პეგასუსის" სიჩქარე 6 მახს გასცდა, რის შემდეგაც მას გამოეყო X-43A და იმავდროულად, მისი ძრავიც ჩაირთო, რომელმაც სულ ათი წამი იმუშავა, მაგრამ ესეც საკმრისი გამოდგა იმისათვის, რომ ექსპერიმენტული საფრენი აპარატის სიჩქარეს ათი მახისთვის მიეღწია.



კონსტრუქტორები „X-43A"-ს პეგასუსის ცხვირზე ამონტაჟებენ





წამიც და „X-43A"-ის ძრავი ჩაირთვება

მას შემდეგ, რაც საწვავი გამოილია, X-43A წყნარ ოკეანეში, კალიფორნიის სანაპიროდან რამდენიმე ასეული მილის დაშორებით ჩავარდა. პროექტით გათვალისწინებული არ არის თვითმფრინავის ოკეანის ფსკერიდან ამოღება. სამაგიეროდ, მისი ფრენის ათი წამის განმავლობაში მიღებულ ტელემეტრიულ ინფორმაციას მეცნიერები დაწვრილებით შეისწავლიან.

X-43A-ს უნიკალურობას მისი ძრავი განაპირობებს. ამ ტიპის აგრეგატებს ხშირად "სქრემჯეტსაც" უწოდებენ. მისი საწვავია წყალბადი, რომლის დასაწვავად აუცილებელ ჟანგბადს თვითმფრინავი ჰაერიდან ღებულობს. მაღალი სიჩქარით (5 მახზე მეტი) მოძრავი თვითმფრინავის ძრავის ჰაერისამღებში ჰაერი და მასთან ერთად ჟანგბადიც, მაღალი სიჩქარით შედის, იქ კი, სპეციალურ დიფუზორში, სადაც ჰაერის ნაკადი ვიწრო განივკვეთში შედის, მას წყალბადი ერევა (ჩვეულებრივ რეაქტიულ ძრავებში ჰაერის ძლიერ ნაკადს ტურბინის ასეულობით ხრახნი წარმოქმნის). წვა მყისიერად მიმდინარეობს და ამ დროს დიდი რაოდენობით ენერგია გამოიყოფა, რომელიც ძრავის უკან ქმნის რეაქტიულ მომენტს, ეს კი თვითმფრინავის აჩქარებას განაპირობებს.

სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ადამიანი მალე დაიმორჩილებს ამ ტექნოლოგიას და მას თავის სამსახურში ჩააყენებს. ამგვარი, ჰიპერბგერითი თვითმფრინავების საშუალებით, საგრძნობლად შემცირდება ტრანსკონტინენტური გადაფრენების დრო და გაიაფდება კოსმოსური აპარატების გაშვება.

სქრემჯეტის უარყოფითი მხარე ისაა, რომ მის ასამუშავებლად დიდი საწყისი სიჩქარეა საჭირო. ესე იგი, თვითმფრინავის გასაშვებად აუცილებელია სარაკეტო ამაჩქარებლის გამოყენება, რაც თავის მხრივ, რიგ პრობლემებს ქმნის ჰიპერბგერითი ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში. თუმცა, კონსტრუქტორები იმედოვნებენ, რომ შემდგომი დახვეწის შემდეგ ოპტიმალური კონსტრუქციის აპარატებს შექმნიან, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება დაბალ ორბიტაზე სასარგებლო ტვირთის გაცილებით იაფად და სწრაფად ატანა.

"რამდენადაც ამ აპარატს არ ესაჭიროება ხმელეთიდან სტარტის ასაღებად საჭირო დიდი რაოდენობით საწვავი, ამდენად მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება იმაზე გაცილებით მეტი სასარგებლო ტვირთის გატანა კოსმოსში, ვიდრე ამას თანამედროვე მზიდი რაკეტებით ვახერხებთ", - ამბობს პროექტ X-43A-ს ერთ-ერთი შემოქმედი მაიკლ ბრაკუსი. გარდა ამისა, NASA-ს დირექტორ შონ ოკიფის თქმით, აღნიშნულ ექსპერიმენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე კომერციული ავიაციის განვითარების საქმეში.

NASA-მ პროგრამა სახელწოდებით X-43A, ჯერ კიდევ 1996 წელს წამოიწყო და დღემდე მის განსახორციელებლად 250 მილიონი დოლარი დახარჯა. ამ რვა წლის განმავლობაში სულ სამი ჰიპერბგერითი თვითმფრინავი დამზადდა, რომელთაგან პირველის საგამოცდო გაფრენა 2001 წელს ავარიით დასრულდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კატასტროფის მიზეზი მზიდი რაკეტის მართვის სისტემის გაუმართაობა იყო.

წარმატებული გამოდგა მეორე გამოცდა, რომელიც წლეულს, მარტში ჩატარდა და რომლის დროსაც თვითმფრინავის სიჩქარემ 7 მახს მიაღწია. ამის შემდეგ, პროექტის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა რეაქტიული ძრავებით აღჭურვილი საფრენი აპარატების სიჩქარის ახალი რეკორდის (ათი მახი) დამყარება, რისთვისაც მესამე X-43A დამზადდა. ამ აპარატმა დასახულ მიზანს 16 ნოემბერს მიაღწია.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გაგრძელება ექნება პროგრამა X-43A-ს.

# ქსოვილი ერთატომიანი სისქით

მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრე გეიმმა და მისმა ჯგუფმა შექმნეს ქსოვილი, რომლის სისქე სულ ერთი ატომია. უფრო სწორედ, ეს არის ზეგიგანტური მოლეკულა, რომელიც პრაქტიკულად ორგანზომილებიანია.

ახალ ქსოვილს სახელად გრაფენი უწოდეს. თვისობრივად ის ფულერონებსა და ნანომილაკებს - ეგზოტიკურ ნახშირბადოვან ზემოლეკულებს ენათესავება, მაგრამ მათგან განსხვავებით, გრაფენში ყველა ატომი ერთ სიბრტყეშია მოთავსებული.

პროფესორმა გეიმმა და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს გრაფიტის კრისტალისგან ატომის სისქის ფენის განცალკევება. თანაც, ეს ისე გააკეთეს, რომ ერთმანეთისგან დაშორებულმა ატომებმა ერთმანეთთან კავშირი შეინარჩუნეს, რითაც, ფაქტობრივად, ერთი ატომის სისქის ქსოვილი შექმნეს. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს ამ ტიპის ქსოვილის შექმნა, რომლის ფართობი ერთი კვადრატული სანტიმეტრი იქნება.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ გრაფენი ელასტიურობით, სიმტკიცითა და შესანიშნავი ელექტროგამტარობით გამოირჩევა, რის გამოც ნაშრომის ავტორები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. განსაკუთრებით მისწრება იქნება მათი გამოყენება სუპერკომპიუტერებში, რომელთა ლოგიკური სქემების ზომები რამდენიმე მილიონჯერ შემცირდება.

# ამერიკელები კომეტას შეისწავლიან

ამერიკელი მეცნიერები ემზადებიან მეტად საინტერესო კოსმოსური მისიის განხორციელებისთვის - აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტო კომეტა "ტემპელ-1"-ზე სპეციალურად დამზადებული სპილენძის ჭურვის ჩაგდებას აპირებს, რომლის კომეტასთან შეჯახებაზე დაკვირვებაც მკვლევარებს დაეხმარება სამყაროს წარმოქმნისა და პლანეტების ფორმირების მექანიზმების შესწავლაში.

მისიის შესასრულებლად პრაქტიკულად მზადაა კოსმოსური ხომალდი სახელწოდებით "დიპ იმპაქტ" (ღრმა შეჯახება), რომლის გაშვებაც 30 დეკემბრისთვისაა დაგეგმილი. ხომალდი აღჭურვილი იქნება 400-კილოგრამიანი ჭურვით, რომლის კომეტაზე ჩაგდებაც 2005 წლის ივლისის პირველ დღეებში უნდა განხორციელდეს. წინასწარი გათვლებით, კომეტასთან შეჯახებისას, ჭურვის სიჩქარე 36 ათასი კმ/სთ უნდა იყოს. შედეგად, კომეტაზე წარმოიქმნება დიდი ზომის კრატერი, რომლის შესწავლასაც მეცნიერები "დიპ იმპაქტზე" არსებული ვიდეოკამერებით აპირებენ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კომეტის ფორმირებიდან მოყოლებული, მის სიღრმეში არსებულ სტრუქტურას თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. ჰოდა, შეჯახების შედეგად წარმოქმნილი კრატერი ამ სტრუქტურას გააშიშვლებს და შესაძლებელი გახდება მისი შესწავლა.

უკვე გაანგარიშებულია, რომ შეჯახება მაშინ მოხდება, როცა კომეტა ჩვენი პლანეტისგან დაახლოებით 150 მილიონი კილომეტრით იქნება დაშორებული.

# შაქარზე მომუშავე თვითმფრინავი

თვითმფრინავების მწარმოებელმა ბრაზილიურმა კომპანია "ემბრ-აერ"-მა (ემპრესა ბრაზილენა დე აერონაუტიკა) სერიული წარმოებისთვის მოამზადა თვითმფრინავი, რომელიც საწვავის სახით შაქრის ლერწმისგან მიღებულ ეთილის სპირტს (ეთანოლი, იგივე სამედიცინო სპირტი) იყენებს.

მოდელი "იპანემა" სპეციალურად შეიქმნა ბრაზილიაში გავრცელებული საწვავის, ეთანოლისთვის, რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე ჩვეულებრივი საავიაციო ნავთი და მასთან შედარებით, ეკოლოგიურობითა და ეფექტურობითაც გამოირჩევა.

სხვათა შორის, ბრაზილია ეთანოლის უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში და ამ სპირტს დიდი ხანია, იყენებს, როგორც საავტომობილო საწვავს.

"ემ-ბრ-აერ"-ის წარმომადგენელმა სატოში იოკატამ განაცხადა, რომ სპირტზე მომუშავე მოდელის მომსახურება სამ-ოთხჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი თვითმფრინავებისა, რომლებიც საწვავად საავიაციო ნავთს იყენებენ.

"იპანემა" მსუბუქი თვითმფრინავია და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლადაა შექმნილი. რაც შეეხება კომპანია "ემბრაერს", მას მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია მცირე ზომის თვითმფრინავების წარმოებაში.

## ფოტოგალერეა




სახიფათო ზონა.

ავტორი: ვახო ბესელია

## TV პროგრამა

### 2 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ძმები კარამაზოვები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელელიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ყველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მეფის ქალიშვილები". მთ. რ-ში: იზაბელ იუპერი. **02.20** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15, 21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "მონღოლური ცხენების დაბრუნება" **15.20** მუს. ოქტაგონი **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ" **17.30** დოკ. ფილმი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "უცნობ ცხოველებზე მონადირე" **19.00** "განათლების პროექტი საქართველოში" **19.40** ტელე-ზღაპარი **21.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე"-მალტა **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მოლანდება" (გ)

### კავკასია

**14.00** მხ. ფილმი "ჩაკეტილ სივრცეში" (გ) **16.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "ქალი წვიმაში" (გ) **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" (გ) (ჯინა ლოლობრიჯიდა)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ტელე-ზღაპარი **21.00** მრავალჟამიერ **21.25** დოკ. ფილმი "მინორსკის ცხენები" **21.50** მიამბეთ თქვენზე **22.35** მხ. ფილმი "დღე" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "ბუდუ" (გ) **19.25** დოკ. ფილმი **20.15** კონცერტი **21.40** მხ. ფილმი "მგლების საძმო" (15)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მტვრის გემო" **12.20, 14.45, 17.10, 04.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.50** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "შეუპოვარი" (გ) (ი. აჯანი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 03.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" 1-ლი ს. მე-26. **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მტვრის გემო" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "პირველი ნახევარი" **23.40** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **00.10** მხ. ფილმი "იმპერატორი და მკვლელი" (15) (ჩენ კაიგე) **02.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "ქალალდის ჯარისკაცები" **10.45** ისტორ. ფილმი "ჟანა დ არკი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **12.30** ბოევიკი "სიცოცხლის შენარჩუნების გაკვეთილი" **14.05** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "შემპყრობნი" **16.10** მულტფილმი **17.45** თრილერი "დაღი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** თრილერი "დაღი" (გაგრძ.) **19.45** მუსიკა **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** ფანტასტიკა "ვარსკლავური ომები" **23.00** დოკ. ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** "ექსკლუზივი" **00.30** საშინელებათა ფილმი "ღამის სტუმრები"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ДЕТИ АРБАТА".** **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН".** **11.30** "Звезды эфиры". Ираклий Андроников. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ".** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ".** **17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ".** **21.00, 23.30** Время. **22.40** "Человек и закон" **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Ударная сила. "Интеллект войны". **00.40** Док. фильм "Охотник на людоедов". **01.10** Сериал **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ".** **02.50** Джордж С. Скотт в фильме **"ДЕНЬ ДЕЛЬФИНА"** **04.50** Сериал "Тайны тысячи островов".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".** **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...".** **13.35** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА".** **14.30** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ".** **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...".** **20.50** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ".** **22.00** "Страна и мир" **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Майкл Кейн в детективе **"ОДЕТЫЙ ДЛЯ УБИЙСТВА"** **02.30** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: место под солнцем". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА".** **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ".** **05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# წერეთელი შიდსის წინააღმდეგ




რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა შიდსთან ბრძოლის მსოფლიო ფონდი შექმნა. შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღისთვის გამოჩენილ ინიციატივაზე საუბრისას სკულპტორმა აღნიშნა, რომ ამ საშინელი დაავადების წინააღმდეგ ყველანაირი ძალისხმევა უნდა გამოიყენოს კაცობრიობამ. "უდიდესი როლი მათ შორის გამოყენებით ხელოვნებას შეუძლია შეასრულოს", - თქვა წერეთელმა და დაამატა, რომ ამ თემაზე მან უკვე შექმნა კომპოზიცია. ექვსმეტრიანი მონუმენტი უკვე გამოფენილია ერთ-ერთ გალერეაში და "იუნესკოს" გენერალური დირექტორის მოწონებაც დაიმსახურა. კოიხირო მაცურიმ მსგავსი სკულპტურის დადგმა მსოფლიოს მრავალ ქალაქში ისურვა.

# კარიერის დასასრული



სახელოვანმა ამერიკელმა სოულის მომღერალმა ჯეიმს ბრაუნმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. კანადური გაზეთისთვის (Toronto Sun) მიცემულ ინტერვიუში 71 წლის მუსიკოსმა აღნიშნა, რომ მიმდინარე მსოფლიო ტურნეს შემდეგ ის საბოლოოდ დაისვენებს სცენისგან. "მე უნდა გავდგე განზე, ვიდრე მწვერვალზე ვარ", - ამბობს ბრაუნი. გადაწყვეტილების მიღებაში მუსიკოსს ხელს ვერ შეუშლის ვერაფერი, მას ამჟამად კონტრაქტიც არ აქვს გაფორმებული რომელიმე ფირმასთან.

# ინდური კინოს სენსაცია

ინდური კინოს რეპუტაციაზე ზრუნვა დაიწყეს. ქვეყნის ყველაზე მსხვილი კინოკომპანია "ბოლივუდი" დეკემბრიდან ეკრანებზე გამოუშვებს ეროვნული კინემატოგრაფიის ისტორიაში პირველ მისტიკურ თრილერს.

ფილმის (რომლის სახელწოდებაა - "შესაძლოა, ეს მოხდეს") სიუჟეტი პარანორმალურ მოვლენებზეა აგებული. ფილმის მთავარი გმირი, გაჭირვებაში მცხოვრები გოგონა, ჯადოქრობას მიმართავს. მოქმედება ფილმში მძიმე მუსიკის ("რამშტეინის" მაგვარი) ფონზე ვითარდება. სპეცეფექტებით ფილმი მთელი 45 წუთის განმავლობაშია გამდიდრებული და, როგორც ამბობენ, არც თუ ურიგოდ. ფილმის რეჟისორსა და სცენარის ავტორს - უილსონ ლუისს კინოსა და ტელევიზიაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის Seagate Technical Awards-ის პრემიაც კი გადასცეს თავის დროზე.

ფილმი არაა გათვლილი მხოლოდ რეკორდულ შემოსავლებზე. ამ შემთხვევაში რეჟისორს თურმე სხვა მიზნები ამოძრავებდა: "პირადად მე ვიცნობ პარანორმალური შესაძლებლობების ადამიანებს. ეს საკითხი ძალიან მაინტერესებს, ამიტომაც სიუჟეტი სწორედ ამ თემის ირგვლივ ვითარდება", - განუცხადა რეჟისორმა ჟურნალისტებს.

ინდური კინემატოგრაფისთვის აქამდე ცნობილი იყო ყოფით დრამები, სამეცნიერო ფანტასტიკა და ელიტარული კინოც კი, რომელიც საერთაშორისო ფესტივალების ეკრანებზე ჩნდება ხოლმე. ამიერიდან ის თრილერსაც გაუხსნის ღიად კარს.

# კიდევ ერთი გაფიცული

"უნივერსალის" ლიცენზიანტი, კომპანია Ukrainian Records დროებით წყვეტს მუშაობას. რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში ყველაზე მსხვილი მუსიკალური კომპანია ამიერიდან აღარ გამოუშვებს ჩანაწერებს, აღარ აჩვენებს ტელევიზიით სამამულო და უცხოური მუსიკოსების კლიპებს და არ წარუდგენს საზოგადოებას რადიოეთერში ახალ კომპოზიციებს. ამგვარად შეეცდება კომპანია თავისი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

Ukrainian Records უკრაინაში წარადგენს ისეთ საერთაშორისო დონის ვარსკვლავებს, როგორებიცაა: ემინემი, "ქრენბერისი", "ლიმპ ბისკიტი", "კარდიგენსი", "მეტალიკა", უიტნი ჰიუსტონი, ბრაიან ადამსი, U2 და მრავალი სხვა. ამავე ფირმასთან თანამშრომლობენ ცნობილი შემსრულებლები ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრციდან: ლინდა, "ტატუ", დელფინი.

# გარდაიცვალა ფილიპ დე ბროკა



პარიზში კიბოს დაავადებით გარდაიცვალა 71 წლის ფრანგი რეჟისორი ფილიპ დე ბროკა. რეჟისორი ცნობილი გახდა 60-იან წლებში ეკრანებზე გამოსული კომედიით, სადაც მთავარ როლს ჟან-პოლ ბელმონდო ასრულებდა.

"ფრანგულმა კინომ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი დაკარგა", - განაცხადა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა.

დე ბროკის კარიერა კინოში 50-იანი წლებიდან, ლეგენდარულ რეჟისორებთან - კლოდ შაბროლთან და ფრანსუა ტრიუფოსთან ასისტენტობით დაიწყო. ფილიპ დე ბროკამ 40-წლიანი კარიერის განმავლობაში 30-მდე კომედია გადაიღო. წარმატება კი მოუტანა ფილმებმა: "კარტუში" და "ადამიანი რიოდან". სწორედ ამ ფილმებით დაიწყო მისი შემოქმედებითი თანამშრომლობა ჟან-პოლ ბელმონდოსთან. რეჟისორი ასევე მუშაობდა: ალან ბეიტსთან, ივ მონტანთან, ფილიპ ნუარესთან. რეჟისორის უკანასკნელმა ფილმმა, რომელიც ოქტომბერში გამოვიდა, მილიონზე მეტი მაყურებელი მიიზიდა.

# თანამშრომლობა



მადონასთან ჯგუფ Depeche Mode-ის ერთ-ერთი ლიდერის თანამშრომლობა დადასტურდა - მარტინ გორმა პოპის დედოფალს ორი სიმღერა შეუქმნა. მადონა სექტემბერში თავისი მსოფლიო ტურნეს დროს შეხვდა გორს და სწორედ ამ დროიდან დაიწყო შოტლანდიელმა მუსიკოსმა მადონასთვის სიმღერებზე მუშაობა. თუმცა, ჯერჯერობით ეს ყველაფერი არაოფიციალური წყაროებიდან ვრცელდება. როგორც ჩანს, ოფიციალურად ამის შესახებ ჩანაწერების დასრულებისას იტყვიან.

არც გორისთვის და არც მადონასთვის ეს არაა ერთადერთი სამუშაო. ახლახანს შოტლანდიელმა მუსიკოსმა მონაწილეობა მიიღო გვენ სტეფანის სოლო-ალბომის ჩაწერაში, მადონა კი, ახლაც მუშაობს ტრიპ-ჰოპის ჯგუფების - Lamb-სა და Goldfrapp-ის მომავალი დისკებისთვის.

რაც შეეხება მარტინ გორს, ის განუწყვეტლივ შრომობს. უამრავ მუსიკოსთან თანამშრომლობის პარალელურად, იგი დროს საკუთარი შემოქმედებისთვისაც იტოვებს. დეკემბრის პირველ დღეებში Depeche Mode ახალი ალბომის კონცეფციას განსაზღვრავს, რადგან იანვარში მუსიკოსები უკვე სტუდიაში უნდა შევიდნენ.







თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.